საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
5 – 11 სექტემბერი, 2018
№31 (455)

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## გალაკტიონი – ახალი გალაქტიკა, რომელიც ინგლისელებმა აღმოაჩინეს
20




## ვისთვის გაისარჯა ფრაუ მერკელი
2



გაზსაცავის აშენებით სისხლხორცეულად დაინტერესებულ გერმანიას თავისი ინტერესის რეალიზაციისთვის თვითონ უნდა გაეღო ხარჯი და კიდევ ერთი 150 მილიონი ევრო აქეთ მოეცა. ჩვენმა მთავრობამ კი რა გააკეთა? 150 მილიონი ევროს კრედიტი კისერზე ვალად დაიდო და კრედიტის პროცენტებიც უნდა გვახდევინოს

## გვარამიას ორმაგი თამაში
11



რუსული ფულით ნაყიდი პური ყელზე არ გადგება, ნიკალაი?..



მამა გიორგი (რაზმაძე):

## ბრიუსელში გამართულ ერთ-ერთ შეხვედრაზე უკვე განიხილეს, როგორ უნდა დაშალონ საქართველოს ეკლესია სინოდებად
4

## ვინმემ განათლების მინისტრს უჩიკეთ, ეგებ გამოიღვიძოს!


16

190-ე სკოლის მოსწავლეებს ლგბტ დროშის ფერებში შეღებილი დერეფნები დაახვედრეს სიურპრიზად

## ერი გამოთაყვანების გზაზე დააყენეს
10




# საქართველოს ხელისუფლების ორპირობა და სიმხდალე!

## გუშინ, 4 სექტემბერს, საქართველოს ხელისუფლებამ საქვეყნოდ მოიჭრა თავი და დიპლომატიურ სკანდალში გაეხვია

დღეს და ხვალ თბილისში უკვე მესამედ ტარდება სამხრეთ-კავკასიური მედიაფორუმი, რომელშიც მონაწილეობენ რუსეთის, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ჟურნალისტები და ექსპერტები და რომლის ორგანიზატორიც უცვლელად არის რუსული პოლიტოლოგიური ცენტრი „სევერ-იუგი“.

მოსკოვიდან ჩამოსულ სტუმრებს შორის იყვნენ რუსი საზოგადოების მკვლევართა ასოციაციის საბჭოს პრეზიდენტი ГЕНАДИ ბორდიუგოვი — ГЕНАДИ ბОРДИUGOВI, მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტის (МГИМО) უფროსი მეცნიერთანამშრომელი ალექსეი ტოკარევი და რუსული საინფორმაციო სააგენტო „იტარ-ტასის“ სამხედრო მიმომხილველი ვიქტორ ლიტოვკინი. სამივეს სრულიად უმიზეზოდ და დაუსაბუთებლად საქართველოში შემოსვლაზე უარი უთხრეს და უკან გააბრუნეს. ასევე მოექცნენ ფორუმის მეოთხე მონაწილეს, ჟურნალისტ ალან კასაევს ლარსის სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე.

ასეთია საქართველოს ხელისუფლების ნამდვილი სახე: სიტყვით — მზადყოფნა თანამშრომლობისთვის, საქმით კი — ლაჩრული აკრძალვები.

ვიზიტის შედეგები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გაზსაცავის აშენებით სისხლხორცეულად დაინტერესებულ გერმანიას თავისი ინტერესის რეალიზაციისთვის თვითონ უნდა გაეღო ხარჯი და კიდევ ერთი 150 მილიონი ევრო აქეთ მოეცა. ჩვენმა მთავრობამ კი რა გააკეთა? 150 მილიონი ევროს კრედიტი კისერზე ვალად დაიდო და კრედიტის პროცენტებიც უნდა გვახდევინოს.**

**სანამ გერმანიის კანცლერის, ანგელა მერკელის, საქართველოში ვიზიტის შედეგებს განვიხილავთ, თვალი გადავავლოთ მოვლენებს, რომლებიც ევროპასა და მსოფლიოში განვითარდა ჩვენთან მის ჩამოსვლამდე.**

# ვისთვის გაისარჯა ფრაუ მერკელი

უპირველესად, გავიხსენოთ ევროკავშირის მიერ უარის თქმა ირანის წინააღმდეგ აშშ-ის დაწესებული სანქციების მხარდაჭერაზე, რომელიც გერმანიის ინიციატივით მოხდა. ამის შემდეგ **მერკელი** ბერლინში შეხვდა რუსეთის პრეზიდენტ **ვლადიმერ პუტინს.** მოლაპარაკების მთავარი თემა, წინასწარ გაცხადებულის მიხედვით, იყო გაზსადენ „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის მშენებარე პროექტის რეალიზაცია და დასრულება. გავიხსენოთ, რომ ამ პროექტის წინააღმდეგია ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც თავისი ექსპანსიური პოლიტიკის განხორციელებით ცდილობს საკუთარი ძვირად ღირებული თხევადი გაზის ევროპაში გასაღებას. და კვლავ გერმანიის ინიციატივით, ევროკავშირი არც ამ ინიციატივას არ შეუერთდა. გავიხსენოთ, რომ წარმატებით ფუნქციონირებს „ჩრდილოეთის ნაკადი-1“, რომლითაც გაზი ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყანას გერმანიის გავლით მიეწოდება.

ქალბატონი მერკელი ჩამოვიდა, ორი დღე დაჰყო ჩვენთან და ამ ვიზიტის ერთადერთი ხელშესახები შედეგი, რომელიც გამოცხადდა, არის გერმანიის მიერ საქართველოსთვის მოცემული 150 მილიონი ევროს კრედიტი სამგორის საბადოზე გაზსაცავის ასაშენებლად. თავისი ვიზიტის მნიშვნელობის გასაძლიერებლად და გასამართლებლად დამატებით გამოგვიყო 40 მილიონამდე კრედიტი, მათ შორის, ორი თუ სამი მილიონის გრანტი მაღალმთიან აჭარაში წყალმომარაგების სისტემის მოსაწყობად. მიაქციეთ ყურადღება, რომ **ისეთი ქვეყნის კანცლერი, როგორიც გერმანიაა, ამგვარი, არცთუ პირველხარისხოვანი საკითხების გადასაწყვეტად სხვა ქვეყანაში არ ჩადის. ამისთვის უფრო დაბალი რანგის მოხელეები არიან მოწოდებული. ის, რისი მოწმენიც გავხდით, როგორც ჩანს, ინფორმაციული საფარველია მისი ვიზიტის ჭეშმარიტი მიზნის შესაფუთად და საზოგადოებისთვის მისაწოდებლად. იმდენად მარტივი დიპლომატიის ნიმუშია, რომ პრიმიტიულიც კი შეიძლება ეწოდოს.**

საქართველომ, რომელსაც საერთაშორისო ვალების ისედაც უზარმაზარი ტვირთი აწევს, ეს კრედიტი აიღონ მაშინ, როცა ამ გაზსაცავის რეალიზაციაში მისი არც ეკონომიკური და არც პოლიტიკური ინტერესი არ არის ჩადებული. სამაგიეროდ სავსებით აშკარაა, რომ ეს ნაბიჯი მხოლოდ და მხოლოდ გერმანიის ინტერესების დასაკმაყოფილებლად გადაიდგა.

რატომ მოგვახვიეს თავზე ეს „ინიციატივა“?

საყოველთაოდ ცნობილია, რომ გერმანია ცდილობს, და ახერხებს კიდეც, გახდეს, მონოპოლისტი თუ არა, წამყვანი მოთამაშე ევროპის ბუნებრივი აირის ბაზარზე. ამ მიზნის მისაღწევად კი მას სჭირდება სრული კონტროლის დაწესება არა მხოლოდ რუსული ბუნებრივი გაზის „ნაკადებზე“, არამედ ცენტრალური აზიისა და ირანის ნაკადებზეც ევროპის მიმართულებით. ამიტომ იყო, რომ გერმანიამ მხარი არ დაუჭირა ირანის წინააღმდეგ ამერიკულ სანქციებს, რადგან მაშინ ირანთან ეკონომიკურ თანამშრომლობაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელი გახდებოდა. თანამშრომლობა კი, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს ირანის ბუნებრივი აირის (და ნავთობისაც) ექსპორტს ევროპის ბაზარზე, ხოლო ამ ენერგომატარებლების ტრანსპორტირებისთვის დასავლეთის მიმართულებით მას სჭირდება დერეფანი აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს გავლით.

**ამ ენერგოდერეფნისთვის საფუძვლის ჩაყრა იყო ქალბატონ მერკელის სამხრეთ კავკასიაში ვიზიტის მიზანი. ამისთვის სჭირდება მას საქართველოში გაზსაცავი ირანის, აზერბაიჯანის და, შესაძლოა, თურქმენეთის გაზის „დასასაწყობებლად“ და აქედან ევროპაში გასატანად. სად არის აქ საქართველოს ინტერესი — გინდ ეკონომიკური, გინდ — პოლიტიკური? ამ პროექტის განხორციელებაში სისხლხორცეულად დაინტერესებულ გერმანიას თავისი ინტერესის რეალიზაციისთვის თვითონ უნდა გაეღო ხარჯი და კიდევ ერთი 150 მილიონი ევრო აქეთ მოეცა.**

**ჩვენმა მთავრობამ რა გააკეთა? 150 მილიონი ევროს კრედიტი კისერზე ვალად დაიდო გერმანიისთვის საჭირო ობიექტის ასაშენებლად. ვალი — ვალად და პლუს საბანკო კრედიტის პროცენტებიც უნდა გვახდევინოს.**

ასეთი უთავბოლო სქემა გამოიკვეთა.

ქართულ მედიაში განსაკუთრებით ააყვირეს საქართველოს სეპარატისტული მხარეების მერკელისეული შეფასების საკითხი. თბილისში გამართულ (და საშინლად თარგმნილ) პრესკონფერენციაზე აქ შექმნილ ვითარებას მან უსამართლობა უწოდა, ხოლო საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტის შეკითხვას, შეეხნენ თუ არა ვლადიმერ პუტინთან შეხვედრის დროს აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დეოკუპაციის საკითხს, ზოგადი და ორაზროვანი პასუხი გასცა, რაც ნიშნავს იმას, რომ რუსეთთან სალაპარაკო თემატიკა მხოლოდ გერმანიის კერძო ინტერესებით იყო შემოფარგლული. აშკარაა, რომ საქართველო-რუსეთის ურთიერთობის მოწესრიგება ფრაუ მერკელის საერთაშორისო პოლიტიკის დღის წესრიგში არ დგას, ქართული ინტერესების დამცველად თავს არ მიიჩნევს და, საერთოდ, ეს პრობლემა მას არ აწუხებს. ხოლო სტუდენტებთან შეხვედრისას მისი ნათქვამი, რომ სეპარატისტული



**რამდენიმე დღის წინათ დონალდ ტრამპმა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციიდან გამოსვლა დააანონსა, ხოლო ევროპაში ცალკე მერკელმა და ცალკე მაკრონმა უნდობლობა გამოუცხადეს აშშ-სა და ნატოს, ახალი ეკონომიკური და საგარეო-პოლიტიკური ინიციატივები წამოაყენეს და თქვეს, რომ ევროპამ დოლარს თავი უნდა დააღწიოს და თვითონ უნდა იზრუნოს საკუთარი უსაფრთხოების სისტემის შესაქმნელად რუსეთისა და თურქეთის მონაწილეობით**

მხარეები ოკუპირებულია, მხოლოდ სტუმრის მიერ ვალის მოსახდელად, ტაქტიანი ატმოსფეროს შესანარჩუნებლად იყო გამოყენებული და პოლიტიკურ განცხადებასთან საერთო არაფერი ჰქონდა.

ეს გამოწვეულია საქართველოს ხელისუფლების უნიათობითა და უსუსურობით, რომელიც, როგორც ჩანს, მაღალი რანგის სტუმართან შეხვედრისას საქართველოსთვის აქტუალური, პრინციპული საკითხების დაყენებისა და განსჯის უნარს არის მოკლებული: **არ აინტერესებს მერკელს, არ გვაინტერესებს ჩვენ.**

სომხეთისა და აზერბაიჯანის ხელმძღვანელებს კი მერკელმა განუცხადა, რომ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებაში ხელს შეუწყობს. ეს არის გერმანიის, როგორც სახელმწიფოს, კერძო ინიციატივა და არა საერთაშორისო მექანიზმებში ჩართული ქვეყნის მიერ გამოთქმული დაპირება (საერთაშორისო მექანიზმის მონაწილე ქვეყნისთვის ასეთი დაპირება ფორმალური მოვალეობაა).

დღეს ეკონომიკის სფეროში გერმანიის საგარეო პოლიტიკის მთავარი თემა ევროპაში გაზის იმპორტის საკითხია, პოლიტიკის სფეროში კი — რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება და აშშ-ისგან დისტანცირება.

**მერკელმა თავის მიზანს მიაღწია — საქართველოს ვალად დაადო გერმანიისთვის გაზსაცავის აშენება. ჩვენებიც ყურმოჭრილი ყმებივით ვერ შეეპასუხნენ გერმანიის კანცლერს, ან არ მოინდომეს შეპასუხება, რადგან საკუთარი ქვეყნის პრობლემების მოგვარება არც მათ აწუხებთ (ან არ შეუძლიათ).**

რას მოგვცემს ეს გაზსაცავი, რას შეგვმატებს? ამაზე არავის არაფერი უთქვამს, თორემ ყასიდად გაცხადებული, რომ ეს საცავი ზამთრის პერიოდში გააძლიერებს ჩვენს ენერგეტიკულ უსაფრთხოებას, შეთხზული არგუმენტია. წლებია, ზამთრობით საქართველოს გაზის პრობლემა არ ჰქონია.

ევროპა-აზიაში სრულიად ახალი კონფიგურაცია ყალიბდება პოლიტიკური, ეკონომიკური და უსაფრთხოების მიმართულებით. ჩვენი მთავრობა კი ჭურში ჩავარდნილივით ოცდაათი წლისწინანდელ ლოზუნგებს გაიძახის.

რამდენიმე დღის წინათ **დონალდ ტრამპმა** მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციიდან გამოსვლა დააანონსა, ხოლო ევროპაში ცალკე **მერკელმა** და ცალკე **მაკრონმა** უნდობლობა გამოუცხადეს აშშ-სა და ნატოს, ახალი ეკონომიკური და საგარეო-პოლიტიკური ინიციატივები წამოაყენეს და თქვეს, რომ ევროპამ დოლარს თავი უნდა დააღწიოს და თვითონ უნდა იზრუნოს საკუთარი უსაფრთხოების სისტემის შესაქმნელად რუსეთისა და თურქეთის მონაწილეობით. ყურადღება მიაქციეთ: არა დასავლური სოლიდარობა ნატოს ეგიდით, არამედ ახალი, საკუთარი ევროპული უსაფრთხოების სისტემის შექმნა რუსეთისა და თურქეთის მონაწილეობით!

ეს ნიშნავს, რომ **უშუალოდ ჩვენს ირგვლივ იქმნება საერთაშორისო უსაფრთხოების ახალი სისტემა და არის აქ საქართველოს ადგილი, ვეძებთ ჩვენს ადგილს ამ ახალ სისტემაში?** საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის მიღმა დარჩენა კი იმას ნიშნავს, რომ, ვისაც მოუნდება, წიხლს ჩაგვაზელს, გამომსარჩლებელი კი არავინ არ იქნება, ვერც ვერსად ვერ ვიჩივლებთ, საკუთარი ძალები კი რამდენზე გვეყოფა, თუ, საერთოდ, რამე ძალა გაგვაჩნია? აი, ასეთ ფონზე საქართველოს ხელისუფლება კვლავ ჯიუტად აცხადებს, რომ ჩვენი უსაფრთხოების საკითხის გადასაწყვეტად უნდა გავხდეთ ნატოს, ფუნქციადაკარგული ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი, რომელსაც ევროპა (საფრანგეთისა და გერმანიის სახით) აღარ ენდობა (ევროპის შეიარაღებული ძალების შექმნა მთელი სერიოზულობით განიხილება), ამერიკამ კი ტრამპის პირით კონკრეტულად თქვა, რომ ნატოს კოლექტიური თავდაცვის პრინციპი დიდი სისულელეა და ამ პრინციპის დაცვას არ აპირებს (ტრამპის კომენტარი ნატოში მაკედონიის შეყვანაზე). **მაშ, რანაირად უნდა უზრუნველყოს ნატომ ჩვენი საერთაშორისო უსაფრთხოება? ვერანაირად!**

საქართველოში უცნაურ მოდად დამკვიდრდა ტერმინ ოკუპანტის ხმარება. ოკუპაცია სამხედრო ტერმინია და ქვეყნის ტერიტორიისა და ყველა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურის ტოტალურ სამხედრო კონტროლს გულისხმობს. აქვს ყველაფერ ამას ადგილი საქართველოში? კიდევ: ოკუპირებული ქვეყანა უპირობოდ დამარცხებულია და მას არავინ არაფერს ეკითხება, მასთან არავინ მართავს მოლაპარაკებებს და სამხედრო ძალის მუქარით აიძულებენ მის დაუკითხავად მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას.

საქართველოს რეალობა სხვანაირია: **საქართველოს სუვერენული ნების საწინააღმდეგოდ რუსეთის ორი სამხედრო ბაზა დგას ლოკალურ ტერიტორიაზე. ეს ფაქტია, მაგრამ არსებული ვითარების ამგვარად დანახვაშია სწორედ რუსეთთან საქმიანი მოლაპარაკების რესურსი. როგორც ჩანს, უახლოეს პერსპექტივაში საქართველოს მთელი სიმძაფრით დაუდგება საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ახალ პოლიტიკურ-ეკონომიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხი. ვერც ერთ ამ საკითხს რუსეთის მონაწილეობის გარეშე ვერ გადავწყვეტთ და სწორედ ეს უნდა იყოს საქართველოს სუვერენული ნების გამოხატულება რუსეთთან დიალოგში.** კიდევ: უნდა გავითვალისწინოთ რუსეთის მოტივები, რატომ აქვს ეს სამხედრო ბაზები ჩვენს ტერიტორიაზე. ამ საწყის მოცემულობაზე დაყრდნობით უნდა გამოვიდეთ დიალოგის შეთავაზებით და არა „ნატოსა“ და „ოკუპანტის“ ძახილით.

ყოველივე ამის შემდეგ თავისით ჩნდება შეკითხვა: **ის ხალხი, რომელიც ჯიუტად ცდილობს, საქართველოს ოკუპირებულის სტატუსი მოახვიოს თავს და რუსეთთან დიალოგზე უარი ათქმევინოს, რეგვენი მოყვარეა თუ შეგნებული მტერი?**

ვინ გაგვცემს პასუხს?

**არმაზ სანებლიძე**

**ემანუელ მაკრონი: ჩვენ აუცილებლად უნდა შევიმუშავოთ პირობები სტრატეგიული პარტნიორობისთვის, როგორც რუსეთთან, ისე თურქეთთან; იმიტომ, რომ ეს ორი სახელმწიფო აუცილებელია ჩვენი კოლექტიური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. პარიზისთვის აუცილებელია სტრატეგიული პარტნიორობა, რომელიც არ ითვალისწინებს ევროკავშირის წევრობას... შორეულ პერსპექტივაში ჩვენ ვერ შევძლებთ ევროპის აშენებასა და განვითარებას, რუსეთსა და თურქეთთან ურთიერთობის გადახედვის გარეშე. ჩვენ უარი უნდა ვთქვათ არაობიექტურ მიდგომებზე, რათა გამოვიტანოთ ნამდვილად ეფექტიანი, გონივრული გადაწყვეტილებები.**

განხეთქილება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბოლო პერიოდში ძალიან გამწვავდა ურთიერთობა აშშ-სა და ევროკავშირს შორის. აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ყველა პარტნიორს მოსთხოვა, გაზარდოს თავდაცვის ხარჯები. ამასთანავე, ვაშინგტონმა საბაჟო გადასახადები გაზარდა საზღვარგარეთულ საქონელზე და დაიწყო სავაჭრო ომი ევროპის ქვეყნებთან, კანადასა და ჩინეთთან. ევროპის წამყვანი ქვეყნები კი თავდაცვის მიზნით სხვადასხვა ზომას მიმართავენ. ამის ნათელი მაგალითია საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონის გამოსვლა 27 აგვისტოს საფრანგეთის ელჩებთან.**

# ევროპას უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხში აშშ-ის იმედი აღარ აქვს



**«ევროპა უკვე ვეღარ ენდობა აშშ-ს თავისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხში. მომხრე ვარ, დავიწყოთ ამ საკითხის ფართო განხილვა ჩვენს პარტნიორებთან ერთად, აქედან გამომდინარე, რუსეთთან ერთად»**

საფრანგეთის პრეზიდენტმა **ემანუელ მაკრონმა** პარიზში შეკრებილ საფრანგეთის ელჩებთან შეხვედრისას ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ პოზიციებსა და ევროკავშირის საგარეო-პოლიტიკურ კურსში ცვლილებების შეტანაზე ილაპარაკა. მაკრონი შეეხო რამდენიმე მტკივნეულ საკითხს საერთაშორისო ურთიერთობებში და ხაზი გაუსვა რუსეთისა თურქეთის მიმართ დამოკიდებულებას, ახსენა სირიის კრიზისი, აშშ-თან ურთიერთობა და უკრაინაც კი. მაკრონის შეფასებები ყველა პუნქტის მიხედვით საკმაოდ სკანდალური აღმოჩნდა, რადგან მისი ამჟამინდელი პოზიცია განსხვავდება არა მხოლოდ ვაშინგტონის თვალსაზრისისგან, არამედ იმ განცხადებებისგანაც კი, რომლებსაც წარსულში აკეთებდა. მაკრონის გამოსვლაში ყველაზე საგულისხმო ეპიზოდი იყო ვლადიმერ პუტინის ციტატის გამეორება სირიის თემაზე. თუმცა მაკრონს არ უხსენებია რუსეთის პრეზიდენტი, ყველასთვის ცნობილია, ვინ და როდის განაცხადა, რომ სირიელმა ხალხმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს, ვინ უხელმძღვანელებს სირიას.

მართალია, საფრანგეთის პრეზიდენტმა თქვა, რომ ასადის მიერ ძალაუფლების შენარჩუნება „საშინელი შეცდომა იყო“, მაგრამ აღიარა, რომ არც საფრანგეთმა და არც რომელიმე სხვა სახელმწიფომ არ უნდა მიუთითოს, ვინ უხელმძღვანელებს სირიას“ და **„უნდა შეიქმნას პირობები, რომლებშიც სირიელი ხალხი თვითონ გადაწყვეტს ამ საკითხს“.** მაკრონი ამბობს, რომ **ასადი** ცუდია, ჰუმანიტარული კრიზისი იდლიბში კარგი არ არის და სირიის დაბომბვაც შეიძლება, მაგრამ სირიელებმა თვითონ უნდა გადაწყვიტონ, როგორ იცხოვრონ.

კიდევ ერთი იდეა, რომელიც არ მოეწონებოდა ტრამპის ადმინისტრაციას და თვით აშშ-ის პრეზიდენტს, გასაჯაროვდა მოწოდების ფორმით, რომ ევროპას უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებში იმედი არ უნდა ჰქონდეს ამერიკელების და თვითონ უზრუნველყონ ევროპის სუვერენიტეტი.

***„ჩვენ აუცილებლად უნდა შევიმუშავოთ პირობები სტრატეგიული პარტნიორებისთვის, როგორც რუსეთთან, ისე თურქეთთან; იმიტომ, რომ ეს ორი სახელმწიფო აუცილებელია ჩვენი კოლექტიური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. პარიზისთვის აუცილებელია სტრატეგიული პარტნიორობა, რომელიც არ ითვალისწინებს ევროკავშირის წევრობას,** — მიაჩნია მაკრონს. — **შორეულ პერსპექტივაში ჩვენ ვერ შევძლებთ ევროპის აშენებასა და განვითარებას რუსეთსა და თურქეთთან ურთიერთობის გადახედვის გარეშე. ჩვენ უარი უნდა ვთქვათ არაობიექტურ მიდგომებზე, რათა გამოვიტანოთ ნამდვილად ეფექტიანი, გონივრული გადაწყვეტილებები“.**

საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა განაცხადა, რომ ევროპა უკვე ვეღარ ენდობა აშშ-ს უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხში. ევროპის ქვეყნებმა უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებში აუცილებლად უნდა ჩართონ რუსეთი.

*** „ევროპა უკვე ვეღარ ენდობა აშშ-ს თავისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხში. მომხრე ვარ, დავიწყოთ ამ საკითხის ფართო განხილვა ჩვენს პარტნიორებთან ერთად, აქედან გამომდინარე, რუსეთთან ერთად“, — განაცხადა მაკრონმა და დასძინა, რომ დღეს აუცილებელია კიბერუსაფრთხოების, ქიმიური იარაღის, კოსმოსის უსაფრთხოებისა და ტერორისტული მუქარების საკითხის განხილვა.**

თუ მაკრონის ამ თეზისებს ტრამპის თვალით შევხედავთ, გამოდის შემდეგი:

**იმის ნაცვლად, რომ ამერიკელებს თავდაცვითი „კრიზისთვის“ მეტი გადაუხადოს, როგორც ამას ითხოვს ტრამპი, საფრანგეთის ლიდერი მოუწოდებს „უსაფრთხოების იმპორტის შეწყვეტისკენ“. გამოდის, ამერიკელები ფულს ვერ მიიღებენ, ფსონზე კი დევს ტრამპის საყვარელი ციფრი — ევროპის ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის 2%. სწორედ ამ ხარჯის გადახდას ითხოვს ვაშინგტონი ევროკავშირისგან „თავდაცვის ხარჯებისთვის“, რომელიც პრაქტიკულად ნატოსთვის გაღებული ხარჯია, ხოლო, როგორც ცნობილია, „ნატოსთვის გაღებული ხარჯები — ეს არის პენტაგონისა და აშშ-ის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის შემოსავლები. მაკრონმა გამოთქვა სურვილი, არ დახარჯოს წელიწადში რამდენიმე მილიარდი დოლარი აშშ-ისთვის.**

ვაშინგტონს ეს აშკარად არ მოეწონებოდა. მეტიც, თუ გავაანალიზებთ საფრანგეთის ლიდერის კიდევ ერთ თეზისს, შეიძლება გაჩნდეს ეჭვი, რომ მას უფრო რევოლუციური იდეები აქვს. მაგალითად, მან განაცხადა, რომ **რუსეთსა და თურქეთთან ურთიერთობის „გადაფორმატების“ გარეშე ევროკავშირი ვერ უზრუნველყოფს უსაფრთხოებას შორეულ პერსპექტივაში.**

თავდაცვის უზრუნველყოფა? ვისგან ან რისგან სჭირდება მაკრონს რუსეთთან ურთიერთობის „გადაფორმატება“ თავდაცვის უზრუნველყოფად? ჩინეთისგან თავის დასაცავად? — ეს დაუჯერებელია. ახლო აღმოსავლეთიდან დევნილების ნაკადისგან თავის დასაცავად? — ამას თურქეთიც ეყოფა. ისე, ეს უფრო პოლიტიკური ნების საკითხია, ვიდრე სამხედრო შესაძლებლობების. ტერორიზმთან საბრძოლველად? — ეს ხომ სპეცსამსახურების საქმეა, თანაც ამ საკითხში რუსეთთან თანამშრომლობას არანაირი „გადაფორმატება“ არ სჭირდება. მოსკოვი ისედაც მზად არის ამ საკითხში თანამშრომლობისთვის.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით რჩება სამი შესაძლო ვარიანტი: **ან მაკრონმა თქვა რაღაც დიპლომატიური სისულელე (ხდება ხოლმე), ან ეშინია, რომ რუსეთთან ურთიერთობის „გადაფორმატების“ გარეშე ევროკავშირი ვერასოდეს იქნება უსაფრთხოდ; ან მან ასე მიანიშნა ვარსკვლავებიან-ზოლებიანი მუქარისგან თავის დაცვაზე, რომელზეც ჯერ ხმამაღლა არ შეიძლება საუბარი.**

მაკრონმა, აგრეთვე, ისაუბრა ამერიკელთა პრეტენზიებზე ლიდერობისთვის და განაცხადა, რომ აუცილებელია, შეიქმნას საერთაშორისო ვაჭრობის უფრო პატიოსანი სისტემა და არავინ უნდა შეურიგდეს ერთი ქვეყნის ჰეგემონიას“.

მაკრონმა, როგორც შეეფერება თანამედროვე პოლიტიკოსს, თავისი თვალსაზრისი ევროპის მომავალზე სოციალურ ქსელში გამოხატა:

„დღეს დასმული კითხვა: მიიჩნევს თუ არა ჩინეთი ან აშშ, რომ ევროპა არის ცენტრი ძალისა, რომელსაც აქვს მათთან თანაბარი შესაძლებლობები? ეს ასე არ არის. ამ ამოცანის გადასაჭრელად გლობალიზაციის პირობებში ჩვენ ხელახლა უნდა დავაფუძნოთ ჰუმანისტური ევროპა“.

მიზანი ნათელია. **საფრანგეთი პრეტენზიას აცხადებს წამყვან როლზე ევროკავშირში, ევროპას კი ხედავს მსოფლიო ძალის ერთ-ერთ პოლუსად იმავე წონით კატეგორიაში, რომელშიც არის აშშ და ჩინეთი. ამ ამოცანას უკვე შერჩეული აქვს იდეოლოგიური შიგთავსი — „ევროპული ჰუმანიზმი“.**

ზემოთქმულიდან მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: **დასავლეთის ერთიანობა უკვე აღარ არსებობს.**

30 აგვისტოს კი, ევროპის უსაფრთხოების ახალი სისტემის შექმნაზე საუბრისას, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ჟან-ივ ლე დრიანმა** ხაზი გაუსვა ევროპის პოლიტიკური დღის წესრიგის მტკივნეულ საკითხს — უკრაინის კონფლიქტს. ნორმანდიული ფორმატის ჩარჩოსადმი მიდგომებში განსხვავება ცხადი იყო. საფრანგეთი და გერმანია მხარს უჭერენ უკრაინას, თუმცა არ ცდილობდნენ, სერიოზული გავლენა მოეხდინათ მასზე, რათა შეესრულებინა მინსკის შეთანხმება. მაგრამ, როგორც ჩანს, უკრაინის ხელისუფლებისთვის განცხრომის პერიოდი დასასრულს მიუახლოვდა, სწორედ ეს გამოსჭვივის საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებაში, რომელიც მან 30 აგვისტოს გააკეთა დონბასში მშვიდობისმყოფელთა განლაგების შეუძლებლობის შესახებ:

**„ვიყოთ გულწრფელი. ადგილებზე პოლიტიკური ნების გარეშე გაეროს მისიის გაგზავნის შესაძლებლობის განხილვა მიზანშეუწონელი იქნება, კონტრპროდუქტიულიც“.** შემდეგ მინისტრმა დასძინა, რომ მინსკის შეთანხმების რეალიზაცია ერთადერთი შესაძლო გზაა კონფლიქტის მოსაგვარებლად უკრაინის აღმოსავლეთში.

ლე დრიანის სიტყვებში აისახა მოსკოვის ძირითადი მოთხოვნები, რუსეთის ხელმძღვანელობას არაერთხელ განუცხადებია, რომ კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების შეყვანა არ შეიძლება, თუ არ იქნება დონბასის ორი რესპუბლიკის თანხმობა, იმისგან დამოუკიდებლად, აღიარებულნი არიან ისინი თუ არა. ეს რესპუბლიკები არსებობს და მისი სახელისუფლო ორგანოები დე ფაქტო მართავენ პროცესებს მათ კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე, მათ შორის, უზრუნველყოფენ თავდაცვას საზღვრებზე.

პოლიტიკური სიტუაცია და სამოკავშირეო ურთიერთობები ვაშიგტონთან პარიზისა და ბერლინისგან მოითხოვდა კიევის უპირობო მხარდაჭერას. ახლა კი, როცა ევროპა იწყებს აშშ-ის მარწუხებისგან გათავისუფლებას, შესაძლებელია რეალური პოლიტიკის პლატფორმაზე დაბრუნება.

ეს ყველაფერი საშინელებაა კიევისთვის, რადგან წარმოდგენილი ფორმატით გათვალისწინებულ შეხვედრაზე, რომელიც სექტემბრის მეორე ნახევარშია დაგეგმილი, გუშინდელი პარტნიორები დაიწყებენ მსჯელობა-მოთხოვნას, რომ სეპარატისტების პრობლემის მოსაგვარებლად მოლაპარაკებები უნდა გამართონ მათთან და ეს დღეს ერთადერთი რეალური პერსპექტივაა.

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძე**

**«ვიყოთ გულწრფელი. ადგილებზე პოლიტიკური ნების გარეშე გაეროს მისიის გაგზავნის შესაძლებლობის განხილვა მიზანშეუწონელი იქნება, კონტრაპროდუქტიულიც». ლე დრიანის სიტყვებში აისახა მოსკოვის ძირითადი მოთხოვნები, რუსეთის ხელმძღვანელობას არაერთხელ განუცხადებია, რომ კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების შეყვანა არ შეიძლება, თუ არ იქნება დონბასის ორი რესპუბლიკის თანხმობა**

**«მაკრონმა, აგრეთვე, ისაუბრა ამერიკელთა პრეტენზიებზე ლიდერობისთვის და განაცხადა, რომ აუცილებელია, შეიქმნას საერთაშორისო ვაჭრობის უფრო პატიოსანი სისტემა და არავინ უნდა შეურიგდეს ერთი ქვეყნის ჰეგემონიას»**

## ხმა ბერისა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„სად არის ინტელიგენცია — ხელოვანები, სპორტსმენები, ფილოსოფოსები... ყველა იყიდა ივანიშვილმა?! როცა ქვეყანას თავზე გვამხობენ, რატომ ხმას არავინ იღებს? პირდაპირ ეკლესიებს რომ მოსთხოვენ მამათმავლებისთვის ჯვრის დაწერასა და დაქორწინებას, მერე დადგენ და იყვირონ. როდის უნდა გამოფხიზლდეს ეს ხალხი?!"**



# მამა გიორგი (რაზმაძე): ამ ხელისუფლებას ევროკავშირი, როგორც გველი, ისე ჰყავს სულში ჩაბუდებული

**მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისა და დაძაბული წინასაარჩევნო ციებ-ცხელების ფონზე ევროკავშირმა საქართველოსთან ასოცირების ხელშეკრულების ოთხწლიანი პერიოდი შეაფასა და 31 აგვისტოს „მეოცნებე ხელისუფლებას" ევროპარლამენტის მიერ დოკუმენტის იმპლემენტაციის ხარისხზე მომზადებული რეზოლუცია ოფიციალურად გააცნო. შეხვედრაზე, რომელსაც როგორც ოპოზიციის, ისე უცხოეთიდან დაფინანსებული „მესამე სექტორის" წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, ხელისუფლებამ შენიშვნები მიიღო დასავლელი „პარტნიორებისგან" შეთანხმებით ნაკისრი რიგი ვალდებულებების ეფექტიანად არ თუ ვერ შესრულების გამო, თუმცა რეზოლუცია ახალ რეკომენდაციებსაც შეიცავდა და, მათ შორის, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული ყურადღება უმცირესობების უფლებების წამოწევაზე, მათი დაცვის უფრო ეფექტიანი მექანიზმების ამუშავებასა და ამ მხრივ ფუნდამენტური ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობაზე გამახვილდა.**

## «ბრიუსელში გამართულ ერთ-ერთ შეხვედრაზე უკვე განიხილეს, როგორ უნდა დაშალონ საქართველოს ეკლესია სინოდებად»

როგორც ჩანს, „ქართული ოცნების" პოლიტიკური მომავალი დიდწილად სწორედ ამ „რეკომენდაციების" შესრულებაზე, ანუ ლგბტ პირებისთვის „თავისუფალი გარემოს" უზრუნველყოფასა და მათთვის, როგორც ხელშეუხებელი ჯგუფებისთვის, გარკვეული საკანონმდებლო პრივილეგიების შექმნაზე იქნება დამოკიდებული (ეს კი თავისთავად გულისხმობს პარლამენტის მიერ უმკაცრესი სადამსჯელო მექანიზმების შემუშავებას „დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად"). ცნობისთვის: ზემოაღნიშნული რეზოლუციის გამოქვეყნების პარალელურად ევროკავშირმა საქართველო 45 მილიონი ევროთი დააფინანსა. მართალია, ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ ეს თანხა ეკონომიკურ რეფორმებს მოხმარდება, მაგრამ დიდი ალბათობით იგი უმცირესობების უფლებების გასაძლიერებლად გათვლილ პროექტებზე დაიხარჯება. გარდა ამისა, ევროკავშირი მზადაა, დაფინანსება მნიშვნელოვნად გაუზარდოს ამ მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებსა და პოლიტიკურ სუბიექტებს...

როგორ აისახება დასავლეთის „რეკომენდაციები" უახლოეს მომავალში ხელისუფლების პოლიტიკაზე და რას ნიშნავს ან შეიძლება ნიშნავდეს უმცირესობების უფლებების უფრო ეფექტიანად დაცვა, „საქართველო და მსოფლიოს" ესაუბრება ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარი **მამა გიორგი (რაზმაძე).**

**— მამაო, რამდენიმე დღის წინათ ევროკავშირმა საქართველოს ხელისუფლებას ახალი რეკომენდაციებით მიმართა. საუბარია ლგბტ პირების უფლებების გაძლიერებაზე და კიდევ უფრო ეფექტიან დაცვაზე. თქვენი აზრით, რას შეიძლება იგულისხმებოდეს უფრო ეფექტიან დაცვაში, რას ითხოვენ რეალურად საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებისგან და არის კი ხელისუფლება ამ ყველაფრის შემსრულებელი?**

— საქართველოს ხელისუფლებისგან ითხოვენ იმას, რის გამოც და რისთვისაც იგი თავის დროზე მოიყვანეს ხელისუფლების სათავეში. ამ შემთხვევაში საუბარია მამათმავლობის დაკანონებაზე და „ქართულ ოცნებას" ვალდებულება აქვს აღებული ევროკავშირთან, რომ ნებისმიერი მათი „რეკომენდაცია" ყოველგვარი ყოყმანის გარეშე შეასრულოს. წინააღმდეგ შემთხვევაში დასავლეთს რიგში ჰყავს „ნაციონალური მოძრაობა" და საკმარისია, ხელისუფლებამ რამე, როგორც საჭიროა, ისე არ ან ვერ შეასრულოს, მის შესაცვლელად უკვე მზად არიან, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი აქ მაინც ის არის, რომ ხალხს ნელ-ნელა აჩვევენ ამ უბედურებას. საზოგადოებას, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, ისე გესლავენ და წამლავენ იმ შხამით, რომელსაც თანამედროვე დასავლური ლიბერალიზმი ჰქვია, ვერც თვითონ და ვერც მათი მშობლები ვერ აცნობიერებენ, რეალურად რა ტრაგედია ტრიალებს, ამიტომაა დღეს საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა დადუმებული ხელისუფლების მოღალატეობრივ ქმედებებზე და ეს გასაკვირიც აღარაა; ამიტომაა, რომ ხალხს პირში წყალი აქვს ჩაგუბებული და ხმის ამოღების სურვილიც არ აქვს, არა თუ ძალა, როცა ქვეყანას თავზე ამხობენ.

**— ამბობთ, რომ „ლიბერალურმა" პროპაგანდამ ქართველი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე შეცვალა მენტალურად?**

— ამ ხელისუფლებას ევროკავშირი, როგორც გველი, ისე ჰყავს სულში ჩაბუდებული. თავის მხრივ, ხელისუფლება, დიდი ხანია, საკუთარ მოსახლეობას ფარული გენოციდის რეჟიმში ამყოფებს. ვგულისხმობ იმას, რომ მილიონებს ხარჯავენ, რათა ხალხს ნელ-ნელა ჩაუნერგონ ისეთი რამ, რაც, პირდაპირ რომ გააცხადონ, საზოგადოების აფეთქებას გამოიწვევს. ასე იყო ნარკოტიკების ლეგალიზაციის შემთხვევაშიც და არა მხოლოდ.... სხვათა შორის, **ეს თემა, განსხვავებით ანტიდისკრიმინაციული კანონისგან, ისე მოამზადეს, რომ ბოლოს, როცა ოფიციალური ლეგალიზება მოხდა, კაციშვილს ხმა არ ამოუღია. რატომ? იმიტომ, რომ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი „კარგად" იყო დამუშავებული „ლიბერალური" მედიის მიერ; იმიტომ, რომ ახალგაზრდობას წლების მანძილზე უჩიჩინეს ერთი რამ და ბოლოს დაარწმუნეს:** თურმე ყველა ადამიანმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს საკუთარი სხეულის ბედი, ანუ მოიხმაროს თუ არა ნარკოტიკი. აი, ესაა პროპაგანდის ძალა და, როცა ისინი უფრო მეტ ეფექტიანობაზე საუბრობენ, ამ პროპაგანდის გაძლიერებასა და გამძაფრებას გულისხმობენ. **ეს სჭირდებათ იმისთვის, რომ, როგორც ნარკობარიგებმა დაადუმეს საზოგადოება, ისე დაადუმონ ლგბტ „ლიბერალებმაც", როცა ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინების დაკანონებაზე დაიწყება საუბარი...**

აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და მოკლედ შევეხები ერთ მნიშვნელოვან თემას: მოგეხსენებათ, „ლიბერალური" ძალები, დიდი ხანია, ეკლესიის გახლეჩვას და მის წიაღში გარკვეული დაპირისპირებების პროვოცირებას ცდილობენ. **ამას წინათ სანდო წყარომ მაცნობა, რომ ბრიუსელში ერთ-ერთ შეხვედრაზე უკვე იყო განხილვის საგანი, თუ როგორ უნდა დაშალონ საქართველოს ეკლესია სინოდებად და სხვადასხვა მიმართულებად, როგორც ეს თავის დროზე საბერძნეთში გააკეთეს. მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი აქ მაინც ისაა, რომ თვით საპატრიარქოშია გარკვეული ჯგუფი სასულიერო პირებისა, რომლებიც მონაწილეობენ ამ პროცესში.** დღეს ისინი ხელსაყრელ მომენტს ელოდებიან და მერე გაცილებით გააქტიურდებიან...

**— ვინ არიან ეს სასულიერო პირები და რა ძალებს ემსახურებიან?**

— ესენი არიან ის პირები, რომლებიც წარამარა დარბიან ამერიკაში და იქ ვილაცებს ანგარიშებს აბარებენ; იქიდან ჩამოსულები კიდევ ლამის ყოველ ღამეს „რუსთავი 2"-ის ეთერში სხედან და, რაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მტრებს აძლევთ ხელს, იმას ლაპარაკობენ... სასულიერო პირს, რომელიც სტინგის კონცერტზე მივა და იქ ისე იცეკვებს, რომ ხალხი შეეხვეწება: მამაო, გაჩერდით, სირცხვილიაო, იმას შეიძლება, სასულიერო პირი ერქვას?! არ მინდა, კონკრეტული პიროვნებები დავასახელო, მაგრამ გამგები გაიგებს, თუმცა მოვა დრო, ისინი თვითონაც არ დამალავენ ბოროტ ზრახვებს. ისე, **მაინტერესებს, სად არის ინტელიგენცია — ხელოვანები, სპორტსმენები, ფილოსოფოსები... ყველა იყიდა ივანიშვილმა?! როცა ქვეყანას თავზე გვამხობენ, რატომ ხმას არავინ იღებს? პირდაპირ ეკლესიებს რომ მოსთხოვენ მამათმავლებისთვის ჯვრის დაწერასა და დაქორწინებას, მერე დადგენ და იყვირონ. როდის უნდა გამოფხიზლდეს ეს ხალხი?**

**— დავუბრუნდეთ ისევ ევროკავშირის ახალ რეკომენდაციებს. თქვენი აზრით, ხელისუფლება, რომელსაც წინ ჯერ საპრეზიდენტო, მერე კი საპარლამენტო არჩევნები აქვს და ხალხის მხარდაჭერა სჭირდება, გაბედავს იმ მოთხოვნების შესრულებას?**

— ხელისუფლებისთვის მთავარი არა ხალხის, არამედ დასავლეთის მხარდაჭერაა, აქედან გამომდინარე, მას, დიდი ხანია, ხალხისა და დასავლეთის მსახურებას შორის არჩევანი გაკეთებული აქვს. რაც შეეხება ლგბტ პირების უფლებების „უფრო ეფექტიანად დაცვას", დარწმუნებული ვარ, უახლოეს პერიოდში პარლამენტი ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე დაიწყებს საუბარს. აი, ნახავთ, საშემოდგომო სესიებზე თუ არ წამოწიეს ეს საკითხი.

**— კი მაგრამ, ამ პროპაგანდისა და პოლიტიკის პირობებში ხალხს კიდევ უფრო მეტი მოტივაცია არ უნდა ჰქონდეს ხელისუფლების შეცვლის? როგორ ფიქრობთ, ეს საპრეზიდენტო არჩევნები რას მოიტანს?**

— ჯერ ერთი, როგორც გითხარით, მოტივაციას მე ვერ ვხედავ, მაგრამ დავანებოთ ამას თავი: ვინ არის ნორმალური კანდიდატი წარმოდგენილ პიროვნებებს შორის? **სალომე ზურაბიშვილი?** ქალბატონი, რომელმაც პირდაპირ თქვა: ამდენი უსახური ეკლესია თბილისს არ უხდება და, მე რომ მოვალ, შევეცდები, ყველაფერი შევცვალოო?! ეს ის ქალია, რომელიც თავის შვილის ნათლიას გაჰყვა ცოლად და რომელსაც, უბრალოდ, სძაგს მართლმადიდებლობა. ისიც საკითხავია, სხვა კანდიდატები რით არიან უკეთესი. საერთოდ, რომელმა არჩევნებმა უნდა შეცვალოს საქართველოში ვითარება, როცა ქართველი თავის თავს არ ეკუთვნის. **მე იმედსა და გამოსავალს დღევანდელ ვითარებაში ვერ ვხედავ. ერთადერთი, რაც ზუსტად ვიცი, არის ის, რომ სოროსის ფონდი და ამ ფონდიდან დაფინანსებული ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები საბოლოოდ უნდა აიკრძალოს. წინააღმდეგ შემთხვევაში აზრი არაფერს აქვს** — არც არჩევნებს და არც სხვა გზით სათავეში საღი ძალების მოყვანის მცდელობას.

აქვე მინდა, მოკლედ გამოვეხმაურო გერმანიის კანცლერის, **ანგელა მერკელის,** ამასწინანდელ ვიზიტს თბილისში და იმ განცხადებას, რომლითაც მან „ლიბერალებს" ცივი წყალი გადაასხა. ხშირად გვესმის პოლიტიკური ძალებისგან შეფასებები, რომ, თუ ხელისუფლება დასავლეთის მითითებებს ზედმიწევნით არ შეასრულებს, ნატოს ვერ ვეღირსებითო. იმ ვიზიტის ფარგლებში კი ყველაფერს ფარდა აეხადა და ძალიან გასაგებად, მკაფიოდ ითქვა ერთი რამ: საქართველო დღევანდელ ვითარებაში ვერ გახდება ალიანსის წევრი. ახლა, ბუნებრივია, ჩნდება შეკითხვა — **რას უფრთხილდება საქართველოს ხელისუფლება: ალიანსში შესვლის იმ პერსპექტივას, რომელიც ბუნებაში არ არსებობს?! ვის ატყუებენ და ასულელებენ?! საქართველოს არანაირი ევროატლანტიკური მომავალი არ აქვს, საქართველოს ისინი არც განიხილავენ იმ სივრცეში...**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**«ქართული ოცნების» პოლიტიკური მომავალი დიდწილად სწორედ ევროკავშირის «რეკომენდაციების» შესრულებაზე, ანუ ლგბტ პირებისთვის «თავისუფალი გარემოს» უზრუნველყოფასა და მათთვის, როგორც ხელშეუხებელი ჯგუფებისთვის, გარკვეული საკანონმდებლო პრივილეგიების შექმნაზე იქნება დამოკიდებული (ეს კი თავისთავად გულისხმობს პარლამენტის მიერ უმკაცრესი სადამსჯელო მექანიზმების შემუშავებას «დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად»). ცნობისთვის: ზემოაღნიშნული რეზოლუციის გამოქვეყნების პარალელურად ევროკავშირმა საქართველო 45 მილიონი ევროთი დააფინანსა. მართალია, ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ ეს თანხა ეკონომიკურ რეფორმებს მოხმარდება, მაგრამ, დიდი ალბათობით, იგი უმცირესობების უფლებების გასაძლიერებლად გათვლილ პროექტებზე დაიხარჯება**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„დღეს რუსეთში დაახლოებით მილიონი ქართველი ცხოვრობს და ისინი არა მხოლოდ თავიანთ თავს, აქ მცხოვრებ ოჯახებსაც ინახავენ. საერთოდ, ამ წლების განმავლობაში გატარებული ჩვენი არასწორი, ვიტყოდი, რეალობას მოწყვეტილი, უგუნური პოლიტიკით მივაღწიეთ იმას, რომ არათუ მსოფლიოში, რეგიონშიც კი არც ერთი სახელმწიფოს პოლიტიკურ ელიტაში საიმედო და სერიოზული მოკავშირე არ გვყავს. და ეს იმ დროს, როცა მეზობელ სომხეთს ერთდროულად ჰყავს უძლიერესი ლობი რუსეთშიც და ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, არაფერს ვამბობ აზერბაიჯანზე, რომელსაც თურქეთის სახით უდიდესი მოკავშირე ჰყავს“.

# გურამ ნიკოლაიშვილი: პანთურქიზმის იდეები, რომელიც დღეს განსაკუთრებით მძლავრობს, ყველაზე სახიფათო სწორედ საქართველოსთვისაა

## «სომხეთი, რაც უნდა, იმას წაიღებს საქართველოსგან, აზერბაიჯანიც და ყველა სხვაც. ამჟამინდელი ხელისუფლება, უბრალოდ, უუნაროა...»

**თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი, რომელიც ბოლო პერიოდის საჯარო გამოსვლებში ანტიდასავლურ, განსაკუთრებით, ანტიამერიკულ განწყობებს არ მალავს, თავის იმპერიალისტურ ზრახვებს უკვე მკაფიოდ გამოხატავს და ამბობს, რომ თურქეთი, ყველა გამოწვევის მიუხედავად, ძველ დიდებას დაიბრუნებს. მისი თქმით, ქვეყანა ახალი გამარჯვებებისა და წარმატებების ზღურბლზეა: „როგორც ჩვენი ისტორიის ყველა პერიოდის განმავლობაში, თურქეთი ებრძვის ზეწოლას და უსამართლობას. ჩვენ ამ ბრძოლას აუცილებლად მოვიგებთ. თურქეთი თავის მიზნებს 2023 წლისთვის მიაღწევს და მთელი რეგიონის მომავალს განსაზღვრავს“... შეგახსენებთ, რომ ოფიციალური ანკარა წელს ბერძნულ ძალებზე გამარჯვების 96 წლის თავს აღნიშნავს. თურქეთის რესპუბლიკის გამოცხადებიდან 100 წელი კი ხუთ წელიწადში შესრულდება — 2023 წელს... რას ნიშნავს ან შეიძლება ნიშნავდეს მეზობელი ქვეყნის პრეზიდენტის განცხადება, რომ თურქეთი „მთელი რეგიონის მომავლს განსაზღვრავს“ და რა გეგმები შეიძლება ჰქონდეს ოფიციალურ ანკარას ამ ჭრილში საქართველოსთან მიმართ? „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება გენერალ-ლეიტენანტი გურამ ნიკოლაიშვილი.**

**— ბატონო გურამ, რეჯეფ თაიფ ერდოღანმა ამას წინათ განაცხადა, რომ თურქეთი 2023 წლისთვის, ანუ რესპუბლიკის გამოცხადებიდან 100 წლის თავზე მთელი რეგიონის მომავალს განსაზღვრავს. თქვენი აზრით, ჩვენთვის - საქართველოსთვის, რომელთანაც თურქეთს ტერიტორიული პრეტენზიები აქვს, რას ნიშნავს ეს განცხადება?**

— თურქეთის დიდი იმპერიის აღდგენის შესახებ განცხადებები, უკვე წლებია, კეთდება და ეს ახალი ნამდვილად არ არის. ამაზე ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლისას ლაპარაკობდნენ. რაც შეეხება საქართველოს, ვფიქრობ, პანთურქიზმის იდეები, რომელიც დღეს განსაკუთრებით მძლავრობს და ერდოღანის განცხადებებში ეს მკაფიოდ ჩანს, ეს ყველაზე სახიფათო სწორედ ჩვენთვისაა. რატომ? ჯერ ერთი, იმიტომ, რომ რეგიონში ჩვენ დღეს, ფაქტობრივად, მოკავშირე არ გვყავს, განსხვავებით სომხეთისგან, რომელიც პრაქტიკულად, რუსეთის მფარველობის ქვეშაა, და განსხვავებით აზერბაიჯანისგან, რომელიც მიტმასნილია დიდ სახელმწიფო თურქეთს. გარდა ამისა, საქართველოს ერთი რეგიონი — აჭარა, მთლიანად თუ არა, უკვე თითქმის დაპყრობილი აქვს თურქულ ინვესტიციებს და ეს ეკონომიკური ექსპანსია დღითიდღე იზრდება. სხვათა შორის, როცა თურქული იმპერიალიზმის საფრთხეებზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს ერთი რამ, რომ აზერბაიჯანიც ის სახელმწიფოა, რომელშიც პანთურქისტული მოძრაობა საკმაოდ ძლიერია. არადა, ვიცით, რომ ამ ქვეყანას საქართველოსთან აქვს გაკვეული ტერიტორიული პრეტენზიები, რომელზეც დღეს ღიად არ საუბრობენ, მაგრამ მომავალში შეიძლება, წამოსწიონ. ისე, აქვე, ალბათ, ამავე ჭრილში ძალიან საინტერესოა რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა. იმ მუქარების ფონზე, რომელიც დასავლეთიდან ისმის ერდოღანის მისამართით, თურქეთის ლიდერი ამბობს, რომ საჭიროების შემთხვევაში, გამოვა ჩრდილოატლანტიკური ალიანსიდან. ეს ნიშნავს, რომ ალიანსიდან გამოსული თურქეთი სხვა მოკავშირეების ძებნას დაიწყებს. ამ დროს ვინ შეიძლება იყოს მოკავშირე თუ არა რუსეთი. მოკლედ, ძალიან რთული გეოპოლიტიკური ვითარებაა, ეკონომიკურად, კულტურულად, იდეოლოგიურად ჩვენ, ფაქტობრივად, ვართ ალყაში...

**— ერთია ეკონომიკური ექსპანსია, მაგრამ, როგორ ფიქრობთ, დღევანდელ ვითარებაში არსებობს საფრთხე, რომ საქართველოს ნაწილი, ვთქვათ, აჭარა ან მხოლოდ ბათუმი ოფიციალურად მიიერთოს თურქეთმა?**

— დღევანდელი ვითარებისა და გეოპოლიტიკური პროცესების გათვალისწინებით, არ მგონია, რომ მათ ეს ძალისმიერი მეთოდებით გააკეთონ, მაგრამ გამორიცხული არაფერია. მთავარი, ალბათ, მაინც არის რუსეთთან შეთანხმება, ანუ, თუ მათ მოახერხეს და რუსეთთან შეთანხმდნენ და მოსკოვმა დათმოს ბათუმის მიმართულება, რა შეუშლით ხელს.

**— თქვენი აზრით, დასავლეთის ფაქტორი ან თუნდაც ის ეკონომიკური სანქციები, რომლებიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაუწესა თურქეთს, მის პოლიტიკაზე გავლენას ვერ მოახდენს?**

— დასავლეთს, განსაკუთრებით — ამერიკას, ჩვენისთანა სახელმწიფოების მომავალი რომ არ აინტერესებს, ამაზე ნათლად მეტყველებს ამას წინათ **დონალდ ტრამპის** მიერ ერთ-ერთ ინტერვიუში გაკეთებული განცხადება. როდესაც მას ჰკითხეს, რას ფიქრობს იმაზე, რომ ვაშინგტონის მიერ თურქეთისთვის დაწესებული სანქციები სხვა სახელმწიფოებსაც დააზარალებს, მან პირდაპირ უპასუხა: „მე ეს, საერთოდ, არ მაწუხებს!“ ანუ **ქვეყანას, რომელიც მიგვაჩნია მთავარ მოკავშირედ და სტრატეგიულ პარტნიორად, საერთოდ არ აწუხებს ის, რომ მის მიერ თურქეთისთვის ან იმავე რუსეთისთვის დაწესებული ეკონომიკური სანქციების გამო საქართველოც დაზარალდება.** სხვათა შორის, თავის დროზე საქართველოში ბევრი ხარობდა და ზეიმობდა იმის გამო, რომ რუსეთს დასავლეთმა სანქციები დაუწესა. არადა, ამ ხალხს ავიწყდება ერთი რამ: **დღეს რუსეთში დაახლოებით მილიონი ქართველი ცხოვრობს და ისინი არა მხოლოდ თავიანთ თავს, აქ მცხოვრებ ოჯახებსაც ინახავენ. საერთოდ, ამ წლების განმავლობაში გატარებული ჩვენი არასწორი, ვიტყოდი, რეალობას მოწყვეტილი, უგუნური პოლიტიკით მივაღწიეთ იმას, რომ არათუ მსოფლიოში, რეგიონშიც კი არც ერთი სახელმწიფოს პოლიტიკურ ელიტაში საიმედო და სერიოზული მოკავშირე, არ გვყავს. და ეს იმ დროს, როცა მეზობელ სომხეთს ერთდროულად ჰყავს უძლიერესი ლობი რუსეთშიც და ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, არაფერს ვამბობ აზერბაიჯანზე, რომელსაც თურქეთის სახით უდიდესი მოკავშირე ჰყავს.** აი, ეს არის ჩვენი რეალური მდგომარეობა და, თუ ვინმეს ჰგონია, დასავლეთი თურქეთს ან რუსეთს შუბლით შეასკდება საქართველოს გამო, ეს უკვე მისი პრობლემაა. ისე, რაც უფრო გამოვალთ ამ ილუზიებიდან, ჩვენთვისვეა უკეთესი...



**— ამ ვითარებაში რუსეთთან დიალოგსა და პირდაპირ მოლაპარაკებებს, ალბათ, არ აქვს ალტერნატივა, მაგრამ დღევანდელ ხელისუფლებას ამის არც ნება გააჩნია და არც რეალური შესაძლებლობა. როგორ ფიქრობთ, მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად შეიძლება ფუნდამენტური ცვლილებები მოხდეს და სათავეში მოვიდეს ძალა, რომელიც შეძლებს მდგომარეობის გამოსწორებას?**

— ძალიან მინდა, დავიჯერო, რომ ეს შესაძლებელია, მაგრამ, აბა, რომელია წარმოდგენილი კანდიდატებიდან ამის გამკეთებელი? ქალბატონი ზურაბიშვილი? კი ბატონო, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ მის პროგრამაში პირდაპირ წერია, რომ ის არის დასავლური პოლიტიკური ორიენტაციის. ეს ერთი. მეორე, იმავე პროგრამაში ერთ სიტყვასაც ვერ ნახავთ შეიარაღებულ ძალებზე, ჯარის გაძლიერებაზე, საერთოდ თავდაცვაზე და ა.შ. მიჩნდება შეკითხვა: როგორი უმაღლესი მთავარსარდალი შეიძლება იყოს ეს ადამიანი? საერთოდ, პრეზიდენტობის არც ერთ კანდიდატს, წარმოდგენილი, თუ არ ვცდები, სულ 37 კანდიდატია, არ აქვს ყურადღება გამახვილებული იმაზე, რომ საქართვველოს დღეს, ფაქტობრივად, არ ჰყავს საზღვაო და საჰაერო თავდაცვის ძალები. ამ დროს კონსტიტუციაში წერია, რომ დაცული ინდა იყოს ზღვაც, მთაც, ჰაერიც და ა.შ. მაგრამ როგორ უნდა დაიცვა რომელიმე მათგანი, როცა ყველაფერი გააუქმე?! ვფიქრობ, ეს კანდიდატები ვერაფერს შეცვლიან და მოლოდინი, რომ არჩევნების შემდეგ რამე შეიძლება სასიკეთოდ შემობრუნდეს, არ უნდა გვქონდეს. **სომხეთი, რაც უნდა, იმას წაიღებს საქართველოსგან; აზერბაიჯანიც და ყველა სხვაც. ამჟამინდელი ხელისუფლება, უბრალოდ, უუნაროა...**

**— დავუბრუნდეთ ისევ საფრთხეებს. ხელისუფლების მიდგომები ზოგჯერ არაადეკვატური რომ არის, გასაგებია, მაგრამ რა შეიძლება იყოს სწორი პოლიტიკა? რამ შეიძლება, თუნდაც ნაწილობრივ აგვაცილოს საფრთხეები?**

— ადრეც მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: **სანამ ხელისუფლების მთავარი ორიენტირი დასავლეთის გულის მოგება იქნება და გაგრძელდება თავის მოტყუების სამარცხვინო პოლიტიკა, რომ თურმე ნატო ჩვენი უსაფრთხოების ერთადერთი გარანტია, საქართველოსა და ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესები ყოველთვის უკანა პლანზე გადაიწევს. ეს კი ნიშნავს, რომ თურქეთისა და სხვა მეზობელი სახელმწიფოების ექსპანსიური პოლიტიკა ხვალ-ზეგ შეიძლება კიდევ უფრო გაძლიერდეს**, მაგრამ მმართველი გუნდი ისევ სირაქლემის პოზაში დარჩება. აი, ზუსტად ამ მიდგომის გამო ვართ დღეს ასეთ სასაცილო მდგომარეობაში — დასავლელი ლიდერები გვეუბნებიან, ნატოში ვერ მიგიღებთო, ჩვენ კი უკვე თავი ალიანსში გვგონია. თუმცა ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში, რა თქმა უნდა, ძალიან კარგად იციან, რომ არც ნატოსა და არც ევროკავშირის მიმართულებით საქართველოს პერსპექტივა არ აქვს. უბრალოდ, მიდის მოსახლეობის დაუსრულებელი „დაბოლება“: ხვალ თუ არა, ზეგ აუცილებლად მიგვიღებენ, დაგვიცავენ და მერე ყველაფერი კარგად იქნებაო. არ სრულდება ეს ზღაპრები...

**«სანამ ხელისუფლების მთავარი ორიენტირი დასავლეთის გულის მოგება იქნება და გაგრძელდება თავის მოტყუების სამარცხვინო პოლიტიკა, რომ თურმე ნატო ჩვენი უსაფრთხოების ერთადერთი გარანტია, საქართველოსა და ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესები ყოველთვის უკანა პლანზე გადაიწევს. ეს კი ნიშნავს, რომ თურქეთისა და სხვა მეზობელი სახელმწიფოების ექსპანსიური პოლიტიკა ხვალ-ზეგ შეიძლება კიდევ უფრო გაძლიერდეს»**

**მეზობელ სომხეთს ერთდროულად ჰყავს უძლიერესი ლობი რუსეთშიც და ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, არაფერს ვამბობ აზერბაიჯანზე, რომელსაც თურქეთის სახით უდიდესი მოკავშირე ჰყავს**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**შეფასებებში, რომლებიც პრეზიდენტის გადაწყვეტილებას მოჰყვა, მთავარ ადგილს იკავებს მოსაზრება, რომლის თანახმად, მარგველაშვილმა რეალისტურად შეაფასა საკუთარი რეიტინგი და რესურსები. შესაძლოა, მას, უბრალოდ, არ სურდა ვიქტორ იუშჩენკოს შეცდომის გამეორება, რომელმაც 2010 წელს უკრაინის პრეზიდენტის არჩევნებში 5,45%-ით მეხუთე ადგილი დაიკავა. ეს იყო ყველაზე ცუდი შედეგი მოქმედი პრეზიდენტისთვის კაცობრიობის ისტორიაში.**

# მარგველაშვილი მიდის, სააკაშვილი დაბრუნებას აპირებს

**გიორგი მარგველაშვილმა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე უარი თქვა. მის ნაბიჯს წინასაარჩევნო დრამატურგიაში არსებითი ცვლილებები არ შეუტანია, თუმცა გარკვეული მნიშვნელობა მას მაინც აქვს. სხვა კანდიდატების მზარდი აქტიურობა და თანამდევი სკანდალები იმაზე მიანიშნებს, რომ არჩევნებამდე დარჩენილი კვირები შეიძლება ფრიად დაძაბული გამოდგეს, თუმცა კომენტატორების უმრავლესობა კვლავ აღიქვამს პროცესს ისე, როგორც ჩაწყობილ საფეხბურთო მატჩს წინასწარ ცნობილი შედეგით.**

შეფასებებში, რომლებიც პრეზიდენტის გადაწყვეტილებას მოჰყვა, მთავარ ადგილს იკავებს მოსაზრება, რომლის თანახმად, **მარგველაშვილმა** რეალისტურად შეაფასა საკუთარი რეიტინგი და რესურსები. შესაძლოა, მას, უბრალოდ, არ სურდა **ვიქტორ იუშჩენკოს** შეცდომის გამეორება, რომელმაც 2010 წელს უკრაინის პრეზიდენტის არჩევნებში 5,45%-ით მეხუთე ადგილი დაიკავა. ეს იყო ყველაზე ცუდი შედეგი მოქმედი პრეზიდენტისთვის კაცობრიობის ისტორიაში — მან, ფაქტობრივად, გამორიცხა იუშჩენკოს შემდგომი მონაწილეობა უკრაინულ პოლიტიკაში.

თავის გახმაურებულ მიმართვაში პრეზიდენტისადმი **დავით უსუფაშვილი** მომავალ არჩევნებს განიხილავს, როგორც ერთგვარ ტრამპლინს 2020 წლის არჩევნებისთვის, და მოუწოდებდა მარგველაშვილს, გადაედგა ნაბიჯები, რომელიც მის გარშემო დაქსაქსული ოპოზიციის თუნდაც ნაწილის გაერთიანებას უზრუნველყოფდა. **პრეზიდენტმა, შესაძლოა, ჩათვალა, რომ უსუფაშვილის გეგმა ავანტიურისტული იმპროვიზაციაა და იმ გზით წავიდა, რომელიც მისთვის კარგად ნაცნობია და, სავარაუდოდ, უფრო კომფორტულიც — საზოგადოებრივმა აქტიურობამ 2020 წლისთვის თეორიულად შეიძლება გაცილებით მეტი საიმიჯო დივიდენდი მოუტანოს, ვიდრე ოპოზიციური ნამსხვრევების გაერთიანების მცდელობამ ფორს-მაჟორულ ვითარებაში, რესურსების გარეშე და უსუფაშვილთან ერთად.**

თავად უსუფაშვილი არენაზე დარჩა, თუმცა საეჭვოა, მან იმ ამომრჩევლების კონსოლიდირება მოახერხოს, რომელთათვის მიუღებელია ბიპოლარული მოდელის „ოცნება-ნაცმოძრაობა“ ორივე მხარე. მარტივად რომ ვთქვათ, გააკეთოს ის, რაც, ავად თუ კარგად, მოახერხა თბილისის მერის არჩევნებში ალეკო ელისაშვილმა. უსუფაშვილს ამ მხრივ ხელს ორი გარემოება უშლის: ამომრჩეველთა დიდი ნაწილი მას არსებული პოლიტიკური ელიტის ნაწილად აღიქვამს და არა მის (თუნდაც ილუზორულ) ალტერნატივად, ამასთანავე, კონსერვატიული ამომრჩეველი მას ლიბერალების ინტერესების გამომხატველად თვლის.

განცხადებების შეტანა ცესკოში 8 სექტემბერს სრულდება და, ვინაიდან საქართველოში ტრადიციად იქცა ამის გადადება ბოლო დღისთვის, ჩვენ მხოლოდ შაბათს გავიგებთ, მიიღებს თუ არა არჩევნებში მონაწილეობას პოტენციურად ძლიერი დამოუკიდებელი კანდიდატი. სწორედ ეს განსაზღვრავს იმას, წარიმართება თუ არა არჩევნები 2016 წლის შაბლონის შესაბამისად — „ქოცები ან ნაცები“.

**მიხეილ სააკაშვილის აქტიურობა სწორედ ამას უწყობს ხელს — ის ჰოლანდიიდან ივანიშვილის რეჟიმის დასრულებით იმუქრება და ფრიად რადიკალურ განცხადებებს აკეთებს ზუსტად ისე, როგორც 2016-ში. ეს გადაჭარბებულ მოლოდინებს ქმნის ნაციონალების რიგებში და მათი მოწინააღმდეგეების ნევროზულობას აღვივებს, რაც, პრინციპში, ხელს აძლევს ბიძინა ივანიშვილს, რადგან საარჩევნო უბნებზე „ანტიმიშისტების“ მისვლის ალბათობას ზრდის.**

ამასთანავე, სააკაშვილი ცდილობს, უმწვავეს თემებს შეეხოს, მიუხედავად იმისა, რომ ადრე მათ პრიორიტეტულად არ აღიქვამდა ან განსხვავებული პოზიცია ჰქონდა. ცოტა ხნის წინათ მან, ჭარბვალიანობის კონტექსტში, დაიწყო საუბარი ბანკების ნეგატიურ როლზე, ბოლოს კი განაცხადა, რომ „საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, მთავრობის ცვლილების კვალდაკვალ, პირველი ნაბიჯი იქნება ბანკი „ქართუს“ ჩამორთმევა“. ეს ფრაზა თავისთავად ძალზე საგულისხმოა, რადგან პრეზიდენტის უფლებამოსილება მთავრობის შეცვლისთვის ან „ქართუს“ ჩამორთმევისთვის აშკარად არასაკმარისია და ის ცხადყოფს, რომ სააკაშვილი ამ არჩევნებს განიხილავს მხოლოდ როგორც ერთ-ერთ ეტაპს, რომელსაც (სავარაუდოდ, დაუყონებლივ) სრული რევანში უნდა მოჰყვეს. ბანკების თემა ძალზე აქტუალურია და, ალბათ, სწორედ ამიტომ „ქართული ოცნება“ შეეცადა, მამუკა ბახტაძისთვის ბანკირების გაუმაძღრობასთან მებრძოლის იმიჯი წინმსწრებად, თანამდებობაზე მის დანიშვნამდე შეექმნა.

**ახლახან სააკაშვილი მიგრაციის თემას შეეხო და განაცხადა, რომ „უკონტროლოდ წავიდა მიგრაცია, შემოდის ხალხი, რომელიც ტრადიციას არ სცემს პატივს“. მათ, ვინც აქტიურად უპირისპირდებოდა სააკაშვილის რეჟიმს, ეს სასაცილოდ არ ჰყოფნით, რადგან უკონტროლო მიგრაცია 2012-ში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბრალდება იყო, რომელსაც ხელისუფლებას უყენებდნენ.** თუმცა არსებობს გარემოება, რომელიც „ქართულ ოცნებას“ დამშვიდების საშუალებას არ აძლევს. მიუხედავად იმისა, რომ მიგრანტების შემოსვლა „ნაცმოძრაობის“ მმართველობის წლებში მიღებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა გაამარტივა და მათ საკმაოდ ხელსაყრელი პირობები შეუქმნეს, სიტუაცია განსაკუთრებით უკვე სააკაშვილის გადადგომის შემდეგ გართულდა, როდესაც საბრძოლო მოქმედებებმა სირიასა და ერაყში ძალზე ინტენსიური ხასიათი შეიძინა და რეგიონი მილიონობით ლტოლვილმა დატოვა. ელექტორატი, განსაკუთრებით კი მისი კონსერვატიული ნაწილი, ამ თემის მიმართ „ქართულ ოცნებას“ უდანაშაულოდ არ თვლის და, შესაძლოა, სწორედ ამან უბიძგა პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძეს საჯაროდ დაეანონსებინა მმართველი პარტიის დეპუტატების მიერ შემუშავებული ცვლილებების განხილვა კანონში „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“, რომელიც ბინადრობის ნებართვის მიღებას გაართულებს. ეს თბილისის მერის, კახი კალაძის, შემდეგ განცხადებას მოჰყვა: „კანონის ხარვეზი მდგომარეობს იმაში, რომ, თუ უცხო ქვეყნის მოქალაქე შეიძენს საქართველოში 35 000 დოლარის ღირებულების უძრავ ქონებას, ის ღებულობს ერთწლიანი ბინადრობის უფლებას, მაგრამ, თუ ამ საკუთრებას ის გადასცემს სხვას, ისიც მოიპოვებს ბინადრობის მოწმობას. ძალიან ბევრია შემთხვევები, როდესაც ერთი ადამიანი ყიდულობს ბინას და შემდეგ ფიქტიურად გადააფორმებს სხვა პიროვნებებზე და ისინიც იღებენ ბინადრობის უფლებას, ატრიალებენ ე.წ. კარუსელს, რაც კატეგორიულად მიუღებელია ჩვენთვის“.

**აშკარაა, რომ ხელისუფლება ცდილობს, ყველა პრობლემურ თემაზე ამომრჩეველთა უმრავლესობისთვის მისაღები გადაწყვეტილება მიიღოს, ამასთანავე, ბოლო წინასაარჩევნო დღეებს რამდენიმე ინფრასტრუქტურული (თან „პიარული“) პროექტის დასრულება დაამთხვიოს, თუმცა ამ დროს შეცდომებსაც უშვებს.** გასულ კვირას კახი კალაძის სახელი დაუკავშირდა ორ წამოწყებას, რომელმაც ხელი შეუწყო დედაქალაქის საზოგადოების პოლარიზებას (იგულისხმება ვარაზისხევის ქვაფენილის ჩანაცვლება ასფალტით და მთაწმინდის ფერდობზე წარწერა „თბილისის“ განთავსება). ეს უკანასკნელი იდეა, მკვეთრად ნეგატიური რეაქციის გამო, დედაქალაქის ხელისუფლებამ უკვე უარყო, თუმცა აქ მნიშვნელოვანია სხვა რამ (წინასაარჩევნო კონტექსტში მნიშვნელობა არ აქვს, რა არის უკეთესი) — ქვაფენილი თუ ასფალტი, მთავარია, რომ ამ თითქოს მეორეხარისხოვან თემასთან დაკავშირებულმა პოლარიზაციამ შეიძლება ხელისუფლებას ამომრჩევლები დააკარგვინოს იქ, სადაც ამის ალბათობა თითქოს დაბალი იყო.

**ბოლო წლების საარჩევნო გამოცდილება ადასტურებს, რომ, როდესაც მეორე ტურში პირისპირ რჩებიან „ქართული ოცნებისა“ და „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლები, „დამოუკიდებელი ამომრჩევლების“ უმრავლესობა ნაციონალის წინააღმდეგ ერთიანდება. შესაბამისად, ხელისუფლება იოლად იგებს.** 2016-ში, მაჟორიტარულ ოლქებში მეორე ტურის წინ, შეიმჩნეოდა კამპანიის აგორების მცდელობა, რომლის ორგანიზატორები ამტკიცებდნენ, რომ საჭიროა ხმის მიცემა „ქართული ოცნების“ საკონსტიტუციო უმრავლესობის წინააღმდეგ (შესაბამისად, ნაციონალი კანდიდატების მხარდაჭერა). ეს მცდელობა უშედეგო გამოდგა და ამომრჩევლების დიდმა ნაწილმა, როგორც ჩანს, ჩათვალა, რომ „ოცნების“ საკონსტიტუციო უმრავლესობა ნაკლები ბოროტებაა, ვიდრე პარლამენტში თუნდაც ერთი ნაციონალი მაჟორიტარის მოხვედრა. არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ოქტომბერში მოვლენები ანალოგიური სცენარით არ განვითარდება („ყველა ნაციონალების წინააღმდეგ“) და ამ კონტექსტში არსებითი მნიშვნელობა არ აქვს იმას, რომ „ოცნების“ მიერ მხარდაჭერილი კანდიდატი მისი ფორმალური წევრი არ იქნება. ძალები არათანაბარია, თუმცა სააკაშვილის პარტიას არ სურს, საზოგადოებაში დამკვიდრდეს მოსაზრება, რომ მას არჩევნების მოგების შანსი არ აქვს და, ისევე როგორც 2016-ში, წინასწარ ადანაშაულებს ხელისუფლებას გაყალბებაში.

გასულ კვირას ნაციონალებმა ამ მხრივ გარკვეული წარმატება მოიპოვეს, მას შემდეგ, რაც **რამდენიმე საარჩევნო კომისიაში განხორციელდა ზარები სახელისუფლო პარტიის სახელით. ამის შემდეგ კრწანისის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ დაწერა განცხადება თანამდებობიდან წასვლის თაობაზე, რადგან ჩანაწერი, რომელშიც მისი ხმა ისმის, ნამდვილად ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ კომისიის მუშაობას მმართველი პარტია აკონტროლებს (დავით ფეტვიაშვილი ირწმუნება, რომ მისი სიტყვები ამოგლეჯილია კონტექსტიდან)**. ამ ეპიზოდის კომენტირებისას პოლიტოლოგმა **ზაალ ანჯაფარიძემ** „პირველთან“ საუბარში განაცხადა: „ჩანაწერების სკანდალის“ აგორება მკაფიოდ წარმოაჩენს ოპოზიციის ამ ნაწილის მიზანს, ერთეული დარღვევები წარმოაჩინონ სისტემურად, მოახდინონ ცესკოსა და მთელი საარჩევნო პროცესის დისკრედიტაცია; საერთაშორისო წრეებში, ასევე საზოგადოებაში, მოახდინონ არჩევნების დელეგიტიმაცია და შესაბამისად დათესონ მისდამი უნდობლობა, ხოლო შემდეგ უკვე ამის საფუძველზე ქვეყანაში გამოიწვიონ დესტაბილიზაცია და ამის ფონზე შეეცადონ ხელისუფლების ხელში ჩაგდებას. ასეთი მეთოდებით მუშაობა მათი ხელწერაა, რომელსაც საზოგადოება უკვე შეეჩვია კიდეც“.

ამავე დროს ხელისუფლებას კიდევ ერთი პრობლემა შეექმნა — მსხვილმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა უარი თქვეს ცესკო-სთან ტრადიციული წინასაარჩევნო მემორანდუმის გაფორმებაზე და მოითხოვეს:

**„1. სოციალურ ქსელებში აგიტაციის თაობაზე მოხდეს კანონის პროგრესული განმარტება;**

**2. საარჩევნო დავების განხილვა წარიმართოს სრულყოფილად და ობიექტურად; 3. საარჩევნო ადმინისტრაციამ პატივი სცეს ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს და აიღოს პასუხისმგებლობა, რომ უზრუნველყოფს მათი საქმიანობისთვის სათანადო პირობების შექმნას“.**

შესაბამის განცხადებას ხელს აწერენ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“, „სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი“ და „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“. ცალკე აღებული ეს ეპიზოდი ხელისუფლებას განსაკუთრებულ პრობლემას, სავარაუდოდ, არ შეუქმნიდა, იქიდან გამომდინარე, რომ კონსენსუსი მოგვიანებით შედგებოდა, მაგრამ **ფეტვიაშვილთან დაკავშირებული სკანდალის ფონზე ნებისმიერი მსგავსი ფაქტი ხელს უწყობს სააკაშვილისთვის სასურველი მოსაზრების გავრცელებას — „ხელისუფლება გაყალბებისთვის ემზადება“.**

მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალებმა ამ მიმართულებით ტაქტიკურ წარმატებას მიაღწიეს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი 2003 წლის სცენარის გამეორებას და, არჩევნების გაყალბების წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით, ხელისუფლების დაუფლებას შეძლებენ. ამას გაცილებით დიდი რესურსი და საერთაშორისო მხარდაჭერა სჭირდება, რომელიც ამ ეტაპზე არ გააჩნიათ. თუმცა სააკაშვილი, როგორც ჩანს, კვლავინდებურად მიიჩნევს, რომ ცდა ბედის მონახევრეა.



**სააკაშვილის პარტიას არ სურს, საზოგადოებაში დამკვიდრდეს მოსაზრება, რომ მას არჩევნების მოგების შანსი არ აქვს და, ისევე როგორც 2016-ში, წინასწარ ადანაშაულებს ხელისუფლებას გაყალბებაში**

**იქნებ სულაც არ არის საჭირო ჩვენი ქვეყნისთვის „შეზღუდული“ პრეზიდენტი, პრეზიდენტი, რომელიც საკუთარ პოლიტიკას ვერ წარმართავს და თხასავით არის მიჩერებული, სხვა რას მიუთითებს და უკარნახებს?!**

მოუყვარეს პირში უძრახე...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «საქართველო და მსოფლიოს» მართალი სიტყვა ლახვარივით ხვდება ბევრს «ქეციან» გულში


სერგეი მესხი

**ორკვირიანი პაუზის შემდეგ „საქართველო და მსოფლიო“ კვლავ დაუბრუნდა თავის ერთგულ მკითხველს, რომელიც, ალბათ, მოუთმენლად ელოდა, რას იტყოდა გაზეთი ამ მოკლე ხანში მსოფლიოსა და საქართველოში მიმდინარე პროცესებზე, როგორ შეაფასებდა მათ, მკითხველის თვალსაზრისს რამდენად გამოხატავდა და ამით გულს მოფხანდა...**

**თუმცა ფხანა ვერაფერი გამოსავალია!**

**ისევ ილიას მივადექით: „ფხანა ქეცმა იცის, ნუ გაიქეციანებ გულს და ფხანაც საჭირო აღარ იქნება, სიტყვა სამურველი ხომ არ არის! მოსაკიდებელი ჩანგალია, რომ გული ან აქეთ მისწიოს, ან იქით, თორემ ობი მოეკიდება, როგორც კიდობანში დავიწყებულს პურს. გული ადგილიდამ უნდა მისძრა-მოსძრას კაცმა, თუ კაცს კაცის სიკეთე უნდა. ფხანა გულისა რის მაქნისია! უქმის კაცის საქმეა. თავადიშვილები ფეხის გულზე ხელს ასმევინებენ, რომ ძილი მოიგვარონ, გულის ფხანაც ის არის: ძილს მოჰგვრის. ის კი არ იციან, რომ, თუ წუთის-სოფელს ერთს ბეწო ხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა“. ამის გამო ოთარაანთ ქვრივზე სოფელში ამბობდნენ: გულის მაგიერ ქვა უდევსო, ილიას თვალში კი „ბარაქალა დედაკაცი“ გახლდათ.**

**„საქართველო და მსოფლიოს“ მართალი სიტყვაც ლახვარივით ხვდება ბევრს „ქეციან“ გულში და ტალახს გვესვრის, მაგრამ სანთელ-საკმეველი თავის გზას მაინც პოულობს. 1875 წელს ამაზე წერდა სერგეი მესხიც, როცა გაზეთ „დროებაში“ (№52) გამოაქვეყნა წერილი სათაურით „ლიტერატურული პატიოსნება“:**

„არსად არ არის ისე ძნელი პატიოსნების სახელის დაცვა, როგორც ჩვენში. სანამ არავის პიროვნებასა და იმის საზოგადო მოქმედების რომელსამე ცუდ მხარეებზე არა გვითქვამს-რა, სანამ თავმოყვარე კაცებს აქებ და არავის არ ამხილებ ნაკლულევანებასა და შეცდომას, მანამ პატიოსანი და ყოვლად საქები, ღირსეული კაცი ხარ.

მაგრამ ერთი გაბედე და ცოტა რამ ლაქა მონახე ვისმეს საზოგადო ცხოვრებაში და მოქმედებაში, გაბედე და საქვეყნოდ გამოააშკარავე ისეთი ნაკლულევანება და მოქმედება რომლისამე პირისა, რომელსაც რამე საზოგადო მნიშვნელობა აქვს, და მაშინ ნახავ, თუ როგორ შემოგიკურთხებენ, რა ეპიტეტებით და სახელებით შეგამკობენ!

— ეს კაცი მთელს ქვეყანას ჰკიცხავს! ყოვლად საპატიო პირები და საქმეები ჩვარათაც არ მიაჩნიაო! ერიდე მაგას! ცუდი ენისა და უპატიოსნო კალმის პატრონი კაცი არისო!

ამგვარი საქმეები „დროებასაც“ დამართნია ხოლმე. სანამ რომელსამე საზოგადო მნიშვნელობის მქონებელ საქმესა ან პირს აქებდა, მანამ ამ საქმის გამკეთებელთა და პირთა სახეში „დროება“ მშვენიერი, პატიოსანი, ჭკვიანი, სარწმუნო გაზეთი იყო.

მაგრამ მოხდა უბედური შემთხვევა, და გაზეთმა ერთი ნაკლულევანება შენიშნა იმათში და, — დახე იმის მხნეობას! — არა თუ შენიშნა, გაბედა კიდეც (თუმცა ძალიან მკრთალათ და მოწიწებით), რომ იმაზე საზოგადოების ყურადღება მიექცია. ეს გარემოება საკმაოა, რომ სრულებით შეიცვალონ აზრი გაზეთის ხასიათსა და ღირსებაზე.

გუშინ „დროება“ სარწმუნო გაზეთი იყო; დღეს იმან ამა და ამ საქმეში, რომელსაც მე თანავუგრძნობ, ნაკლულევანების მონახვა და გამოაშკარავება გაბედა? — არა დაუჯეროთ-რა „დროებას“, სულ ტყუილებს ლაპარაკობს!

გუშინ „დროება“ ჭკვიანი, საინტერესო გაზეთი იყო; მაგრამ დღეს იმან ისეთს საგნებზე დაიწყო სჯა და ისეთნაირი სჯა, რომ იმაში არც ჭკუა სჩანს და საზოგადოდ არც არაფერი საინტერესო იბეჭდება!

გუშინ „დროება“ პატიოსანი გაზეთი იყო; მაგრამ დღეს იმან ჩემი შეხება გაბედა? – უპატიოსნო გაზეთი ყოფილა!

ამგვარს სჯაზე უარესი კიდევ ის არის, რომ ხანდისხან ზოგიერთნი პირნი ისეთის ხერხით, ისეთის საშუალებით ავრცელებენ გაზეთზე ცუდს ხმებს, რომ პასუხის გაცემა შეუძლებელი და მოუხერხებელია.

ესეც კიდევ არაფერი: ზოგჯერ ისეთს შემთხვევაში გამოილაშქრებენ „დროებაზე“, როდესაც იციან, რომ გაზეთი, სხვა და სხვა მიზეზების გამო, ხმას ვერ ამოიღებს. ისეთს საგანზედ დაუწყებენ გაზეთს ლაპარაკს, რომელზედაც ის გაჩუმებული უნდა იყვეს.

მკითხველმა გაარჩიოს: რომელია ამ ორში უფრო მართალი და პატიოსანი: გაზეთი, რომელიც მუდამ პირდაპირ ლაპარაკობს და გადაკვრით თუ იტყვის სიტყვას, მხოლოდ იმიტომ, რომ პირდაპირ ვერ უთქვამს; თუ ისინი, ვინც ჩუმად ცდილობენ, გაზეთს ორმო გაუთხარონ, და აშკარად თუ გამოდიან, მხოლოდ იმისთანა შემთხვევაში, როდესაც გაზეთის მხრით სრულებით საქმის გამოაშკარავება და იმის შეხება შეუძლებელია“.

**140 წლის წინათ დაბეჭდილი წერილი იმიტომ გავიხსენეთ, ჩვენს მკითხველს რომ შევახსენოთ, პრესის მუშაობა რა ძაღლუმადური საქმეა: თუ აქებ ვინმეს — კარგი ხარ, მაგრამ, ნაკლზე თუ მიუთითე და სიავეში ამხილე — ტენდენციური და არაობიექტური; თუ მავანს ერთხელ თავისი ნააზრევი დაუბეჭდე, მის თვალში ღმერთად იქცევი, მაგრამ შემდეგ და შემდეგ მადაზე მოსულს თუ უარი უთხარი ათასი სისულელის გამოქვეყნებაზე, წყალს გაგატანს, ტალახს გესვრის, შენს ღირსებას ეჭვქვეშ დააყენებს... ასე იყო ადრეც და ასეა ახლაც.**

**„საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციას მსგავსი საქციელით ვერავინ გააკვირვებს, მაგრამ გულსატკენი ის არის, რომ ბევრი ადამიანი, რომლებიც ჩვენს გაზეთს იყენებდნენ ტრიბუნად, რათა თავი წარმოეჩინათ სამშობლოს გულდათუთქულ ჭირისუფლებად, სინამდვილეში განდიდების მანიით შეპყრობილი მედროვეები, ვაიპატრიოტები აღმოჩნდნენ, საკუთარი ხელით რომ ჩამოიხსნეს ნიღბები.**

**ჩვენი მსაჯული კი მკითხველია, მკითხველი, რომელიც ყოველთვის არჩევს, ვინაა მართალი — გაზეთი, რომელიც მუდამ პირდაპირ ამბობს სიმართლეს, თუ ისინი, ვინც ჩუმად ცდილობს, გაზეთს სამარე გაუთხაროს.**

**რას იზამ: „ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“.**

**ჩვენი მსაჯული კი მკითხველია, მკითხველი, რომელიც ყოველთვის არჩევს, ვინაა მართალი — გაზეთი, რომელიც მუდამ პირდაპირ ამბობს სიმართლეს, თუ ისინი, ვინც ჩუმად ცდილობს, გაზეთს სამარე გაუთხაროს. რას იზამ: «ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების»**

# იმედგაცრუებული კაცის ჩანაწერები

### არჩევნების „სახალისო მათემატიკა“

მოსახლეობის ნახევარზე მეტი არჩევნებში არ მონაწილეობს.

ვთქვათ, საარჩევნო ყუთებთან მივიდა მოსახლეობის 50 პროცენტი (ამდენი არ მიდის, მაგრამ მაინც!);

არჩევნების შედეგებს გამარჯვებული პარტია სიამაყით აცხადებს — ხმების 47 პროცენტი მივიღეთო;

ჯანდაბა ჩვენს მტერს, წავახალისოთ და ცოტა წავუმატოთ: 50 პროცენტი!

ეს არის ამომრჩეველთა ნახევრის ნახევარი!

ანუ 100 ამომრჩევლის მეოთხედი — 25 ადამიანი.

გაყალბების მაჩვენებელი, გავუწიოთ ანგარიში და, ვთქვათ, არის 5 კაცი;

დარწმუნებული ვარ, დახელოვნებული გამყალბებელი 5 კაცს არ დასჯერდება.

აქაც ვუშელავათოთ გამარჯვებულ პარტიას და დავუტოვოთ 5 კაცი!

ახლა ადვილია დასკვნის გამოტანა:

გამარჯვებული აირჩია 100 ამომრჩევლიდან 20-კაცმა!

მივულოცოთ, თუ არ შერცხვება!..

ამისთანა არჩეული სიამაყითაც კი იტყვის: ხალხის რჩეული ვარო.

დაჯდება მერე ამისთანა კაცი პრეზიდენტად, დეპუტატად, ქალაქის მერად და ხელს ვერ ახლებ ვაგლახად!

ხალხის არჩეულია.

ასიდან 20 კაცის!

იმუნიტეტიც იცავს!

და 100 დაპირებიდან ერთი ან ორი, ისიც ძალიან უმნიშვნელო, შეიძლება, შეგისრულოს!

და ხდებიან ასე მაღალ „ხელფასიჩები“, „პრემიებიჩები“ და „დანამატიჩები“.

და სულ უნდათ, იყვნენ ამ გაღატაკებულ ქვეყანაში „მაღალხელფასიჩები“, „პრემიებიჩები“ და „ხელფასზე დანამატიჩები“.

ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ყურმოკრული მაქვს, მილიონები რომ არის საჭირო ამ ტრაგიკომედიის ჩასატარებლად.

და ჩემდაუნებურად ჩნდება კითხვა:

„ჩინჩვლის“ გარდა, რა სარგებლობა მოაქვს არჩევნებს?

### გვჭირდება „შეზღუდული“ პრეზიდენტი?

პრეზიდენტის უფლებები კონსტიტუციით კაი გვარიანად არის შეზღუდულიო.

მაგრამ ეს კანდიდატები ქვეყნის აშენებასა და ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებას რომ გვპირდებიან, როგორ ვირწმუნოთ?!

ვითომ ფიქრობენ, ხალხმა ამ შეზღუდვების შესახებ არაფერი იცის ან იცოდა და ახლა დავიწყებული ექნებაო?

რავა დავიჯერო, ყველა კანდიდატი „ფოკუზნიკია“ და ჩვენ თვალწინ კონსტიტუციის გვერდის ავლით სასწაულებს მოახდენს?!

იქნებ სულაც არ არის საჭირო ჩვენი ქვეყნისთვის „შეზღუდული“ პრეზიდენტი, პრეზიდენტი, რომელიც საკუთარ პოლიტიკას ვერ წარმართავს და თხასავით არის მიჩერებული, სხვა რას მიუთითებს და უკარნახებს?!

### რატომ გვაქვს მხოლოდ ღმერთის იმედი...

ყველა პოლიტიკოსი მატყუარაა!

ყველა მეთევზე და ყველა მონადირე!

თუმცა ბოლო ორი უწყინარ ტყუილს ამბობს და მაინც და მაინც არც არავის აუბედურებს... ამათი ტყუილების გამო კი ხელში შეგვრჩა ქვეყანა



* რომელიც საკუთარ მოქალაქეს ვერ იცავს სათანადოდ;
* რომელიც დავით აღმაშენებლის ძეგლს ვერ დგამს ბათუმში, — ჩვენს მეგობარ თურქებს არ ეწყინოთო;
* რომლის ხელში დამცრობილია მართლმადიდებლობა;
* რომელმაც უცხოელებით გაავსო საქართველო...
* რომელიც მხოლოდ მთავრობისა და ხელისუფლებისთვის არის მეწველი („ძროხას“ აღარ ვწერ, რადგან ძალიან მიყვარს ჩემი სამშობლო და ამას ვერ ვკადრებ!), ხოლო მილიონობით ქართველისთვის, ვშიშობ, სამუდამოდ რძეგამშრალი...
* რომელმაც თავი ვერ დააღწია შინაურ მრავალრიცხოვან მტერს...

მინდა, პრეზიდენტობის კანდიდატებს მოკრძალებულად ვთხოვო:

ძალიან ბევრ ტყუილს ნუ იტყვით!..

ნუ აჯობებთ მსოფლიოს გამოჩენილ მეზღაპრეებს!

ნუ აგინებინებთ ხალხს თქვენთვის ყველაზე ძვირფას ადამიანებს!

იყავით თავშეკავებული და დაგვპირდით მხოლოდ იმას, რის შესრულების შესაძლებლობაც აქვს ჩვენს ქვეყანაში პრეზიდენტს!

**პატივისცემით,**

**ვალიკო მარკოზიჩი**

**P.S. ღმერთს ვთხოვ, ვცდებოდე და მალე თქვენი კაიპრეზიდენტობის გამო შევყვირო:**

**შევცდი და მიხარია, ღმერთო!**

**შევცდი და მაპატიე, ღმერთო!**



ავი მესაიფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**რადგან მთელი ლიბერასტული დასავლეთი და, კონკრეტულად, ჯონ მაკეინი წლების განმავლობაში მათ მიერვე „დემოკრატიის შუქურად“ შერაცხილ სააკაშვილის ფაშისტურ-სადისტურ რეჟიმს უჭერდა მხარს და, აქედან გამომდინარე, როგორც, საზოგადოდ, დასავლეთი, ასევე, კონკრეტულად, მაკეინი იმ სისხლისა და ცრემლის თანამონაწილეა, რომელიც 9 წლის განმავლობაში უხვად ღვარა სააკაშვილის რეჟიმმა. მაკეინის სახელს ქუჩებსა და მოედნებს კი არ უნდა ვარქმევდეთ, სამარადჟამოდ უნდა შევაჩვენოთ, როგორც საქართველოს დაუძინებელი მტერი.**

„რუსეთთან უნდა აღდგეს ძმური ურთიერთობა და ეს უნდა მოხდეს ძალიან მალე!“

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ერთ-ერთი ქადაგებიდან...

# ისლამიზაციას გადარჩენილი ქართველი ერი ლგბტ-ზაციის საფრთხის წინაშე

**ცხონებულმა ლევან სანიკიძემ (უწიგნური ლიბერასტების საყურადღებოდ: „უქარქაშო ხმლების“ ტეტრალოგიის ავტორია) თავის დროზე 309 ისტორიული ქართული სირცხვილი და 777 სიქველე დაგვითვალა ქართველებს და ისტორიკოსი-მწერალი, ალბათ, იმ იმედით წავიდა იმქვეყნად, რომ მომავალი თაობები არათუ თავს შეირცხვენდნენ, პირიქით, სიქველეთა რაოდენობას გაზრდიდნენ, მაგრამ...**

„საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციის შვებულებაში ყოფნის პერიოდში იმდენი რამ მოხდა საქართველოში, რომ, სიქველისა რა მოგახსენოთ და, სირცხვილის ფაქტებმა რამდენიმე პუნქტით იმატა... თვითონ განსაჯეთ:

ჯერ იყო და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის 10 წლისთავზე თბილისს ეწვია გერმანიის კანცლერი — ფრაუ **ანგელა მერკელი,** რომელსაც ისე შესციცინებდნენ თვალებში ქოც-ნაცები (წინა სტატიებში არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ ქოცებმა და ნაცებმა ქართველი საზოგადოების თვალის ასახვევად დაირქვეს ხელისუფლება და ოპოზიცია. სინამდვილეში კი ორივე ნეოლიბერასტული იდეოლოგიის ალხანა-ჩალხანაა და ორივეს ერთი უფროსი ჰყავს — „ძია სემი“), როგორც წყალობის მომლოდინე მათხოვრები უყურებენ ხელებში ქუჩაში გამვლელ-გამომვლელთ. კავკასიური ტურნეს დასაწყისში საქართველოში გავლით მყოფმა კეთილმა ფრაუმაც არ დააღალატა მასპინძლები — **მეო, მართალია, მხოლოდ 10 წლის შემდეგ გამახსენდა საქართველო, მაგრამ, სამაგიეროდ, რუსეთ-საქართველოს ომიდან 10 წლის შემდეგაც მხარს ვუჭერ თქვენი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას და მეტი რაღა გინდათო** (აქაც და ქვემოთაც, სადაც დამჭირდება, მავანთა ნათქვამის შინაარსზე ვარ პასუხისმგებელი, და არა ზუსტ ციტირებაზე)?! **თუმცა იქვე დასძინა: ფუჭი დაპირებები არ მინდა მოგცეთ და ამიტომ იცოდეთ, უახლოესი 5 წლის განმავლობაში ვერც ნატოში მიგიღებთ და მით უმეტეს — ვერც ევროკავშირშიო და, საერთოდაც, გახსოვდეთ, რომ ისევე როგორც გერმანიისთვის, ასევე სრულიად ევროპისთვის რუსეთთან კარგი ურთიერთობების დამყარებაა მთავარი პრიორიტეტიო — „ცივი წყალი გადაასხა“ ფინია ძაღლებივით ორ თათზე შემდგარ ქოც-ნაცებს,** მაგრამ რად გინდა?! მაგათ ხომ ევროპა-ნატოს ზღაპრები ე.წ. საშინაო მოხმარებისთვის, ქართველი საზოგადოების „დასაბოლებლად“ სჭირდებათ; იმას კი ვერ აცნობიერებენ, რომ ქოც-ნაცების სახით სრულიად ქართველ ერს გვიგდებენ მასხრად და სულში გვაფურთხებენ ჩვენი დასავლელი „მეგობრები“...

თუმცა კიდევ ერთი სირცხვილი თურმე წინ გვქონია — როცა ფრაუ **მერკელს** ვერაფრით ათქმევინეს, რომ რუსეთი ოკუპანტია, ქოც-ნაცებმა საქმეში ჩართეს რუსოფობი სტუდენტები, რომლებმაც უნივერსიტეტში მისული ანგელა ლამის „შააღონეს“ და მესამედ დასმულ კითხვაზე, რატომ არ იყენებთ ტერმინ **ოკუპაციასო**, „ეროპული საქართველოს“ წევრ(?) სტუდენტს უპასუხა — თქვენი ტერიტორიების 20% ოკუპირებულიაო. ამის გამო ისეთი ყიჟინა დასცეს სტუდენტებმა, გეგონებოდათ, ოკუპირებული ცხინვალ-სოხუმი დავიბრუნეთ. ამ სამარცხვინო მარაზმს შეცბუნებულ-გაკვირვებული უცქერდა გერმანიის კანცლერი: ნეტავი რა უხარიათ და უნივერსიტეტის აუდიტორიიდან პირდაპირ კონფლიქტის ზონისკენ გასწია, ჭოგრიტით გახედა რუსულ სამხედრო ბაზას და, როგორც **ვალერი კვარაცხელიამ** „წაილადავა“, ალბათ, გაიფიქრა: ეჰ, რომ არა გორელი **სტალინი,** აქ ახლა რუსეთის კი არა, მესამე რაიხის სამხედრო ბაზა იქნებოდაო. სერიოზულად კი, **კონფლიქტის ზონაში ჩასული ფრაუ მერკელი, ალბათ, კიდევ ერთხელ დარწმუნდა რუსეთთან კარგი ურთიერთობების ულტერნატივობაში,** რასაც ვერ ვიტყვი ურაპატრიოტ, რუსოფობ ქოც-ნაცებსა და მათ მიერ „მოწამლულ“ სტუდენტებზე. ისინი დღენიადაგ უჩიჩხინებენ ყალყზე შემდგარ დათვს — რუსეთს, რომელსაც, სირიის შემდეგ, ჟარგონით თუ ვიტყვით, „ზადნი“ აღარ აქვს. ასე იყო თუ ისე, ფრაუ მერკელი გავისტუმრეთ ერევან-ბაქოში, სადაც, თბილისისგან განსხვავებით, არ „შაუღონებიათ“ მაღალი სტუმარი — აქეთ სომხებს: გინდა თუ არა, თქვი, ყარაბაღი ჰაოსიანთა ტერიტორიააო, და იქით აზერებს: არიქა, აღიარე, რომ აზერბაიჯანის ყარაბაღი ერევანს აქვს ოკუპირებულიო.

მერკელთან ასოცირებული სირცხვილი მონელებული არ გვქონდა, რომ თავს კიდევ ერთი „უბედურება“ დაგვატყდა — გარდაიცვალა სენატორი **ჯონ მაკეინი**, რომელიც კიევ-თბილისის პოლიტიკურმა ისტებლიშმენტმა ისე იგლოვა, როგორც არ უგლოვიათ მის მშობლიურ ამერიკაშიც კი?! რატომ თბილისსა და კიევში? — იმიტომ, რომ ორივე ანტირუსულ (ლიბერასტულ) რეჟიმს წლების განმავლობაში ისტერიკულად უჭერდა მხარს რუსოფობი სენატორი, თუმცა კიევის ბანდერელ-ფაშისტ ხელისუფლებას, რომ იტყვიან, თავში ქვა უხლია, ჩვენ ჩვენი ვიკითხოთ... „საქართველოს ერთგული მეგობარი“, „უშიშარი რაინდი“ — ამ ეპითეტებით შეამკეს მაკეინი. მეტიც, პრეზიდენტმა **მარგველაშვილმა** საქართველოს ეროვნული გმირი უწოდა რუსეთის ბოლმისგან გულგასერილ სენატორს. დიახ, რუსეთის ბოლმისგან, რადგან სწორედ საბჭოთა (რუსულმა) რაკეტამ ჩამოაგდო ვიეტნამის მშვიდობიანი მოსახლეობის დასაბომბად მიმავალი ახალგაზრდა ჯონ მაკეინის ავიაგამანადგურებელი, რის შემდეგაც რამდენიმე წელიწადი ვიეტნამელების ტყვეობაში გაატარა. როგორც ბოროტი ენები ამბობენ, „მადლიერ“ ვიეტნამელებს მომავალი სენატორისთვის მამაკაცისთვის სამარცხვინო პატივიც უციათ და ამიტომაც რუსული რაკეტით ამწვარი უკანალი საფლავში ბოლმად ჩაიტანა საქართველოს „ეროვნულმა გმირმა“(?!).

ეს ისე, მცირე „ლირიკული“ გადახვევა. ახლა კი პლასტელინ, ქსლისამბეჭველ პრეზიდენტს ვკითხოთ: **რომელი ერის ეროვნული გმირია ჯონ მაკეინი? იმ ერის ხომ არა, რომელსაც დაუნ-დებილი უწოდა „ფალოს-ოფოსმა“ მარგველამ?**

**დავით ბაქრაძე,** რომელიც მოგვიწოდებდა, დანაჩანგლით ებრძოლეთ რუსეთის არმიასო, უფრო შორს წავიდა, როცა განაცხადა, გორში სტალინის ქუჩას მაკეინის სახელი დავარქვათო და კიდევ ერთმა, ამჯერად ბათუმის საკრებულოს ნაც-დეპუტატმა, — ბათუმში ოკუპანტი ლერმონტოვის ქუჩა რად გვინდა, მაკეინის სახელი დავარქვათო!

რატომ, რისთვის, რა დამსახურებისთვის? — **იმისთვის, რომ აგვისტოს ომის დროს განაცხადა: „ჩვენ, ყველანი, ქართველები ვართო“?**

დიდი შეღავათია, ჩემმა მზემ! მნიშვნელოვანწილად სწორედ მაკეინის წაქეზებით დაიწყო **სააკაშვილმა** ცხინვალის დაბომბვა და საქართველოს კიდევ ერთხელ აოხრება, ახალი ტერიტორიების დაკარგვას უშველის მაკეინის ფრაზა „ჩვენ, ყველანი, ქართველები ვართ“? მით უმეტეს, რომ ეს არავის გაუზიარებია ჩვენს „მეგობარ“ დასავლეთში...

თუმცა ეგეც იქით იყოს და, რომ თქვა, სააკაშვილმა დაიწყო ომი, იმას არ ნიშნავს, რომ ომი საქართველომ დაიწყო, რადგან **სააკაშვილი და საქართველო ერთი და იგივე არ არის.** ასევეა ჯონ მაკეინის შემთხვევაშიც. ქოც-ნაცები რომ გაიძახიან, მაკეინი საქართველოს უჭერდა მხარსო, მაგათ თავიანთი დიპლიპიტო თავები საქართველო ხომ არ ჰგონიათ? **რადგან მთელი ლიბერასტული დასავლეთი და, კონკრეტულად, ჯონ მაკეინი წლების განმავლობაში მათ მიერვე „დემოკრატიის შუქურად“ შერაცხილ სააკაშვილის ფაშისტურ-სადისტურ რეჟიმს უჭერდა მხარს და, აქედან გამომდინარე, როგორც, საზოგადოდ, დასავლეთი, ასევე, კონკრეტულად, მაკეინი იმ სისხლისა და ცრემლის თანამონაწილეა, რომელიც 9 წლის განმავლობაში უხვად ღვარა სააკაშვილის რეჟიმმა. მაკეინის სახელს ქუჩებსა და მოედნებს კი არ უნდა ვარქმევდეთ, სამარადჟამოდ უნდა შევაჩვენოთ, როგორც საქართველოს დაუძინებელი მტერი.**

რამდენი ქუჩა თუ ძეგლია საქართველოში მათი, ვისაც საქართველოსთან არაფერი აკავშირებს ან თუ აკავშირებს, მხოლოდ ცუდი ან ზედაპირული: **ბუშის, პოლიტკოვსკაიას, სობჩაკის, კაჩინსკის** ქუჩები... სრული ბედნიერებისათვის, რომ იტყვიან, ამ ჩამონათვალს მაკეინიღა აკლია...

საქართველოში მაკეინის სახელის უკვდავსაყოფად მიმართული ქმედებები აშკარა მარაზმია იმ ფონზე, როდესაც საქართველოს უდიდესი მეფის, **დავით აღმაშენებლის,** ძეგლი თბილისის ცენტრიდან გააძევეს და მის ადგილას ველოსიპედი დაგვიდგეს. აღარაფერს ვიტყვი **ლადო ასათიანზე**, რომლის არც ძეგლი გვაქვს და მთაწმინდაზეც ვერ აგვისვენებია. არადა, ზოგიერთისგან განსხვავებით, ლადოს ადგილი სწორედ იქ არის, მთაწმინდაზე...

ყოველივე ზემოთქმული რომ არა, წინამდებარე წერილის ერთადერთი თემა გასულ კვირაში ტელეი-




**პრორუსული განწყობების მთავარი პროპაგანდისტი სწორედ «ჩვენი მეგობარი დასავლეთია», რომელიც წლების განმავლობაში მასხრად გვიგდებს და სულში გვაფურთხებს — ნატო-ევროკავშირში მიგიღებთ, მაპზე უკეთესს მოგცემთ, ასპირანტობას მოგცემთ და ა.შ. ამასობაში კი ჩვენი სამშობლო ცოტავდება და ცოტავდება!**



ახალი მუსაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უკვე ღიად საუბრობენ იმაზე, რომ ამერიკამ მესიჯი გაუგზავნა ყველა პარტნიორ ქვეყანას, რომ ურჩობის შემთხვევაში უკან დახევასა და მათთვის თავზე ხელის გადასმას არ აპირებს და დასჯის ყველას, ვინც არ დაემონება.



◀მედის ეთერში გასული ვრცელი სიუჟეტი იქნებოდა, რადგანაც იგი „საქართველო და მსოფლიოს“ ეხებოდა და ე.ი., პირადად თქვენს მონა-მორჩილსაც...

თურმე, ნუ იტყვით და, 5-6 სექტემბერს სასტუმრო „ვერეპალასში“ გაიმართება ორდღიანი სემინარი, რომელიც რუსეთის პრეზიდენტის ფონდიდან ფინანსდება და ამ სემინარზე ლექციებს წაიკითხავენ რუსი პოლიტოლოგები, ჟურნალისტები. ტელეკომპანია „იმედისთვის“ ამ ლექციების თემებიც ცნობილი ყოფილა, რაც დააანონსა კიდეც — რა ცუდია დასავლეთი და რა კარგია რუსეთი, ანუ, ორი სიტყვით თუ ვიტყვით, რუსული პროპაგანდა.

პროპაგანდა — ეს არის რაიმე იდეის, მოძღვრების, ცოდნის გავრცელება დაწვრილებითი და ღრმა ახსნა-განმარტების გზით; ფართო მასებზე იდეური ზემოქმედება, რასაც პოლიტიკური ხასიათი აქვს. ასე განმარტავს ამ ლათინურ ტერმინს უცხო სიტყვათა ლექსიკონი. ამ ტერმინში თავისთავად არავითარი „ბუა“ არ იგულისხმება, რომლითაც ცდილობენ, დააშინონ ქართველი საზოგადოება, რაც წლების განმავლობაში ვერ შეძლეს, რადგან, თუ ერთი რამის, უკაცრავად და, უკანალი გაქვს, რა პრობლემაა — იდეას იდეა დაუპირისპირე, მოძღვრებას — მოძღვრება, ცოდნას — ცოდნა, დაწვრილებითი, ღრმა ახსნა-განმარტების გზით და ეგ არის, მაგრამ, რაც არ აქვთ ჩვენს ნეოლიბერალებს, რას დაუპირისპირებენ?!

უფრო სწორად, რაც აქვთ, ეს არის მუნჯის ენა, ბრმათა სინათლე და ტყუილის სიმართლე, ანუ სიცრუე... **საერთოდ, რომელ რუსულ პროპაგანდაზეა საუბარი, როდესაც რუსეთი საქართველოში ვერ აკონტროლებს ვერც ერთ ტელევიზიას, რომელიც პროპაგანდის უპირველესი საშუალებაა 21-ე საუკუნეში, მაგრამ, თუ ტელეკომპანია „იმედსა“ და სხვა მრავალ ე.წ. ნაციონალურ მაუწყებელთან უთანასწორო ჭიდილში „საქართველო და მსოფლიო“ ქმნის პრორუსულ განწყობებს, რომელიც დღითიდღე მატულობს საქართველოში, მაშინ გაზეთს სატრაბახოდ ჰქონია საქმე.** შესაბამისად, ისიც დიდი პატივია, რომ სემინარის ერთ-ერთ ორგანიზატორად „საქართველო და მსოფლიო“ დასახელდა — თუმცა, არა მგონია, ისე უჭირდეს ვლადიმერ პუტინის ფონდს, რომ „საქართველო და მსოფლიოს“ გარეშე ვერ შეძლოს ასეთი სემინარის ორგანიზება.

რეალურად, გაზეთის რედაქცია მასპინძლობას უწევს და ეხმარება რუს კოლეგებს მათთვის საინტერესო პიროვნებათა მოძიება-დაპატიჟებაში და სხვა წვრილმანი საკითხების მოგვარებაში, რომლებიც, შესაძლოა, სემინარის მიმდინარეობისას წარმოიშვას. ტელეკომპანია „იმედმა“ ისიც იკადრა, რომ ჩვენი გაზეთის ოფისში მიავლინა გადამღები ჯგუფი, რომელსაც კარი დაკეტილი დახვდა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რედაქცია შვებულებაში იყო, მაგრამ ეს სურათი ისე წარმოაჩინეს, თითქოს შეგვეშინდა და დავიმალეთ.

ახლა, რაც შეეხება ისევ ყბადაღებულ რუსულ პროპაგანდას — **პრორუსული განწყობების მთავარი პროპაგანდისტი, გაგიკვირდებათ და, სწორედ „ჩვენი მეგობარი დასავლეთია“, რომელიც წლების განმავლობაში მასხრად გვიგდებს და სულში გვაფურთხებს — ნატო-ევროკავშირში მიგიღებთ, მაპზე უკეთესს მოგცემთ, ასპირანტობას მოგცემთ და ა.შ. ამასობაში კი ჩვენი სამშობლო ცოტავდება და ცოტავდება!** რაც შეეხება იმას, რომ რუსეთი კარგია და დასავლეთი ცუდი, ერთი წუთით რუსეთს თავი დავანებოთ და მხოლოდ დასავლეთისა ვთქვათ:

*** ტყუილია ის, რომ დასავლეთი, როგორც ქრისტიანულ კულტურაზე აღმოცენებული ფენომენი, ცივილიზაცია, პრაქტიკულად, აღარ არსებობს?**

*** ტყუილია, რომ დასავლეთს ნეოლიბერალი ულმერთო ხლისტები მართავენ და, აქედან გამომდინარე, იქიდან საქართველოში მხოლოდ გარყვნილება და სიბინძურე შემოედინება?**

*** რუსული პროპაგანდაა ის, რომ სოროსის მიერ უხვად დაფინანსებული ე.წ. არასამთავრობო მესამე სექტორის, სახალხო დამცველის „რეკომენდაციებით“, აგრეთვე, დასავლეთს მიყიდული საკონსტიტუციო სასამართლოს ძალისხმევით ქოც-ნაცების ხელისუფლებამ, პრაქტიკულად, დაგვიკანონა ნარკომანია, პროსტიტუცია, პედერასტობა?**

* **თითიდან გამოწოვილი ე.წ. ოჯახური ძალადობის საშუალებით, პრაქტიკულად, დაგვინგრიეს ოჯახის წმინდა ინსტიტუტი — ათასობით საქმეა აღძრული, როდესაც მამა შვილს, ცოლი ქმარს, და ძმას და ა.შ. უჩივის; საერთოდ, რაზეა საუბარი, როცა სახალხო დამცველი უტიფრად აცხადებს, რომ ცნება „ოჯახის უფროსი“ დისკრიმინაციაა.**

ეეე, ტუტუც! ოჯახში უფროს-უმცროსობა ცხოველებშიც (ლომები, მგლები) და ერთუჯრედიან მწერებშიც (ფუტკარი, ჭიანჭველა) კი არსებობს...

ამ ყველაფრის ავტორი რომ „დემოკრატიული დასავლეთია“, ესეც რუსული პროპაგანდაა?

* და ყველაზე მთავარი — სოროსისტებმა საფუძვლიანად დაგვინგრიეს განათლების სისტემა, რომელიც თვით „საზიზღარი“ კომუნისტების დროსაც კი ისე აწყობილი მუშაობდა, რომ საშუალო სკოლადამთავრებული წყალწაღებული სამოსანიც კი სამშობლოს პატრიოტი გამოდიოდა. ახლა კი ე.წ. საჯარო სკოლებში ჩვენს შვილებს საქართველოს ისტორიას მხოლოდ შავთეთრ ფერებში ასწავლიან, რომლის მიხედვით საქართველოს გადამრჩენი რუსეთი არის ისტორიული მტერი, ხოლო მართლაც ჩვენი ამომგდები თურქეთი — ისტორიული მეგობარი. ეტყობა, სოროსისტებმაც კარგად იციან დიდი ილიას ნააზრევი: „ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როდესაც იგი საკუთარ ისტორიას ივიწყებს“...

უწიგნურობის შედეგია ის, რომ ჩვენმა შვილებმა არაფერი იციან **ილიას, აკაკის, ვაჟას, იაკობისა** და საქართველოს სხვა მრავალ შვილთა დამოკიდებულებაზე „ოკუპანტი“ რუსეთის მიმართ, რომელსაც ისინი ერთხმად უწოდებდნენ საქართველოს გადამრჩენს და რომ, ილია ჭავჭავაძის აზრით, დიდი რუსეთის გარეშე არ არსებობს ხსნა საქართველოსი.

დღესაც ასეა საქმე და უფრო უარესადაც — თუ 200 წლის წინათ რუსეთმა, ფიზიკურ განადგურებასთან ერთად, ისლამიზაციისგანაც გადაგვარჩინა, ანუ ზნეობრივი გადაგვარებისგანაც, დღეს ფიზიკურ განადგურებასთან ერთად გაცილებით უარესი გვემუქრება, რადგან ადრე მამა ღმერთის ყველას სწამდა და, მიუხედავად იმისა, რომელ რელიგიას აღიარებდნენ, ადამიანები ერთმანეთთან შეხების წერტილებს ადვილად პოულობდნენ, ანუ არსებობდა საერთო საზოგადოებრივი მორალი. ახლა კი ულმერთო, სატანისტი ნეოლიბერალების მთავარი ამოცანა მსოფლიოს განარკომანება და ლგბტ-ზაციაა, რაც სულიერი სიკვდილის ტოლფასია. სახარება გვასწავლის: გეშინოდეს არა ფიზიკური სიკვდილის, არამედ სულის წაწყმედისა!

ისევე, როგორც 200 წლის წინათ, ახლაც ერთმორწმუნე რუსეთი გადაარჩენს ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს, მიუხედავად იმისა, უნდათ თუ არა ეს ქოც-ნაცების ოკეანის გაღმა-გამოღმა პატრონებს...

**დავით მხეიძე**

**P.S. უკვე აღნავლდნენ რუსოფობი ასოები თუ ლიბერასტი პოლიტიკოს-ჟურნალისტები და, ზემოხსენებული სემინარის ჩაშლით თუ ვერა, სემინარის მონაწილეთათვის დისკომფორტის შექმნით იმუქრებიან. მობრძანდით, ბატონებო! აქა ვდგავართ და სხვაგვარად არ ძალგვიძს...**

# ბრმად უნდა აკეთო ის, რასაც ძია სემი გიბრძანებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერს დაკარგავ. არის თუ არა ეს თანამედროვე მონობა?

## რუსეთმა დაამტკიცა, ვინ არის მეგობარი, და ამერიკამაც დაამტკიცა, როგორ სჯის იმ სახელმწიფოებს, რომლებიც მის დაკრულზე არ ცეკვავენ



**საქართველოს გაცხადებული საგარეო კურსი ისევ ნატოსა და ევროკავშირისკენ სწრაფვაა. ამას ამტკიცებს როგორც ხელისუფლება, ისე ოპოზიცია და საკმარისია, ამ კურსიდან ვინმემ მილიმეტრით მაინც გადაუხვიოს, მაშინვე კრიტიკის ობიექტი ხდება. არადა, ნატოსა და ევროკავშირის კარზე, წლებია, უიმედოდ ვაკაკუნებთ და, წლებია გვეუბნებიან, მიგიღებთ, ოლონდ ჯერ არაო.**

ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ნატოში შესვლის შემთხვევაში ამ ორგანიზაციის ყველა წევრი, განსაკუთრებით, ამერიკის შეერთებული შტატები გვპირდება, რომ როგორც თანასწორს, ისე მოგვექცევა და გარეშე მტრისგან დაგვიცავს. ვიღაც რომ მტრისგან გიცავს და მეგობრობის ხელს გიწვდის, ძალიან კარგია, მაგრამ... ეს დაპირებაა, საქმით კი...

ნატოს წევრია ჩვენი მეზობელი თურქეთი, ქვეყანა, რომელიც მოსახლეობის რაოდენობით, ეკონომიკითა თუ განვითარებით, ძალიან გვისწრებს. შესაბამისად, თურქეთს, როგორც ნატოს წევრს, ამერიკამ, გერმანიამ, საფრანგეთმა და სხვა მოკავშირე ქვეყნებმა, წესითა და რიგით, თანადგომა უნდა გამოუცხადონ, მაგრამ ნურას უკაცრავად. თანადგომას ვინ ჩივის, აგერ, ამერიკა თურქეთს ერჩის და ქვეყნის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ამბობს, რომ თურქეთის დასჯა სურს. სწორედ ამერიკის მიერ დაწესებული სანქციების გამო გაუფასურდა რეკორდულად თურქეთის ეროვნული ვალუტა, ქვეყნის ეკონომიკამ მილიარდობით ზარალი განიცადა და ხელისუფლება იძულებულია, ვალი ვალზე აიღოს.

„ერდოღანით ძალიან იმედგაცრუებული ვარ, თუმცა ვნახოთ, რა მოხდება. თურქული ლირა ეცემა ჩვენი ძალიან ძლიერი დოლარის მიმართ. ამ მომენტისთვის ჩვენი ურთიერთობა თურქეთთან არც ისე ძალიან კარგია“, — განაცხადა **ტრამპმა.**

ამერიკის პრეზიდენტს „შეპასუხება“ ვერავინ გაუბედა, გარდა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრისა, რომელმაც შტატები მოურიდებლად გააკრიტიკა.

„ტრამპის მხრიდან იმის ზეიმი, რომ თურქეთს, ნატოს მოკავშირეს, ეკონომიკური ზიანი მიაყენა, სამარცხვინოა. აშშ-მა უარი უნდა თქვას სანქციებსა და დაშინებაზე, თორემ მსოფლიო გაერთიანდება, რათა აიძულოს, ეს გააკეთოს“, — დაწერა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა **მოჰამად ჯავად ზარიფმა**, თუმცა მას არავინ უსმენს — ამერიკა ისევ იმუქრება, თურქეთი ისევ შავ დღეშია.

თურქეთი თავის თავს მიხედავს, რადგან 80-მილიონიან ქვეყანას მსოფლიო ბოლომდე ვერ დაუპირისპირდება, რადგან ამან, შესაძლოა, ახალი ომი გამოიწვიოს, თუმცა საგულისხმოა, რომ გაჭირვების ჟამს მას ხელი რუსეთმა გაუწოდა. ჰო, იმ რუსეთმა, რომელზეც ამერიკა ამტკიცებდა, თურქეთის მტერია და მისი გაქრობა სურსო. რა გამოდის? განცხადება ერთია, ქმედება — მეორე? ამ ქმედებით **რუსეთმა დაამტკიცა, ვინ არის მეგობარი და ამერიკამაც დაამტკიცა, როგორ სჯის იმ სახელმწიფოებს, რომლებიც მის დაკრულზე არ ცეკვავენ. შესაბამისად, მიახლოებით მაინც ხომ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ამერიკის დაკრულზე საქართველოს ხელისუფლება დავლურს არ ჩამოუვლის?!** ხომ ხვდებით, რა ბერკეტების ამოქმედება შეუძლია ამერიკას? როცა 80-მილიონიანი თურქეთიც კი მილიარდობით დოლარით აზარალა, 3-მილიონიან საქართველოს რას უზამს?! და იმასაც ხომ ხვდებით, რომ მოკავშირეობაზე საუბარი უკვე, უბრალოდ, სისულელეა, რადგან იმაზე მყარი მოკავშირე, ვიდრე ნატოს წევრი თურქეთია, ამერიკისთვის ვერასდროს ვერ ვიქნებით.

რა გამოდის?! ყველაფერი, რასაც, ათეული წლებია, გვიმტკიცებენ, ფარსი ყოფილა. უბრალოდ, ფარსი და მეტი არაფერი. არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, სად ვიქნებით და როგორ ვიქნებით, **მთავარია, ამერიკა არ გავაბრაზოთ, თორემ საშვილიშვილოდ დაგვსჯის** და არაერთხელ დაცემულ ქვეყანას, ისეთ მუჯლუგუნს უთავაზებს, ბოლომდე დაანგრევს, ისედაც არარსებულ ეკონომიკას გაანულებს და ვალებში დამხრჩვალ ქვეყანას სესხსაც აღარავინ მისცემს (ჩვენი საჭიროებისათვის, უკვე დიდი ხანია, აღარ გვაძლევენ — რედ.) **ხელისუფლებისა და ოპოზიციის არც ერთ წარმომადგენელს, სწორედ მათ, ვინც დითირამბებს უმღერის შტატებს, კითხვაც არ გასჩენიათ, რატომ ექცევა ტრამპი ერთგულ პარტნიორს ასე. ეს იმიტომ, რომ კითხვის დასმაც კი ისჯება, ბრმად უნდა აკეთო ის, რასაც ძია სემი გიბრძანებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველაფერს დაკარგავ. არის თუ არა ეს თანამედროვე მონობა?!** სად ჩანს აქ თანასწორი პარტნიორობის შესაძლებლობა და სად ჩანს სამომავლო პერსპექტივა?! უკვე ღიად საუბრობენ იმაზე, რომ **ამერიკამ მესიჯი გაუგზავნა ყველა პარტნიორ ქვეყანას, რომ ურჩობის შემთხვევაში უკან დახევასა და მათთვის თავზე ხელის გადასმას არ აპირებს და დასჯის ყველას, ვინც არ დაემონება.**

პერსპექტივაში დავუშვათ, რომ ამერიკამ თურქეთს ომი გამოუცხადოს (ამის ნიშნები აშკარად იყო და საომარ მოქმედებებზე მინიშნება როგორც ერდოღანმა, ისე ტრამპმაც გააკეთეს), ხომ მოითხოვს ამერიკა ჩვენგან, როგორც სტრატეგიული პარტნიორისგან მხარდაჭერას? რას მოიმოქმედებს საქართველოს ხელისუფლება? თურქეთს ნახევარი თბილისი და აჭარის უდიდესი ნაწილი ისედაც „დაპყრობილი“ და ნაყიდი აქვს და, ხომ ხვდებით, რა მოხდება? **რუსეთი თურქეთს არ მიატოვებს, ირანიც მის მხარეს დადგება და... ამერიკამდე აქედან ვერავინ ვერაფერს მიაწვდენს, აქ შევასკდებით ერთმანეთს და მერე, როგორც ათი წლის წინათ, ფოთის პორტში შემოვა წყლითა და პამპერსებით დატვირთული გემი და ამერიკაც ხელებს შეიწმენდს: გეხმარებით, მეტი რა გინდათო.**

ერთხელ და სამუდამოდ ვაღიაროთ, რომ ნატოსკენ ამდენი წლის განმავლობაში ტყუილად მივილტვოდით, რომ ეს ყველაფერი ფარსია. გვერწმუნეთ, ქართველი ერი ამ აღიარებას გაპატიებთ, მაგრამ გვეეჭვება, ქვეყნის გაქრობისთვის გამეტება გაპატიონ. **მონად ვჭირდებით ამერიკასა და ევროპას და აგერ, თურქეთი რომ არ დაემონა, საშვილიშვილო პრობლემები შეუქმნა.** ჩვენ კი საშვილთაშვილო პრობლემები არ გვაკლია და ახალსაც ვიმატებთ.

**ბესო ბარბაქაძე**

სოციუმი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ვისი მოთხოვნით აფინანსებს ხელისუფლება თუნდაც იმ ფესტივალს, რომელსაც რეალურად არანაირი კულტურული ღირებულება არ აქვს და ნარკოტიკების გასასაღებელ ქარვასლად არის ქცეული? იმ ფესტივალს, რომელმაც შარშანაც და წელსაც არაერთი ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა და საამისოდ ბიუჯეტიდან მილიონობით ლარი დაიხარჯა?

# ერი გამოთაყვანების გზაზე დააყენეს

**მარიხუანის ლეგალიზაციის შემდეგ საქართველო ბოლავს. სადაც უნდა წახვიდეთ, სადაც უნდა შეხვიდეთ, მარიხუანის არსებობას ყველგან გრძნობთ სუნით, ახალგაზრდების გაუგებარი მოქმედებით, უაზროდ გაღიმებული სახეებით.**

დაგვტოვა საკონსტიტუციო სასამართლომ გაღიმებული (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) და ვერაფერს ვახერხებთ. უფრო სწორად, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ამ ყველაფერს აპროტესტებს, მაგრამ კანონმდებლები თურმე საკონსტიტუციო სასამართლოს წინააღმდეგ ვერ მიდიან, რადგან ამ ინსტიტუტის დაკნინება გამოვა, რაც ევროპელ და ამერიკელ პარტნიორებს თურმე არ მოეწონებათ. ჰოდა, იმათი მოწონების ხარჯზე, მთელი ერი გამოვდივართ დაკნინებული, **ერი, რომელიც გამოთაყვანების გზაზე დააყენეს და ამ გზას მყარი ნაბიჯებით მიუყვება.**

როგორც რიგითმა მოკვდავმა, ამ ზაფხულს სოფელს მივაშურე. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელში გახლდით ოჯახთან ერთად, შემდეგ — წალკაში, შემდეგ — იმერეთში და, მინდა გითხრათ, ერთგული თანამგზავრივით მარიხუანა წამითაც არ მომცილებია და თავს მახსენებდა. მე მარიხუანა არ მქონდა, მაგრამ ჰქონდა ყველას და მთავაზობდა უცნობი თუ ნაცნობი, მტერი თუ მოკეთე და არამხოლოდ მე, დასასვენებლად ჩასულ ნებისმიერ ადამიანს უწვდიდნენ საგულდაგულოდ გამზადებულ პლასტმასის ბოთლს, რომელშიც მარიხუანის ბოლი ასევე საგულდაგულოდ ჰქონდათ „დატყვევებული“. **მარიხუანის სუნი დგას ტყეში, სადარბაზოებში, საკუთარი სახლების ეზოებში. მშობლები შეწუხებული სახით ემუდარებიან შვილებს, თავი დაანებონ მოსაწევს, მიეხმარონ საოჯახო საქმეებში, მაგრამ არა — შვილი კაიფშია, ნირვანა აქვს და მშობელი ვერაფერს ახერხებს.** ხელით შეეხება შვილს და არასამთავრობოები ტელეეკრანზე გამოაჭენებენ, როგორც მოძალადე მშობელს, საქვეყნოდ თავს მოსჭრიან, შვილი კი ისევ განაგრძობს კაიფს.




**დღე არ გავა, ნარკოტიკით მოწამვლის ან გარდაცვალების შესახებ არ შევიტყოთ. ახალგაზრდები ჯგუფურად თუ ცალ-ცალკე იწამლებიან, მერე საავადმყოფოში მიჰყავთ, მერე მათი სიცოცხლისთვის ბრძოლა მიდის და გარდაცვალების შემთხვევაში თანატოლის საფლავზე მისული ახალგაზრდები... ისევ ეწევიან მარიხუანას — უყვარდა საწყალსო.**

ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ სამართალდამცავი ორგანოებიც შეეგუენ ამ ამბავს — აღარ აჩერებენ ზანცალით მიმავალ ახალგაზრდებს, აღარ დასდევენ ნარკომანებს, იმიტომ, რომ მერე ატყდება ერთი ამბავი და სამართალდამცველმა, შესაძლოა, სამსახურიც დაკარგოს. როგორც ჩანს, პოლიცია ამ ყველაფერს გაგებით მოეკიდა. აბა, რას უნდა დავაბრალოთ ის, რომ **რამდენიმე მუნიციპალიტეტში მოსახლეობა ჩიოდა, პატრულის თანამშრომლებიც ეწევიან, სხვას რა უნდა მოვთხოვოთო.** ამ თემაზე საუბრობს ყველა და კარგი იქნება, **გიორგი გახარია** თავის უწყებაში სისხლის ჩაბარების აქციას თუ მოაწყობს მოულოდნელად. ამით შს მინისტრი ორ კურდღელს დაიჭერს — გაიგებს, მისი თანამშრომლებიდან რამდენს ექნება სისხლში ნარკოტიკული ნივთიერება და, ვისაც არ ექნება, მათი სისხლი სხვების გადარჩენას მოხმარდება. აკი ყოველდღე ჩივის სისხლის ეროვნული ბანკი, დღეში ორასი კაცის გაღებული სისხლიც არ გვყოფნის, ისეთი მოთხოვნაა და უცხოეთში ვყიდულობთო, თუმცა ისინიც აღარ ყიდიან, სისხლის დეფიციტია მსოფლიოშიო. იმ შემთხვევაში, თუ გახარიას უწყებაში ათობით შემთხვევა არ გამოვლინდება, ოფიციალურად ბოდიშს მოვიხდით, მაგრამ ვაი, რომ ლეგალიზებული ნარკოტიკის მოტრფიალენი სამართალდამცავ უწყებაშიც ბევრია. სხვაგვარად წარმოუდგენელია, ერი და ბერი ხელს მათკენაც იშვერდეს და დანანებით ამბობდეს: პოლიციაც ამ გზას ადგასო.

როგორც ჩანს, **სახელმწიფომ ხელი ჩაიქნია ნარკოტიკებზე და აღარ აინტერესებს, ამის გამო მომავალ თაობას რა დაემართება. ანაკლიის ფესტივალი** ▶

# 2016-2017 სასწავლო წელს სკოლაში სწავლა 11 741-მა მოსწავლემ შეწყვიტა

# გაუნათლებელი ერის დამონება და დამორჩილება ადვილია

**ეროვნული გამოცდების მორიგი ეტაპი დასრულდა და ის ახალგაზრდები, რომლებსაც, სულ რაღაც, ორი თვის წინათ სკოლის მოსწავლეები, შემდეგ კი აბიტურიენტები ერქვათ, ორიოდე კვირაში უმაღლესი სასწავლებლების კარებს სტუდენტების სტატუსით შეაღებენ. მოლოდინი ბევრს გაუცრუვდა — თავად განსაჯეთ, უნივერსიტეტებში ვაკანტური 14 ათასი ადგილი დარჩა, თუმცა ამას ბოლო წლების განმავლობაში მივეჩვიეთ, რადგან საქართველოში 50-მდე უმაღლეს სასწავლებელს აქვს რეგისტრაცია გავლილი, მაშინ, როცა თავის დროზე ეს რიცხვი ათეულს არ სცდებოდა და ამის მიუხედავად, სწავლულებისა და პროფესიონალების კუთხით, საქართველო ერთ-ერთი მოწინავე იყო. სამწუხაროდ, ახლა პროფესიული ტექნიკუმების ნაკლებობაა, მუშაობა აღარავის სურს, ყველას უმაღლესი მიზნებისკენ უჭირავს თვალი და ეს, ერთი მხრივ, თუ კარგია, მეორე მხრივ, კატასტროფაა, რადგან მუშახელი, ანუ საშუალო ფენა საქართველოში, პრაქტიკულად, აღარ არსებობს.**

ცალკე პრობლემაა სკოლებიდან ნაადრევად გასული მოსწავლეები, ანუ იმ ბავშვების რაოდენობა, რომლებიც საშუალო განათლებასაც კი ვერ იღებენ. როცა ამ თემაზე პედაგოგები წუწუნებდნენ, ბევრი მოსწავლე სწავლას შუა გზაში ტოვებსო, არ გვეგონა, თუ საქმე ასეთ საგანგაშო სტატისტიკასთან გვექნებოდა. თავად განსაჯეთ, **2016-2017 სასწავლო წელს სკოლაში სწავლა 11 741-მა მოსწავლემ შეწყვიტა. სამწუხაროდ, ეს ოფიციალური მონაცემებია და ციფრებს ვერსად გავექცევით. აღნიშნულ პერიოდში საშუალო საფეხურზე (X-XII კლასები) სწავლა ვერ განაგრძო 8300-მა, ხოლო საბაზო საფეხურის (VII-IX კლასები) დასრულებამდე 3441-მა მოსწავლემ.**

საინტერესოა, რომ დედაქალაქში, სტატისტიკის მიხედვით, ყველაზე მეტმა მოსწავლემ მიატოვა სკოლა. თბილისის მასშტაბით ეს ციფრები ასე გამოიყურება: **საშუალო საფეხურზე სწავლა შეწყვიტა 2168 მოსწავლემ, ხოლო საბაზო საფეხურის დასრულებამდე — 1348-მა მოსწავლემ.** რაც შეეხება რეგიონებს, თბილისის შემდეგ ყველაზე მეტმა მოსწავლემ სკოლა ქვემო ქართლსა და კახეთში დატოვა, თუმცა აქ მნიშვნელოვანი როლი აზერბაიჯანულმა მოსახლეობამ ითამაშა, რადგან გოგონების უმრავლესობა დამამთავრებელ კლასებში თხოვდება და სკოლაში აღარ დადის. ქვემო ქართლში საშუალო საფეხურზე სწავლა ვერ განაგრძო 1835-მა მოსწავლემ, ხოლო საბაზო საფეხურის დასრულებამდე — 828-მა მოსწავლემ. კახეთში საშუალო საფეხურზე სწავლა შეწყვიტა 891-მა მოსწავლემ, ხოლო საბაზო საფეხურის დასრულებამდე — 327-მა მოსწავლემ.



რაც შეეხება კონკრეტულ რეგიონებს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ 2016-2017 სასწავლო წელს საშუალო საფეხურზე აფხაზეთში სკოლა დატოვა 64-მა მოსწავლემ, აჭარაში — 764-მა, გურიაში — 270-მა, იმერეთში — 738-მა, მცხეთა-მთიანეთში — 181-მა, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში — 37-მა, სამეგრელო-ზემო სვანეთში — 636-მა, სამცხე-ჯავახეთში — 312-მა, ხოლო შიდა ქართლში — 404-მა მოსწავლემ.

საბაზო საფეხურის დასრულებამდე აფხაზეთში სკოლა დატოვა 18-მა მოსწავლემ, აჭარაში — 226-მა, გურიაში — 36-მა, იმერეთში — 235-მა, მცხეთა-მთიანეთში — 32-მა, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში — 2-მა, სამეგრელო-ზემო სვანეთში — 128-მა, სამცხე-ჯავახეთში —156-მა, ხოლო შიდა ქართლში — 105-მა მოსწავლემ.

სხვათა შორის, ეს პრობლემა მხოლოდ წელს არ გვიდგას. ყოველწლიურად, სტაბილურად ათი ათასზე მეტი მოსწავლე ამბობს უარს სწავლაზე. ამის მიზეზი, იმავე სტატისტიკის მიხედვით, სხვადასხვაა. ათასამდე მოსწავლე პირდაპირ ამბობს, რომ სწავლას მუშაობის (?!) გამო ველარ ახერხებს, ორი ათასამდე მოსწავლე მშობლებთან ერთად საზღვარგარეთ მიდის საცხოვრებლად (შეგახსენებთ, რომ ეს ყოველწლიურად ხდება), ხოლო დანარჩენი რვა ▶

**რუსული ფულით პარლამენტში „შეთრეული დეპუტატები“ (გვარამიას ტერმინია) „რუსთავი 2“-ის გენერალურ დირექტორს თურმე ნერვებს უშლიან, მაგრამ იმავე რუსული ფულით დაფინანსებული ტელევიზია ნერვებს არ მოუშლის, იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში საქმე პირადად მას და მის ჯამაგირს ეხება.**

ორმაგი სტანდარტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **ამის ნათელი დასტურია. მაშინ, როცა უსახსრობის საბაბით არ და ვერ ფინანსდება ფოლკლორული ღონისძიებები, ვერ ფინანსდება სოციალური პროგრამები, მაქსიმალურად შეიზღუდა უფასო სამედიცინო მომსახურება, სახელმწიფომ გამონახა სახსრები და დააფინანსა ფესტივალი, რომელზეც პირველივე კვირაში 99 ნარკორეალიზატორი დააკავეს. როგორ გგონიათ, ამ „ბარიგებს“ დაესიზმრათ, რომ ანაკლიაში წამლის გაყიდვა შეიძლებოდა?** არა, ბატონებო, მათ ზუსტად იცოდნენ, რომ ეს ფესტივალი ნარკოტიკების ბუდეა და ამ ბუდეში საკუთარი კვერცხის დადება გადაწყვიტეს. ისიც ხომ ფაქტია, რომ სადაც ამდენი დააკავეს, სულ ცოტა, ორი ამდენი ვერ გამოავლინეს და მათ ხელი დაიცალეს, **ჩვენს ახალგაზრდებს შენელებული მოქმედების ნაღმი მიჰყიდეს, ნაღმი, რომელსაც სიკვდილი ჰქვია.** ამ სფეროში ჩახედულმა ერთმა ადამიანმა თქვა: როგორც ყველაფერი ნატურალური, ისე კარგი ნარკოტიკიც დეფიციტია მსოფლიოს მასშტაბით და ამიტომ ახალ ქიმიურ მინარევებს იგონებენ, შემდეგ ამ სიახლეს ისეთ ქვეყნებში ტესტავენ, როგორიც საქართველოა, და ასეულობით ახალგაზრდის სიკვდილი არაფერია იმ მასშტაბებთან შედარებით, რომელიც მათ დაგეგმილი აქვთ. ახალი ნარკოტიკებით მილიარდები უნდა ოშოვონ კონკრეტულმა ადამიანებმა და, ფულს სუნი რომ არ აქვს, კარგად მოგეხსენებათ. სწორედ ამიტომ ქართველი ექიმები ვერ ადგენენ იმ ნარკოტიკის შემადგენლობას, რომელიც ქართველი ახალგაზრდების სისხლშია, მათთვის, ისევე როგორც მთელი მსოფლიოსთვის, ეს ნარკოტიკი უცხოა. სამაგიეროდ, ისინი, ვინც ამ ნარკოტიკზე მუშაობენ, დასკვნებში იხედებიან, დოზებს ამცირებენ ან უმატებენ და საბოლოოდ მიიღებენ იმას, რაც ადამიანებს მყისიერად აღარ მოკლავს და ცოცხლად დაალპობს, ბოლო თეთრს გადაახდევინებს და შემდეგ წამებით წაიყვანს იმქვეყნად.

საგანგაშო სტატისტიკაა, ისეთი საგანგაშო, რომ ციფრები საჭირო არ არის. ისედაც ყოველდღიურად გვესმის, რომ ახალგაზრდები ნარკოტიკებით იწამლებიან, კვდებიან და... ხელისუფლება, უბრალოდ, არაფერს აკეთებს. სამაგიეროდ, თბილისის მაღაზიებში უკვე გამოჩნდა მარიხუანის მოსაწევი სპეციალური ატრიბუტიკა, რომლის ფასი 40 ლარიდან იწყება და 1500 ლარამდე ადის. **იქნებ არ დაგვიმალოთ და გვითხრათ: ვინ „დაითრია“ ეს ბიზნესი, ვის შემოაქვს მარიხუანის მოსაწევი ნივთები და შემთხვევით, სრულიად შემთხვევით, ამ ბიზნესის უკან რომელიმე მაღალჩინოსანი ან პარლამენტარი ხომ არ დგას? დაგვიმტკიცეთ, რომ არა, გვარი გვითხარით და სახელი შემომტანის, ბატონებო...**

◀ ათასი მოსწავლის მიერ სწავლაზე უარის თქმის მიზეზი უცნობია. თუმცა, რეალობას თუ თვალს გავუსწორებთ, უცნობი მიზეზი არ არსებობს და მთავარი პრობლემა უფულობაა. დიახ, **მოსწავლეებს არ სურთ სკოლაში დახეული ტანსაცმლით სიარული; არ სურთ, ძირგავარდნილი ფეხსაცმლის გამოჩენა; არ სურთ მშიერი თვალებით ყურება; აპროტესტებენ, უარს ამბობენ და მშობელიც იძულებულია, შეეგუოს ბედს. მით უმეტეს, მშობელს სწავლაზე მეტად ის ადარდებს, რა აჭამოს შვილებს, შიმშილით სული რომ არ გაძვრეთ.**

„ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სასკოლო წიგნები უფასო გახადა, მაგრამ, როგორც ხედავთ, ეს საკმარისი არ არის, ბატონებო. გასავითარებლად და სააზროვნოდ ბავშვებს საკვებიც სჭირდებათ, ის საკვები, რომელიც, უბრალოდ, არ აქვთ და მშობლებიც ვერაფერს ახერხებენ. ალბათ, ყველას გახსოვთ სულისშემძვრელი კადრი სარფის საბაჟოსთან, როცა მამას არასრულწლოვანი შვილი თურქეთში ჩაისა და ხილის საკრეფად მიჰყავდა და ამბობდა: სხვა გზა არ მაქვს, რადგან ოჯახი შიმშილის ზღვარზეაო. ასეთი ოჯახები ათასობით არის საქართველოში. ამ პირობებში **ვისი მოთხოვნით აფინანსებს ხელისუფლება თუნდაც იმ ფესტივალს, რომელსაც რეალურად არანაირი კულტურული ღირებულება არ აქვს და ნარკოტიკების გასასაღებელ ქარვასლად არის ქცეული? იმ ფესტივალს, რომელმაც შარშანაც და წელსაც არაერთი ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა და საამისოდ ბიუჯეტიდან მილიონობით ლარი დაიხარჯა?** ჰო, ფული დაიხარჯა ახალგაზრდების სიკვდილში და არ იხარჯება მათ გადარჩენაში. მით უმეტეს, სულ რაღაც ერთი კვირის წინათ თურქეთიდან გამოქცეული ქართველების კადრებმა წალეკა სოციალური ქსელი. **ჩვენი თანამემამულეები მონებივით ამუშავეს და ხელფასი არ გადაუხადეს, ანუ საშიმშილოდ განწირულ ხალხს მეზობელმა და მეგობარმა ქვეყანამ საკონტროლო გასროლა გაუკეთა და გაწირა.**

ხომ წარმოუდგენელია, რომ ეს სტატისტიკა ხელისუფლების უმაღლესმა პირებმა არ იცოდნენ?! ხომ არ შეიძლება, რომ ახალი პრემიერისთვის არ ეთქვათ, რაც ხდება, მაგრამ გსმენიათ, სადმე ვინმეს წამოსცდენოდა ამ პრობლემის შესახებ და მისი მოგვარების გზებზე ეზრუნა?! არა, ბატონებო, არა... სამაგიეროდ, ხელისუფლება ჯიუტად „აპრავებს“ უცხოელი ვიზიტორებისთვის რესტორნებში დახარჯულ მილიონობით ლარს და საკუთარი მომავალი შიმშილით უკვდება. ციფრები არასდროს ტყუის და ამ ციფრებით, გადაშენების გარდა, გაუნათლებლობის გზაზე დიდი ნაბიჯებით მივდივართ. **გაუნათლებელი ერის დამონება და დამორჩილება კი ყველაზე ადვილია.**

# გვარამიას ორმაგი თამაში

**„რუსეთის მეგობარი ჩემი მტერია, პირადი მტერი“, — არაერთხელ უთქვამს „რუსთავი 2“-ის გენერალურ დირექტორ ნიკა გვარამიას და ჩრდილოელი მეზობლის მიმართ არც სალანძღავი ეპითეტები დაუშურებია. რუსეთის დაცვას ნამდვილად არ ვაპირებთ, არ სჭირდება და იმიტომ, მაგრამ გვარამიას ორმაგ თამაშზე დაწვრილებით მოგახსენებთ.**



ნიკოლოზ ნაყოფია და ნიკოლოზ გვარამია

როცა ქართულ პოლიტიკაში **ბიძინა ივანიშვილი** გამოჩნდა, ერთ-ერთი ბრალდება, რომელიც მაშინ გვარამიამ წაუყენა მას, რუსეთის მოქალაქეობა იყო. მართალია, ექსპრემიერი იმხანად საფრანგეთის მოქალაქე გახლდათ, მაგრამ გვარამიასთვის ეს არაფერს წყვეტდა, — ფული ხომ რუსეთში იშოვა და ვალშია რუსეთთანო. არც ივანიშვილის დაცვას ვაპირებთ, მასაც არ სჭირდება და იმიტომ.

ადრეც და ახლაც, **„რუსთავი 2“-ის შეფი წითელ ხაზს ავლებს იმ ადამიანებთან, რომლებსაც რუსეთთან რაიმე შეხება მაინც აქვთ. მისთვის მიუღებელია პიროვნება, რომელიც რუსეთში ბიზნესს აკეთებს; მოღალატეა რუსეთის მოქალაქე; ხოლო, თუ ჩრდილოელ მეზობელზე კარგი წამოგცდა, მაშინ გვარამიასთვის პირადი მტერი ხარ. თანაც, ბატონი ნიკა მუდმივად იმეორებს, რომ ის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტელევიზიის შეფია, იმ ტელევიზიის, რომელიც ქვეყანაში თურმე ამინდს ქმნის.**

დაახლოებით ერთი თვის წინათ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრისა და პარტიული სიით პარლამენტის დეპუტატის, **კობა ნაყოფიას,** შვილი — **ნიკოლოზ ნაყოფია** „რუსთავი 2“-ის წილის მფლობელი გახდა. მხარეებს შორის ხელშეკრულება ოფიციალურად 9 აგვისტოს გაფორმდა, საჯარო რეესტრში კი 10 აგვისტოს დარეგისტრირდა. უფრო კონკრეტულად კი, ნაყოფია გახდა შპს ტელეკომპანია „საქართველოს“ 50%-იანი წილის მფლობელი. შპს ტელეკომპანია „საქართველო“, თავის მხრივ, ფლობს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის 51%-იან წილს.

უმცროსმა ნაყოფიამ ძმები ყარამანიშვილებისგან, რომლებიც ერთად ტელეკომპანია „საქართველოს“ 100-პროცენტიან წილს ფლობდნენ, კომპანიის წილები 4 მილიონი ამერიკული დოლარის ინვესტიციის განხორციელების ვალდებულებით მიიღო. ნახევარი მილიონი ნაყოფიას 2018 წლის 10 აგვისტოს, ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის, უნდა გადაეხადა, დარჩენილი 3.5 მილიონი დოლარი კი — მომდევნო სამ წელიწადში. თუ ნაყოფია ფინანსურ ვალდებულებას დათქმულ ვადაში არ შეასრულებს, ნასყიდობის ხელშეკრულების მიხედვით, შეთანხმება გაუქმდება. შედეგად, დღევანდელი მდგომარეობით, „რუსთავი 2“-ის მფლობელები არიან: **ლევან ყარამანიშვილი** — 22%, **გიორგი ყარამანიშვილი** — 18%, **ნინო ნიჟარაძე** — 9% და **ტელეკომპანია „საქართველო“** — 51%.

აი, ტელეკომპანია „საქართველოს“ მფლობელები კი არიან: ლევან ყარამანიშვილი — 25%, გიორგი ყარამანიშვილი — 25% და ნიკოლოზ ნაყოფია — 50%. აი, ასე უცნაურად დაეპატრონა საკონტროლო პაკეტს ნიკოლოზ ნაყოფია და...

**ჰოი, საოცრებავ! ბატონი ნაყოფია რუსეთის მოქალაქეა, რუსეთში ცხოვრობს, რუსეთში აქვს ბიზნესი და, სავარაუდოდ, რუსეთშივე ნაშოვნი ფულით აპირებს, დააფინანსოს „რუსთავი 2“, ანუ ტელეკომპანია, რომლისთვისაც „ევროპა უკეთესია“. რა გამოდის?** გვარამიას არ სურს იმ ადამიანებთან ურთიერთობა, რომლებსაც რაიმე შეხება აქვთ რუსეთთან, მაგრამ ძალიან უნდა ნაყოფია, იმიტომ, რომ გაკოტრებისთვის განწირულ ტელეკომპანიას ნახევარი მილიონი მაშველ რგოლად უკვე გადაუგდო და მეორე ნახევარი კიდევ გამზადებული აქვს. შესაბამისად, გვარამიას ათი ათას ლარზე მეტი ხელფასი საფრთხის ქვეშ აღარ არის და ყოველი თვის ბოლოს ის ხუთნიშნა ჯამაგირს ისევე ჩაიჯიბავს, როგორც აქამდე აკეთებდა. მისცემს თუ არა ნამუსი იმის შესაძლებლობას, რომ რუსეთში ნაშოვნი ფულით დაფინანსებული ტელევიზიის ხელმძღვანელი იყოს, ვერ გეტყვით, მაგრამ სერიოზულად ვეჭვობთ, რომ მას ისევე არ შეაწუხებს სინდის-ნამუსი, როგორც აქამდე არ აწუხებდა.

**ბატონი ნაყოფია რუსეთის მოქალაქეა, რუსეთში ცხოვრობს, რუსეთში აქვს ბიზნესი და, სავარაუდოდ, რუსეთშივე ნაშოვნი ფულით აპირებს, დააფინანსოს «რუსთავი 2», ანუ ტელეკომპანია, რომლისთვისაც «ევროპა უკეთესია»**

საზოგადოდ, ორმაგი სტანდარტი ქართულ მედიასა თუ პოლიტიკაში ძალიან მოდურია. უფრო კონკრეტულად, მთავარია, შემოსავალი იყოს და ერთი ხელის თითებზე ჩამოსათვლელია ის მედიასაშუალებები, რომლებსაც ერთი კონკრეტული პლატფორმა უჭირავთ, ხოლო პოლიტიკური პარტიები თითზე ჩამოსათვლელიც არ არის, რადგან თითქმის ასი პროცენტი იმის მიხედვით იცვლის თვალსაზრისს, საიდანაც შემოსავალს ელის. **რუსული ფულით პარლამენტში „შეთრეული დეპუტატები“ (გვარამიას ტერმინია) „რუსთავი 2“-ის გენერალურ დირექტორს თურმე ნერვებს უშლიან და იმავე რუსული ფულით დაფინანსებული ტელევიზია ნერვებს არ მოუშლის, იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში საქმე პირადად მას და მის ჯამაგირს ეხება.**

ნამდვილად ვერ გეტყვით, როდის, მაგრამ **შორს არ არის დრო, როცა გვარამიასაც და სხვებსაც მოუწევთ იმის აღიარება, რომ ევროპა და ამერიკა საქართველოს მხოლოდ საკუთარი ინტერესებისთვის იყენებენ; რომ მათთვის ჩვენი ქვეყანა მხოლოდ მომგებიანი ტერიტორია და კარგი სავაჭრო თემაა რუსეთთან; რომ რუსეთში ნაშოვნი ფულით მარტო გვარამია კი არ იღებს ხელფასს, არამედ საქართველოს მოსახლეობის ძალიან დიდ ნაწილს, სწორედ ამით უდგას სული; რომ მილიონამდე ქართველი სწორედ რუსეთში შოულობს სარჩოს და ამ სარჩოს მათ არავინ აყვედრის.** გვეეჭვება, რუსეთის მასშტაბით ქართველები იმაზე ნაკლებ კრიმინალს სჩადიოდნენ, ვიდრე ევროპაში, მაგრამ რაღაც არ გვახსენდება, რომელიმე რუს მინისტრს ეთქვას, ქართველებისთვის სპეციალური რეგულაციები უნდა მივიღოთო. აი, გერმანია, იტალია და ევროპის სხვა ქვეყნები მუდმივად მაგით გვაშანტაჟებენ, რომ ერთ მშვენიერ დღეს თავიანთი ქვეყნებიდან, უბრალოდ, გამოყრიან ქართველებს, თუმცა იქვე მეგობრობასაც გვეფიცებიან.

**P.S. რუსული ფულით ნაყიდი პური ყელზე არ გადგება, ნიკალაი?..**

**გვერდები მოამზადა ბესო ბარბაქაძემ**

**შორს არ არის დრო, როცა გვარამიასაც და სხვებსაც მოუწევთ იმის აღიარება, რომ ევროპა და ამერიკა საქართველოს მხოლოდ საკუთარი ინტერესებისთვის იყენებენ; რომ მათთვის ჩვენი ქვეყანა მხოლოდ მომგებიანი ტერიტორია და კარგი სავაჭრო თემაა რუსეთთან; რომ რუსეთში ნაშოვნი ფულით, მარტო გვარამია კი არ იღებს ხელფასს, არამედ საქართველოს მოსახლეობის ძალიან დიდ ნაწილს სწორედ ამით უდგას სული; რომ მილიონამდე ქართველი სწორედ რუსეთში შოულობს გვარიან სარჩოს და ამ სარჩოს მათ არავინ აყვედრის**

გრიგოლ ოնიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**დიდი ფრანგი მოაზროვნე და მწერალი ერნსტ რენანი თავის ცნობილ წიგნში „იესო ქრისტეს ცხოვრება და შემოქმედება“ წერს, რომ იესო ნამდვილი მოვლენაა, იგი ბელადია, რევოლუციონერი, მეამბოხე, რომელიც აუჯანყდა დრომოჭმულ და ყავლგასულ რელიგიურ დოგმებს და შემოქმედებითად შეხედა ადამიანთა განვითარებისა და ცხოვრების წესს, მან ჩამოაყალიბა უკვდავი ათი მცნება, რომელთა კონსტიტუციურად განხორციელება დედამიწის ერთ მეექვსედზე უზრუნველყო ძე კაცისამ — სტალინმა.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №26-30 (450-454)

# სტალინის პორტრეტისთვის

## 1931-1941 წლები. იდუმალების სამყარო

**უაღრესად რთულია სრულიად ახალი სახელმწიფოს მშენებლობის, მისი განმტკიცებისა და სუპერსახელმწიფოდ გადაქცევის ანატომია, ქვეყნისა, რომლის ანალოგიც არ არსებულა დედამიწაზე. რა იყო ის ძალა, რომელიც ჩვენი პლანეტის ერთ მეექვსედს სრულიად ახალ ფორმასა და სახეს აძლევდა, სადაც დაუნდობლად ინგრეოდა ძველი და შენდებოდა ახალი. განგება დედამიწაზე პრაქტიკულ საქმიანობას არ ახორციელებს. „სხვას ვის შეეძლო ამ მადლის პოვნა და ამ სამოთხის კარის გაღება (ი. მოსაშვილი „აი, ქართველო, შენი სამშობლო“)?**

განა იმიტომ ძრწოდნენ კაპიტალისტები, რომ რუსი ხალხი და რუსეთი ენანებოდათ დასაღუპავად და სატანჯველად? — სრულიადაც არა. მათ ის ღვთიური ცეცხლი უახლოვდებოდა, რომელიც სპობდა უსამართლობასა და სოციალურ უთანასწორობას, როდესაც მონა ბორკილებისგან თავისუფლდებოდა და ბოროტს კეთილი ამარცხებდა.

საფრანგეთის პრეზიდენტმა **შარლ დე გოლმა** მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ განაცხადა: **„საბჭოთა კავშირი სტალინის ხელმძღვანელობით უძლეველია, მაგრამ ვერ ვფიქრობ, რა იქნება იგი სტალინის გარეშე“**. საფრანგეთის პრეზიდენტის სიტყვებში აშკარად ჩანს, რომ ამ უდიდესი და უძლიერესი სახელმწიფოს შემოქმედი არის სტალინი, რომელიც ღმერთმა შექმნა მსგავსად თავისა.

დიდი ფრანგი მოაზროვნე და მწერალი **ერნსტ რენანი** თავის ცნობილ წიგნში „იესო ქრისტეს ცხოვრება და შემოქმედება“ წერს, რომ იესო ნამდვილი მოვლენაა, იგი ბელადია, რევოლუციონერი, მეამბოხე, რომელიც აუჯანყდა დრომოჭმულ და ყავლგასულ რელიგიურ დოგმებს და შემოქმედებითად შეხედა ადამიანთა განვითარებისა და ცხოვრების წესს. მან ჩამოაყალიბა უკვდავი ათი მცნება, რომელთა კონსტიტუციურად განხორციელება დედამიწის ერთ მეექვსედზე უზრუნველყო ძე კაცისამ — სტალინმა. **„იესო ქრისტე** თავის მოწაფეებზე ათი თავით მაღლა იდგა. ქრისტეს მოძღვრება მომავლის მეცნიერებაა, მისი მოწაფეების სახარებები კი ლეგენდებსა და ზღაპრებზე დაფუძნებული დებულებები“, — შენიშნავს ერნსტ რენანი.

იყო თუ არა ასე სტალინის შემთხვევაში? ეს რომ ასე იყო, პრეზიდენტ დე გოლის შეფასებიდანაც ჩანს, მაგრამ უფრო ნიშანდობლივია ამერიკის შეერთებული შტატების საიდუმლო სამსახურის შემაჯამებელი მოხსენება, რომელშიც დოკუმენტურადაა დასაბუთებული სტალინის ზებუნებრივი და ჯადოსნური აზროვნება, რომ ატომური ბომბის ჩაგდება საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე შედეგს არ გამოიღებს.

იყო თუ არა სტალინი „ღვთისგან ბოძებული ბელადი“ (ასე უწოდებს მართლმადიდებლური ეკლესია სტალინს)? — იყო. სტალინი ირონიულად უყურებდა დარბაზს, როდესაც ტაშითა და ოვაციებით ხვდებოდნენ მას და გაიძახოდნენ „ველიკომუ სტალინუ ურა!“. პოლიტბიუროს წევრების ხშირი გამასპინძლება სტალინისთვის სამუშაო პროცესის გახანგრძლივების მოხერხებული მეთოდი იყო. ადვილი წარმოსადგენია, რა გუნება-განწყობაზე იქნებოდა სტალინი, როდესაც მთვრალი **ხრუშჩოვი** და სხვებიც მაგიდის გარშემო ცეკვავდნენ, მაგრამ მასპინძელს ესეც სჭირდებოდა. მთვრალი ნიკიტას ბოდვიდან ის რაციონალურ მარცვალს იღებდა, სხვებისგანაც. პოლიტბიუროში იყვნენ ადამიანები, რომლებიც სტალინთან ტოლობის ნიშანს სვამდნენ; იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ხვდებოდნენ, რომ სტალინის შემთხვევაში სხვა ფენომენთან ჰქონდათ საქმე.

1929 წელს სტალინმა საბოლოოდ გადაწყვიტა, შეემუშავებინა ქვეყნის აღმშენებლობის თავისებური წესი და პროგრამა. შინაურ მტრებზე გამარჯვებამ და ხალხში უდიდესი პოპულარობის მოპოვებამ ათქმევინა სტალინს, რომ ქვეყანაში გარდატეხის წელი დაიწყო. როგორც შემდგომ გაირკვა, ეს იყო 1929 წელი, და ის არა მხოლოდ, უბრალოდ, გარდატეხის, არამედ დიადი გარდატეხის წელიც ყოფილა.

1934 წლის 26 იანვარს პარტიის მე-17 ყრილობა უნდა გამართულიყო. ყრილობის ძირითადი მოხსენების მასალებზე ყველა უწყება მუშაობდა, ძირითადი სამუშაო კი სტალინს ჰქონდა დაკისრებული. თავისი შორი გათვლებითა და სერიოზული ანალიზით სტალინის ყურადღება აკადემიკოსმა **ევგენი ვარგამ** მიიქცია, რომელთანაც ხშირი და საქმიანი ურთიერთობა დაამყარა. ასევე აქტიურად გამოიყენა იგი მე-17 ყრილობის მოხსენების მომზადების საქმეშიც.

**სტალინს აკადემიკოს ვარგასადმი რწმენა იმანაც განუმტკიცა, რომ მეცნიერმა პირველმა იწინასწარმეტყველა და გათვალა 1929 წლის ოქტომბერში ნიუ-იორკის ბირჟის დაცემის ამბავი. ევგენი ვარგა ბუდაპეშტის უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორი იყო. მას შემდგომ სტალინმა შეუქმნა ინსტიტუტი, რომელიც, სტალინის მითითებით, მსოფლიოს ეკონომიკური დაზვერვის სამსახური იყო და დაკვეთებს უშუალოდ სტალინისგან იღებდა. აკადემიკოს ვარგას ინსტიტუტში თანდათანობით გადადიოდა დაზვერვის თანამშრომელთა გარკვეული ნაწილი.**

ამავე წელს საბჭოთა დაზვერვამ ხელში ჩაიგდო იაპონიის ელჩის წერილი, რომლის გაშიფრვის შემდეგ გაირკვა, რომ იაპონია არ გამორიცხავდა საბჭოეთზე თავდასხმას, რაც დაუყოვნებლივ მოახსენეს სტალინს. სტალინი განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდა იაპონიის საკითხს და ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი ლოიალურობა გამოეჩინა ამ ქვეყნის მიმართ, რათა აღმოსავლეთით მდგომარეობა არ გართულებოდა, რაც მომაკვდინებელი დარტყმა იქნებოდა სუსტი ქვეყნისთვის.



1936 წელი

**სტალინი დარწმუნებული იყო, რომ გერმანიათან ომი გარდაუვალი იყო და ამიტომ შუაგულ ევროპაში ტროცკის გააქტიურებას სახიფათოდ მიიჩნევდა, მაგრამ ამ საფრთხის მოგვარებამდე სტალინს უამრავი საზრუნავი ჰქონდა: ქვეყნის მომარაგება ნავთობით, პურით, ჯარის შეიარაღება... არანაკლებ აწუხებდა გერმანიაში გამართული ბულგარელი კომუნისტების ლიდერის, გიორგი დიმიტროვის, სასამართლო პროცესი, რომელსაც ბრალად ედებოდა რაიხსტაგის შენობის დაწვა**

ამ მძიმე ინფორმაციის შეტყობის შემდეგ სტალინმა სხვა სტრატეგია აირჩია და სრულიად მშვიდი და დამაჯერებელი ტონით განაცხადა:

**„იაპონიის მიერ გადადგმულ ნაბიჯზე პასუხისმგებლობა დაეკისრება იაპონიის მთავრობას, რომელიც მკაცრად დაისჯება“**. ეს ნიშნავდა, რომ სტალინმა არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სამხედრო თვალსაზრისითაც აღმოსავლეთში სტაბილური მდგომარეობა შექმნა.

სხვადასხვა გარემოების გამო საფრანგეთის დამოკიდებულებაც იცვლებოდა საბჭოეთისა და სტალინის მიმართ. ფრანგებმა სტალინს ავიაციის სფეროში თანამშრომლობაც შესთავაზეს. ეს ძალზე მნიშვნელოვანი იყო პირადად სტალინისთვის, რადგან საავიაციო საქმეს უშუალოდ ის განაგებდა. ასე რომ, **4 წლის განმავლობაში ეკონომიკურად და მორალურად გატეხილი საბჭოეთი 1933 წელს ფეხზე წამოდგა და მსოფლიოს დიდი სახელმწიფოების ყურადღების ცენტრში მოექცა.** ქვეყანაში უხვი მოსავლის მიღებამ კიდევ უფრო წაახალისა საბჭოთა ხალხი და კიდევ უფრო მიუახლოვდა იგი საბჭოთა პარტიასა და მთავრობას. ამერიკამ სტალინს მოლაპარაკება შესთავაზა, რამაც აღაფრთოვანა თვით **მაქსიმ გორკიც**: „ამერიკელებმა ძალიან გამახარეს, ბრავო! გადაწყვეტილება დროულად მიიღეს, როგორც ჩანს, იაპონელებისთვის ცხოვრება მოსაწყენი გახდა, ჩვენ კი შედარებით „იღბლიანად“ ვცხოვრობთ“.



სერგო ორჯონიკიძე და სტალინი

წარმატებას წარმატება მოსდევდა, მაგრამ, სადაც წარმატებებია, იქ წარუმატებლობაც ამოყოფს ხოლმე თავს. ქვეყანა უხვი მოსავლის ასაღებად ემზადებოდა. გლეხობა მინდორ-ველად იყო გასული. ხანგრძლივი შიმშილობის შემდეგ ასეთი მოსავალი იმედს უნერგავდა გლეხობას და გულს უხარებდა. ქარხანა „კომუნარის“ კომბაინებით მოფენილი იყო პურის მწარმოებელი მხარეები, მაგრამ კომბაინებს არ მოჰყვებოდა დასაკომპლექტებელი ნაწილები, რომლებიც ცალკე ყუთებით იგზავნებოდა. სახალხო კომისართა საბჭოში წერილი წერილზე მიდიოდა შექმნილი საგანგაშო მდგომარეობის გამო. **მოლოტოვმა** გადაწყვიტა, პოლიტბიუროზე განეხილათ ეს საკითხი, მკაცრად დაესაჯათ დამნაშავეები და დაესახათ საქმის უსწრაფესად გამოსწორების გზები. მანამდე კი ქვეყნის გენერალურ პროკურორ **ი. ა. ოკულოვს** „კომუნარის“ ხელმძღვანელების დაპატიმრება და პასუხისგებაში მიცემა დაავალა. დნეპროპეტროვსკის სამხარეო კომიტეტის მდივანმა **მ. ი. ხატაევმა** განაცხადა, რომ გადაწყვეტილებას არ ეთანხმება და ბრალდება რკინიგზაზე გადაჰქონდა, მან რამდენიმე მისამართზე გაგზავნა წერილი, მაგრამ უშედეგოდ. 1933 წლის 16 აგვისტოს სისხლის სამართლის უმაღლეს კოლეგიაში მოსმენა დაიწყო. ბრალი ერთდროულად ედებოდა როგორც რიგით, ისე ხელმძღვანელ ამხანაგებსაც. ამ დროს სტალინი სოჭში ისვენებდა, მას კაგანოვიჩმა ყველაფერი წერილობით შეატყობინა.

„კომბაინების არაკომპლექსური გადაზიდვების საქმეზე ჩვენს შეკრებას კამათის გარეშე არ ჩაუვლია. საქმე ისაა, რომ **ვიშინსკიმ** თავის სიტყვაში „დისციპლინა, აღრიცხვა და კონტროლი“ ყველა წამყვანი პირის შესახებ საკმაოდ ნათლად მიგვანიშნა. ამხანაგმა სერგომ პროტესტი გამოხატა და საკითხის განვრცობა მოითხოვა. განხილვის პროცესში გაირკვა, რომ მოლოტოვს ყველაფერი „პრავდაში“ დაბეჭვდამდე ჰქონდა წაკითხული და აკულოვი პროცესის დროს მას რამდენჯერმე ეთათბირა. ასე რომ, გასაგებია, ამ განხილვას რაიმე მნიშვნელობა ჰქონდა თუ არა, თუმცა ორივე მხარე ცდილობდა, თავშეკავებული ყოფილიყო. ჩვენ მივიღეთ მოკლე დადგენილება, რომელშიც ვაღიარეთ, რომ ვიშინსკის ეს სიტყვა არასწორი იყო“ *(სტალინი და კაგანოვიჩი. 1931-36 წლების მიმოწერა. გვ. 315).*

პოლიტბიუროზე ვიშინსკიმ უმაღლესი ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხიც დააყენა, მას **ორჯონიკიძის** ცხარე გამოსვლა მოჰყვა და შელაპარაკებაში გადაიზარდა.

ისარგებლა რა თავისი უზარმაზარი ავტორიტეტით, ორჯონიკიძემ გააკრიტიკა როგორც გენერალური პროკურორი, ისე ვიშინსკიც, რითაც მიაღწია იმას, რომ ხელმძღვანელობის საკითხის განხილვა ამოეღოთ დადგენილების პროექტიდან და გადაედოთ. ამის შესახებ სტალინს მოლოტოვმა მისწერა. აღშფოთებულმა სტალინმა იმავე დღეს უპასუხა მოლოტოვს: ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არა მხოლოდ „ქართული საქმეში“, სხვა გადაცდომასა და თვითნებობაშიც გამტყუნებული სერგო ბევრჯერ გადაურჩენია სტალინის ავტორიტეტს მკაცრი სასჯელისგან. ამჯერად კი ცეკას მიერ ძლივს დაქოქილი კამპანია სერგოს ჭირვეულობისა და პატივმოყვარეობის გამო უნდა ჩაშლილიყო. თუ ადრე სტალინი სერგოს ლენინისა და ტროცკისგან იცავდა, ახლა სერგოს დამცველი პოლიტბიუროში აღარ მოიძებნებოდა.**

**«ბაქოს ნავთობის საქმე ცუდადაა, წელს 15 მლნ ტონა ნავთობს მოვიპოვებთ, მომავალში 21-22 მლნ უნდა მოვიპოვოთ... ნავთობის მთავარსარდალს სძინავს, სერგო ორჯონიკიძე კი თავის დაძვრენას ტყუილი დაპირებებით ცდილობს. დიდი სირცხვილის წინაშე აღმოვჩნდებით, თუ საქმეს დაუყოვნებლივ არ შევუდგებით და მიღებული ზომების შესახებ ყოველ სხდომაზე ანგარიშს არ წარმოგვიდგენენ...»**

◀ **„ვიშინკის მიმართ სერგოს გამოსვლას ხულიგნობად ვთვლი. როგორ დაუთმე? გასაგებია, რომ სერგოს თავისი წინააღმდეგობით ცენტრალური კომიტეტის კამპანიის ჩაშლა უნდოდა. რაშია საქმე? კაგანოვიჩმა გვიღალატა? როგორც ჩანს, გვიღალატა. და არამხოლოდ მან“** *(სტალინის წერილები მოლოტოვს. 1925-36 წლები. დოკუმენტების კრებული. გვ. 247)*. პოლიტბიუროს სხდომა ჩატარდა, მხოლოდ ვიშინსკის მიმართ უხეში გამონათქვამები ჩასწორდა. სხვა მოლოტოვისთვისაც მიუწვდომელი გახდა. სტალინმა ყველაფერი შეიტყო.

28 აგვისტოს მოსკოვში დეპეშა გაგზავნა:

„ცენტრალური კომიტეტი. კაგანოვიჩს. მოლოტოვს. ორჯონიკიძეს. პოლიტბიუროს წევრებისთვის. კაგანოვიჩის წერილიდან შევიტყვე, რომ ვიშინსკის გამოსვლა ერთ ეპიზოდში აღიარეთ არასწორად, სადაც არაკომპლექტური პროდუქციის მიწოდებისთვის სახკომების პასუხისმგებლობის საკითხს აყენებს. ვთვლი, რომ ასეთი გადაწყვეტილება არასწორი და მავნებელია. არასრული პროდუქციის გადაცემა და მიღება უხეში დარღვევაა. რა თქმა უნდა, მსგავსი დარღვევებისთვის პასუხისმგებლობა სახკომებსაც ეკისრებათ. სამწუხაროა, რომ კაგანოვიჩი და მოლოტოვი ბიუროკრატიულ ძალას წინ ვერ აღუდგნენ“ *(სტალინი და კაგანოვიჩი. 1931-36 წლების მიმოწერა. გვ. 318)*. 1 სექტემბერს პოლიტბიურომ წინა დადგენილება შეცვალა, ამ სხდომაზე ორჯონიკიძე არ იმყოფებოდა, შვებულებაში იყო.

პოლიტბიუროზე ორჯონიკიძის არყოფნა დამცირებისთვის თავის არიდების მიზნით უფრო იყო განპირობებული. წინა პოლიტბიუროს სხდომაზე გამარჯვებული სერგო მომდევნო პოლიტბიუროს სხდომაზე გაამტყუნეს. სოჭში მყოფ სტალინს გაახსენდა 1920-იან წლებში სერგოს თავხედური თავდასხმები საქართველოში, რომელიც 2 წლის განმავლობაში იხილებოდა ცენტრალურ კომიტეტში **ლენინის** ხელმძღვანელობით, სანამ სტალინმა პრინციპულად არ დააყენა საკითხი: „პოლიტბიუროს თავი დაენებებინა უსაგნო საუბრისთვის და საქმეზე გადასულიყო“. ასე დამთავრდა გახმაურებული „ქართული საქმე“. არა მხოლოდ „ქართული საქმეში“, სხვა გადაცდომასა და თვითნებობაში გამტყუნებული სერგო ბევრჯერ გადაურჩენია სტალინის ავტორიტეტს მკაცრი სასჯელისგან. ამჯერად კი ცეკას მიერ ძლივს დაქოქილი კამპანია სერგოს ჭირვეულობისა და პატივმოყვარეობის გამო უნდა ჩაშლილიყო. თუ ადრე სტალინი სერგოს **ლენინისა** და **ტროცკისგან** იცავდა, ახლა სერგოს დამცველი პიროვნება პოლიტბიუროში აღარ მოიძებნებოდა. სტალინისთვის პოლიტბიუროს სხდომაზე დარღვეული სამართლიანობის აღდგენა არ კმაროდა, მან, ეტყობა, ძველიც გაიხსენა, ახალი ინფორმაციაც დაუმატა და მოსკოვში შემდეგი შინაარსის დეპეშა გაგზავნა:

**„არ შეიძლება სერგოს საქციელს ანტიპარტიული არ ვუწოდოთ, რამდენადაც მის ობიექტურ მიზანს ცენტრალური კომიტეტის მოწინააღმდეგე რეაქციული პარტიული ელემენტების დაცვა წარმოადგენს. სინამდვილეში მთელი ქვეყანა პროდუქციის არაკომპლექტურობაზე ლაპარაკობს. პარტიამ საქმის გამოსასწორებლად ღია სადამსჯელო კამპანია დაიწყო. მთავრობისა და პარტიის გადაწყვეტილების დამრღვევ მტრებს განაჩენი უკვე გამოუტანეს. სერგო კი, რომელიც ამ დარღვევებზეა პასუხისმგებელი, იმის ნაცვლად, რომ ცოდვები მოინანიოს, პროკურორის წინააღმდეგ დარტყმას ახორციელებს. რატომ? რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ რეაქციული პარტიების მორალური მხარდაჭერა უზრუნველყოს და ცენტრალური კომიტეტის პრაქტიკულ ხაზს სახელი გაუტეხოს“** *(სტალინის წერილები მოლოტოვს. მ., 1995წ. გვ. 248,249)*.

ეს უკვე სერიოზული განხეთქილება იყო სტალინის ჯგუფში. სტალინი კვლავ იმეორებდა: **„რატომ მაინცდამაინც კრემლში ჩემი არყოფნისას დაუშვეს ანტისახელმწიფოებრივად განწყობილი პირების გაპარპაშება?“**

ვისი დამსახურებით — ეს კიდევ საკითხავია, მაგრამ საბჭოთა მრეწველობა არნახულ წარმატებებს აღწევდა, რასაც უნდა შეენელებინა სტალინის წყრომა ორჯონიკიძის მიმართ. 1933 წლის 30 სექტემბერს პირველი საჰაერო ბურთი „საბჭოთა კავშირი“ რეკორდულ სიმაღლეზე ავიდა. იმავე დღეს დასრულდა 23 ავტომობილის რბოლა მარშრუტით ყარაყუმი-მოსკოვი. მსოფლიო ხედავდა, რომ სტალინის იდეა სოციალიზმის მშენებლობის შესახებ უმაღლეს მწვერვალებს იპყრობდა...

26 სექტემბერს სამხედრო დაზვერვის უფროსმა **ი. ბერეზინმა** სტალინს წარუდგინა აგენტურის მიერ მოპოვებული გენერალ ბაიბელბერგის მოხსენება, რომელიც გერმანელი სამხედროების საბჭოთა კავშირში შემოსვლას ეხებოდა:

„1. არანაირი ნიშანი არ არსებობს, რომ შიმშილობის გამო რუსეთში საბჭოთა ხელისუფლება დაემხობა;

2. ხელახლა აშენებული სამრეწველო საწარმოები ყველგან კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. საბჭოთა კავშირი უახლოეს 10 წელიწადში მიზანს მიაღწევს — უცხოეთზე დამოკიდებულებისაგან სრულიად გათავისუფლდება;

**3. საბჭოთა გეგმების გრანდიოზულობის გათვალისწინებით, წითელ არმიასა და საბჭოთა სამხედრო მრეწველობასთან ერთობლივი მუშაობა უკიდურესად სასურველია, არა მხოლოდ სამხედრო-პოლიტიკური, არამედ სამხედრო-ტექნიკური თვალსაზრისის მხრივაც“** *(იუ.დიაკოვი, ტ.ბუშუევა. „ფაშისტური ხმალი საბჭოთა კავშირში იჭედებოდა“. 1992. გვ.315)*.

ბერეზინის მოპოვებული მასალა სტალინისთვის **ვოროშილოვის** მიერ მიწოდებული მასალის შინაარსს დაემთხვა.

სტალინს გერმანიასთან ურთიერთხელსაყრელი ურთიერთობის დამყარების იმედი აღარ ჰქონდა და გადაწყვეტილება მიიღო, შეეწყვიტა ამ ქვეყანასთან სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა. გერმანელები გაოგნებული იყვნენ სტალინის ამ გადაწყვეტილებით და მას მიაწერდნენ საფრანგეთის აქტიურობას, მოეგვარებინათ სტალინთან ურთიერთობა.

1933 წელს კანცლერის პოსტზე **ჰიტლერის** მოსვლის შემდეგ, ნელა, მაგრამ მაინც დაიწყო **ტროცკიმ** გააქტიურება. საბჭოთა კავშირიდან გაძევებულმა და თურქეთში გადასულმა ტროცკიმ თურქეთი დატოვა და მოქმედების არეალის გასაფართოებლად საფრანგეთს მიაშურა — მას საფრანგეთში ცხოვრების უფლება მისცეს.

სტალინი დარწმუნებული იყო, რომ გერმანიათან ომი გარდაუვალი იყო და ამიტომ შუაგულ ევროპაში ტროცკის გააქტიურებას სახიფათოდ მიიჩნევდა. მაგრამ ამ საფრთხის მოგვარებამდე სტალინს უამრავი საზრუნავი ჰქონდა: ქვეყნის მომარაგება ნავთობით, პურით, ჯარის შეიარაღება... არანაკლებ აწუხებდა გერმანიაში გამართული ბულგარელი კომუნისტების ლიდერის, **გიორგი დიმიტროვის,** სასამართლო პროცესი, რომელსაც ბრალად ედებოდა რაიხსტაგის შენობის დაწვა.

სტალინის სოჭში ყოფნისას უმნიშვნელოვანესი საკითხების განხილვისას ყველასგან მოულოდნელად საუბარში **ბერიას** გვარი ამოტივტივდა.

ბერიამ პირადად სტალინისთვის რამდენიმე წერილი მოამზადა და თვითონვე გადასცა. წერილებში მოყვანილი ფაქტები ნათლად უჩვენებდა სტალინს, რომ ბაქოში ნავთის წარმოება ცუდად მიმდინარეობდა. ბერია ამ ნაბიჯით ორჯონიკიძის კომპეტენციაში იჭრებოდა, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან იგი სახელმწიფოებრივად უდგებოდა საკითხს. ბერიას მასალების გაცნობის შემდეგ სტალინმა შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა კაგანოვიჩს:

„ბაქოს ნავთობის საქმე ცუდადაა, წელს 15 მლნ ტონა ნავთობს მოვიპოვებთ, მომავალში 21-22 მლნ. უნდა მოვიპოვოთ... ნავთობის მთავარსარდალს სძინავს, სერგო ორჯონიკიძე კი თავის დაძვრენას ტყუილი დაპირებებით ცდილობს. დიდი სირცხვილის წინაშე აღმოვჩნდებით, თუ საქმეს დაუყოვნებლივ არ შევუდგებით და მიღებული ზომების შესახებ ყოველ სხდომაზე ანგარიშს არ წარმოგვიდგენენ...“ *(სტალინი და კაგანოვიჩი. მიმოწრა. 1931-36 წწ. გვ.395)*.

ნათელია, რომ სტალინსა და ორჯონიკიძეს შორის ურთიერთობა გაფუჭდა, რაც გარკვევით არის ჩამოყალიბებეული ზემოთ მოყვანილ წერილში. „პრავდას“ რედაქციაში გაგზავნილი წერილები კავკასიის ნავთობის, ბამბისა და აფხაზეთის თამბაქოს წარმატებების შესახებ იბლოკებოდა და არ იბეჭდებოდა. ამის შესახებაც, როგორც ირკვევა, ფარული გზებით ბერიამ სტალინს მოახსენა. რასაც მოჰყვა სტალინის წერილი მოლოტოვისა და კაგანოვიჩის სახელზე:

„დროა, ამ არეულობას ბოლო მოვუღოთ; დროა, მივაღწიოთ, რომ „პრავდაში“ ხელმძღვანელი თანამდებობები არ ეკავოთ მემარცხენე ბურჟუაზიულ რადიკალებს — **კოსტანიანს, ლომინაძესა** და სხვებს.

1933 წლის ბოლოს სსრკ-ის სრულუფლებიანმა ელჩმა გერმანიაში სტალინს წლის ანგარიში წარუდგინა. სტალინმა გაცილებით მეტი იცოდა გერმანიის საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის მდგომარეობის შესახებ, ვიდრე მას ელჩი ატყობინებდა, მაგრამ ერთი საინტერესო ფაქტი მაინც იპოვა ელჩის მოხსენებაში, სადაც ნათქვამი იყო, რომ 1933 წელს გარდაცვლილმა გერმანელმა გენერალმა **ჰანს ფონ სექტამ** დატოვა ანდერძი, რომელშიც იგი წერს, რომ ინგლისი და საფრანგეთი გერმანიის მუდმივი მოწინააღმდეგეები იყვნენ, რომ პოლონეთსა და გერმანიას შორის მეგობრობა არასოდეს იარსებებს და რომ სსრკ-თან შეთანხმება აუცილებლად უნდა მოხდეს, რადგან ბოლშევიზმის „ძლიერი ნახტომი“ ანგარიშგასაწევია“.

სტალინს დიდად ესიამოვნა გარდაცვლილი გენერლის ანდერძის წაკითხვა.

**(გაგრძელება იქნება)**





აკადემიკოსი ევგენი ვარგა

**1933 წლის ბოლოს სსრკ-ის სრულუფლებიანმა ელჩმა გერმანიაში სტალინს წლის ანგარიში წარუდგინა. სტალინმა გაცილებით მეტი იცოდა გერმანიის საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის მდგომარეობის შესახებ, ვიდრე მას ელჩი ატყობინებდა, მაგრამ ერთი საინტერესო ფაქტი მაინც იპოვა ელჩის მოხსენებაში, სადაც ნათქვამი იყო, რომ 1933 წელს გარდაცვლილმა გერმანელმა გენერალმა ჰანს ფონ სექტამ დატოვა ანდერძი, რომელშიც იგი წერს, რომ ინგლისი და საფრანგეთი გერმანიის მუდმივი მოწინააღმდეგეები იყვნენ, რომ პოლონეთსა და გერმანიას შორის მეგობრობა არასოდეს იარსებებს და რომ სსრკ-თან შეთანხმება აუცილებლად უნდა მოხდეს, რადგან ბოლშევიზმის «ძლიერი ნახტომი» ანგარიშგასაწევია**

ბაქარ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**თუკი ქართველი საზოგადოება ფიქრობს, რომ მაკეინს საქართველოში ძეგლები უნდა დავუდგათ, ქუჩებს მისი სახელი დავარქვათ და მისი სახელობის სკვერები გავხსნათ, ეს მართლაც კლინიკური დიაგნოზია. უბრალოდ, ვფიქრობთ, რომ სოციალურ ქსელებში აქტიურად გამოხატული ეს აზრი არ ეკუთვნის ქართველი საზოგადოების დიდ ნაწილს და ეს მხოლოდ ჰიპერაქტიური ფსიქიკურად გაუწონაწორებელი „ვაიპატრიოტებისა“ და იმ მოსყიდული გარკვეული ძალების მიზანმიმართული აქციაა, რომლებიც ასეთი ადამიანებით ეფექტურად მანიპულირებენ ხოლმე.**

**როგორ წესი, აგვისტო სინოპტიკურად ძალიან ცხელი და პოლიტიკურად ძალიან ცივი თვეა. წელს კი პირიქით გამოვიდა — საკმაოდ გრილ აგვისტოს მეორე ნახევარს, შეიძლება ითქვას, მხურვალე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები დაედარა. ყოველ შემთხვევაში, მსოფლიოში არ ვიცი და, საქართველოში ეს ნამდვილად ასე იყო. თუნდაც მხოლოდ ეს სამი მოვლენა რად ღირს — გერმანიის კანცლერი და „მამიდა“ ანგელა მერკელი კავკასიაში ხანმოკლე ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა, ამერიკელი სენატორი ჯონ მაკეინი საიქიოში სამუდამო ვიზით წავიდა, ხოლო საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი გურამ კაშია ისტორიაში შევიდა, როგორც მსოფლიოში პირველი სპორტსმენი, რომელმაც პედერასტიის ღია პროპაგანდის გამო აიღო უეფას სპეციალური ჯილდო.**

# ოკუპირებული მერკელი, უმაკეინო საქართველო და აკაშკაშიებული საფეხბურთო ნაკრები

ვეცდები, ამ სამივე თემიდან თითო ყველაზე მნიშვნელოვანი დეტალი გამოვყო და მათ შორის გარკვეული საერთო შტრიხებიც გამოვძებნო. **ანგელა მერკელის** ვიზიტისას ყველაზე დიდი ხმაური იმან გამოიწვია, რომ მას ერთ-ერთმა ქართველმა სტუდენტმა სიტყვა ოკუპაცია „ათქმევინა“. დიახ, სწორედ ასეთი უცნაური განსაზღვრება მისცეს ამ ფაქტს „ძაანპატრიოტებმა“, რომლებიც მერკელის მიერ ამ სიტყვის წარმოთქმას, როგორც რაიმე ზოგადსაკაცობრიო მოვლენას, ისე აღიქვამდნენ. არადა, ფრაუ მერკელი ერთობ გაოცებული ჩანდა იმ მხურვალე ტაშით, რომელიც მის მიერ ამ „მაგიური“ სიტყვის წარმოთქმისას უნივერსიტეტის დარბაზში გაისმა. საქმე ის არის, რომ სოხუმსა და ცხინვალში შექმნილ ფაქტობრივ სიტუაციას ქალბატონი კანცლერი არც მანამდე განიხილავდა ტკბილად და რუსეთის სასარგებლოდ. პირიქით, სიტყვები „სასტიკი უსამართლობა“, რომლებსაც ის იყენებდა იქ არსებულ მდგომარეობაზე საუბრისას, „ოკუპაციაზე“ გაცილებით მკაცრია. თუმცა ქართველ „ძაანპატრიოტებს“ უკვე ისე აქვთ ტვინში ჩაჭედილი, რომ, თუკი რუსეთს „ოკუპანტი“ უწოდეს, ამით ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემა წყდება, ანგელა მერკელსაც რაღაც უცნაური დაჟინებით ჩააცივდნენ: გინდა თუ არა, სიტყვა „ოკუპანტს“ რატომ არ ამბობ?! რაღა ექნა გაოცებულ კანცლერს? ადგა და თქვა — ოკუპაცია. ეს, უბრალოდ, ფაქტია, მე უფრო მკაცრ შეფასებას ვაძლევდი, სასტიკ უსამართლობად ვაფასებდი და, თუკი თქვენ, უბრალოდ, ფაქტზე ლაპარაკი გსურთ, კი ბატონო, ეს ტერიტორიები ოკუპირებულიაო. დაახლოებით ეს თქვა ანგელა მერკელმა და ამასვე მოწმობდა მისი გაოცებული სახეც. ასე და ამგვარად, თვითონ გერმანიის კანცლერი აღმოჩნდა „ოკუპირებული“ ქართველი „ძაანპატრიოტების“ მიერ. ამ უკანასკნელებმა კი უმალ გმირად გამოაცხადეს ის სტუდენტი, რომელმაც კანცლერს სიტყვა „ოკუპაცია“ ათქმევინა და, სავარაუდოდ, მომავალში მისი ძეგლის დადგმასაც მოითხოვენ სადმე, ჯერ კიდევ შემთხვევით შემორჩენილი **სტალინის** ან თუნდაც **მაქსიმ გორკის** ძეგლის ნაცვლად!

გმირები და ძეგლდასადგმელები, იცოცხლე, ბოლო ათწლეულში მართლაც ბევრი გვყავს. ჯერ მარტო ეგ რად ღირს, რომ იმავე ქართველმა „ძაანპატრიოტებმა“ გმირებად შერაცხეს ამ სტატიის დანარჩენი ორი პერსონაჟი — **ჯონ მაკეინი** და **გურამ კაშია.** ჯონ მაკეინი სწორედ იმიტომ, რომ 2008 წელს რუსებს ოკუპანტები უწოდა. ამერიკელი სენატორის ასეთი „ფასდაუდებელი მხარდაჭერა“ რით დასრულდა, ყველამ ვნახეთ — რუსეთმა ოფიციალურად აღიარა დამოუკიდებელ სახელმწიფოებად „აფხაზეთი“ და „სამხრეთ ოსეთი“ — რასაც მანამდე 16 წლის განმავლობაში არ აკეთებდა და ყველა საერთაშორისო ოფიციალურ შეხვედრაზე რუსული დელეგაცია აცხადებდა, რომ პატივს სცემს და აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. აი, სწორედ სენატორ მაკეინის იმ ცნობილი „უპრეცენდენტო მხარდაჭერის“ შემდეგ მოხდა ის, რომ რუსეთმა შეწყვიტა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის თუნდაც ფორმალური „პატივისცემა“ და ორი ტერიტორიული ერთეული საქართველოსგან დამოუკიდებელ ქვეყნებად ცნო. **თუკი ქართველი საზოგადოება ფიქრობს, რომ ამის გამო მაკეინს საქართველოში ძეგლები უნდა დავუდგათ, ქუჩებს მისი სახელი დავარქვათ და მისი სახელობის სკვერები გავხსნათ, ეს მართლაც კლინიკური დიაგნოზია. უბრალოდ, ვფიქრობთ, რომ სოციალურ ქსელებში აქტიურად გამოხატული ეს აზრი არ ეკუთვნის ქართველი საზოგადოების დიდ ნაწილს და ეს მხოლოდ ჰიპერაქტიური ფსიქიკურად გაუწონაწორებელი „ვაიპატრიოტებისა“ და იმ მოსყიდული გარკვეული ძალების მიზანმიმართული აქციაა, რომლებიც ასეთი ადამიანებით ეფექტურად მანიპულირებენ ხოლმე.** თუკი გავითვალისწინებთ პრეზიდენტ **ჯორჯ ბუში-უმცროსის**, ასევე, ამერიკის მაშინდელი სახელმწიფო მდივნის — **კონდოლიზა რაისისა** და კიდევ რამდენიმე ევროპელი ლიდერის განცხადებებს ამ საკითხზე (რომ ისინი **მიხეილ სააკაშვილს** სთხოვდნენ და მოუწოდებდნენ, არ გაებედა და არ განეახლებინა დაკონსერვებული სამხედრო კონფლიქტი ცხინვალის რეგიონში, მიშამ კი ეს მაინც გააკეთა), მართლაც გონივრული ეჭვი ჩნდება, რომ ისედაც ფსიქიკურად არამდგრად სააკაშვილს ასეთი გიჟური ნაბიჯის გადადგმისკენ თვითონაც ფსიქიკურად გაუწონასწორებელმა ჯონ მაკეინმა უბიძგა. **იმ ადამიანების გასაგონად, რომლებმაც ახლა შეიძლება ამას „ჩაავლონ“ და დაიწყონ დემაგოგია, რომ თითქოს მე ვამბობდე, — ომი მაკეინმა და სააკაშვილმა დაიწყესო. არა, ბატონებო, ომი არის შეიარაღებული ძალებით სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე შეჭრა,შესაბამისად, საქართველოს შეიარაღებული ძალები არც 2008 წელს და არც არასდროს ისტორიაში რუსეთის ტერიტორიაზე არ შეჭრილა.** ასე რომ, თუ ვინმემ ომი დაიწყო, ეს მხოლოდ და მხოლოდ რუსეთი შეიძლება იყოს, რომელიც, გინდა „უსამართლო“ და გინდა „სამართლიანი“ მიზეზით, შემოიჭრა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე სამხედრო შენაერთებით. სხვა საკითხია, ვინ, როგორ და რანაირად მისცა მიზეზი და საბაბი მას ამის გასაკეთებლად. სენატორ მაკეინის „გამუდმებული საბრძოლო ყიჟინა“ საყოველთაოდ არის ცნობილი. მას არაერთხელ პირდაპირ მოუთხოვია ამერიკის ხელისუფლებისგან „რუსეთის განადგურება“. მადლობა დიად ამერიკელ ხალხს, რომ ეს პროვოკატორი და ტყვეობაში ხანგრძლივი ყოფნისგან ფსიქიკაშერყეული მანიაკი, მისი ორი მცდელობის მიუხედავად, არც ერთხელ არ აირჩიეს აშშ-ის პრეზიდენტად, თორემ შედეგები საქართველოსთვისაც და მსოფლიოსთვისაც შეიძლება გაცილებით უარესი ყოფილიყო. ხოლო ის, რომ ცხინვალისკენ სამხედრო შენაერთები სააკაშვილის უშუალო ბრძანებით დაიძრნენ, ეს **ტალიავინმა** და **პუტინმა** კი არა, თვითონ სააკაშვილმა თქვა. ეს მაშინ, როდესაც მიშას, სენატორი მაკეინის გიჟური ფანტაზიებით წაქეზებულს, ჯერ კიდევ ეგონა, რომ რუსეთი ვერ გაბედავდა ამ კონფლიქტში ჩარევას და, თუ ჩაერეოდა, მაშინ მის „ჟანგიან ტანკებს“ ამერიკელების მიერ გაწვრთნილი ქართული არმია კუდით ქვას ასროლინებდა. დიახ, სააკაშვილს ომი, როგორც ასეთი, არ დაუწყია, მაგრამ ეს კონკრეტული სამხედრო კონფლიქტი რომ სწორედ სააკაშვილმა „გააცოცხლა“, უდავოა. და ამას არა მხოლოდ „ტალიავინის დასკვნა“, არამედ მედიაარქივებიც დაადასტურებს. **გაიხსენეთ, როგორი მილიტარისტული სარეკლამო რგოლებით იყო გაჯერებული იმხანად სააკაშვილისა და ნაცების უშუალო კონტროლს დაქვემდებარებული ტელევიზიები. როგორ გვაჩვევდნენ „სამხედრო განგაშის“ ხმას და როგორ მოგვიწოდებდნენ, მზად ვყოფილიყავით სამხედრო ფორმების ჩასაცმელად.** თავი რომ დავანებოთ ცნობილ ფრაზებს: „მომდევნო ახალ წელს ცხინვალში შევხვდებით!“ და სხვ., საქართველოს ხელისუფლების მხრიდან კონფლიქტის განახლებაზე მიუთითებს თუნდაც ის აზრი, რომ, **„თუკი რუსეთი ღიად ჩაერთვება ცხინვალის სამხედრო კონფლიქტში, ეს ჩვენთვის უკეთესია და ჩვენც სწორედ ეს გვინდა, რადგან ასეთ შემთხვევაში რუსეთი თავის ნამდვილ სახეს გამოავლენს და ევროპა და ამერიკა მას ჭკუას ასწავლიან“,** — ასეთი აზრის კულტივირებას არა მხოლოდ მიშა და მიშისტები, არამედ ნაცებთან დანასისხლად დაპირისპირებული, მაშინდელი ე.წ. ოპოზიციური ძალები და ადამიანებიც კი ეწეოდნენ. მოკლედ, მაშინ საქართველო საყოველთაო ფსიქოზში იყო და თითებზე ჩამოსათვლელი ჭკუადამჯდარი ადამიანის ღაღადი, თუკი ცხინვალზე ოფიციალური თბილისის კონტროლის სამხედრო გზით აღდგენა რუსეთთან შეთანხმებული არ არის, მაშინ ცხინვალში ჯარის შეყვანა ძალიან ძვირად დაგვიჯდებაო, არავის ესმოდა და, თუკი ვინმე გაიგონებდა, მთქმელს იქვე ელოდა შეჩვენება, დასჯა და სამშობლოს მტრად გამოცხადება. აი, ეს ყოველივე იყო „საქართველოს გმირი“ ჯონ მაკეინის „შემოქმედება“ და ამ ფსიქოზმა სანამდე მიგვიყვანა, ყველამ კარგად ვნახეთ...




**როცა კაცი რომელიმე «სექსუალურ მიმდინარეობას» უწევს რეკლამას, იმის აღარც ფეხბურთი სჭირდება ნორმალურ საზოგადოებას და აღარც მოგებული ჯილდო. სამარცხვინოა ისიც, რომ ევროპულ ცერემონიაზე, რომელზეც სხვა ფეხბურთელებს კარგი თამაშისთვის, ბევრი გოლისთვის, გაუვალი დაცვისთვისა და ა.შ. აჯილდოვებენ, შენი ქვეყნის წარმომადგენელი სპორტსმენი ერთადერთია, რომელიც პედერასტიის მხარდაჭერისთვის ჯილდოვდება და ამ ჯილდოს ამაყად იბარებს შენი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი...**

სტატიის სათაურში **გურამ კაშიაც** გვყავს ნახსენები... რა შეიძლება ითქვას ამ მორიგ „გმირზე“? ალბათ, მხოლოდ ის, რომ საქართველო უკვე მართლაც ისეთ დონეზე დაეცა, „გმირის“ წოდების მოსაპოვებლად პედერასტიის პროპაგანდაში აქტიური ჩართვაც საკმარისია. **ამ სამარცხვინო ადამიანის „გამპრავებელთა“ არგუმენტები, აქაოდა გურამიკომ იმიტომ გაიკეთა ლგბტ სამკლაური, რომ „ძალადობის“, „ჩაგვრისა“ და „ჰომოფობიის“ წინააღმდეგ გამოვიდაო, სრული უსუსურობაა, რადგან, ვინმეს თუ მაინცდამაინც სურს, თავისი ჰუმანური პოზიციის გამოხატვა, შეუძლია გაიკეთოს თეთრი სამკლავური და ზედ დააწეროს: „არა ჰომოფობიას!“ ან „ვგმობ ძალადობას!“, ან — რაც სურს.** მაგრამ რომელიმე კონკრეტული ჯგუფის მაიდენტიფიცირებელი სამკლავურის ტარება საჯაროდ ამ ჯგუფის პირდაპირი რეკლამა და პროპაგანდაა და არა „ძალადობის საწინააღმდეგო“ აქცია. ეს ყოველივე მით უფრო ამაზრზენია, როდესაც ეს ჯგუფი გარკვეული სექსუალური ნიშნით არის შერჩეული, იქნება ეს „უკუღმართი“ თუ „წაღმართი“ სექსი, არც ამას აქვს დიდი მნიშვნელობა. **როცა კაცი რომელიმე „სექსუალურ მიმდინარეობას“ უწევს რეკლამას, იმის აღარც ფეხბურთი სჭირდება ნორმალურ საზოგადოებას და აღარც მოგებული ჯილდო. სამარცხვინოა ისიც, რომ ევროპულ ცერემონიაზე, რომელზეც სხვა ფეხბურთელებს კარგი თამაშისთვის, ბევრი გოლისთვის, გაუვალი დაცვისთვისა და ა.შ. აჯილდოვებენ, შენი ქვეყნის წარმომადგენელი სპორტსმენი ერთადერთია, რომელიც პედერასტიის მხარდაჭერისთვის ჯილდოვდება და ამ ჯილდოს ამაყად იბარებს შენი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი...** მავანთა ზრით, მგონი, ესეც გმირობაა, ხომ?

მოდით, აქ შევწყვიტოთ წერა, თორემ ეჭვი მაქვს, ასე თუ მივყვებით, კიდევ ბევრი „გმირი“ გაგვახსენდება და ამასობაში შეიძლება ნატოშიც მიგვიღონ.

ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით; სერიოზულად კი გეტყვით: 9 სექტემბერს საქართველო-ლატვიის მატჩზე უკვე არის მოწოდებები, რომ კაშიას მხარდასაჭერად ლგბტ თემის წარმომადგენლები „ცისრატყელას“ სამკლავურებითა და დროშებით მივიდნენ. თუკი მართლაც ლგბტ აღლუმად გადაიქცა საქართველოს ნაკრების მატჩი, გურამ კაშიას ასეთი შტერული და ქაჯური საქციელის გამო, მაინტერესებს, მერე რაღას იტყვიან **კაშია, კობიაშვილი, კალაძე** ან სხვა მისი „გამპრავებელი“ მეტისმეტად „ევროპელები“.

აქ იმ მართლა საუკეთესო ევროპელი ფეხბურთელების ჩამოთვლაც შეიძლებოდა, რომლებმაც ამ სამკლავურის ტარებაზე კატეგორიული უარი განაცხადეს, მაგრამ სჯობს, დაველოდოთ 9 სექტემბერს და ვნახოთ, რა მოხდება.

ხალხთან ჯიუტობა, ბოდიშის „პრინციპულად“ არ მოხდა და სხვა მსგავსი გამოხდომები ძალიან ცუდად მთავრდება ყველასთვის და ყოველთვის. საზოგადოებასთან ომში შეიძლება ძალიან მცირე ხნით გაიმარჯვოთ, მაგრამ საბოლოოდ აუცილებლად დამარცხდებით და, რაც უფრო გვიან, მით უფრო სასტიკად!

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## „ანგელა მერკელმა კი არა, სრულიად მსოფლიომ რომ თქვას, ეს ტერიტორიები ოკუპირებულიაო, ჩვენი რეალობა არ შეიცვლება, ვიქნებით დაგლეჯილი, დაჩეხილი და გაუბედურებული“.

# «კანცლერის ნათქვამიდან მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება — საქართველოს ევროპული პერსპექტივა არ ემუქრება!»

**23-24 აგვისტოს საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ეწვია გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი. კანცლერის სკეპტიკური პოზიცია საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციაზე უცვლელი დარჩა: „ჯერჯერობით არ არის საუბარი ნატოში გაწევრებაზე. ნელ-ნელა, ეტაპობრივად უნდა მივიდეთ იქამდე, რომ ვისაუბროთ გაწევრებაზე. ვერ ვიტყვი, რომ ეს პროცესი 5 წელიწადში დასრულდება, თუმცა ჩემი ვიზიტის ერთ-ერთი მიზანი ამაზე საუბარია გახსნილად“, — განაცხადა მერკელმა სტუდენტებთან შეხვედრაზე.**

სიტყვა „ოკუპაცია“ კი კანცლერმა ორდღიანი ვიზიტის განმავლობაში პირველად სტუდენტებთან შეხვედრისას გამოიყენა — გერმანიის კანცლერმა მხოლოდ მესამედ დასმული კითხვის შემდეგ ახსენა ტერმინი „ოკუპაცია“. „დიახ, ეს არის ოკუპირებული ტერიტორია, მე ვთქვი, რომ ეს არის ოკუპაცია, და ეს რჩება უდიდეს უსამართლობად“, — განაცხადა მერკელმა.

მერკელის ვიზიტისას ორ შეთანხმებას მოეწერა ხელი, რაც დაახლოებით 199 მილიონი ევროს ოდენობის ინვესტიციას ითვალისწინებს. თანხა ბუნებრივი აირის საცავის, წყლის მომარაგებისა და კანალიზაციის სისტემების ასაშენებლად გამოიყოფა. გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკმა გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს დავალებით გამოჰყო 150 მილიონი ევროს ოდენობის კრედიტი საქართველოში პირველი მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობისთვის. მთლიანი საინვესტიციო თანხა 220-250 მილიონი ევროა.

**რა იყო გერმანიის კანცლერის, ანგელა მერკელის, ვიზიტის ძირითადი მიზანი და რა მნიშვნელობა აქვს მას ჩვენი ქვეყნისათვის? — ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე ანალიტიკოსი ვალერი კვარაცხელია და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი თამარ კიკნაძე გვესაუბრება.**



## „სამიტზე ჩვენ მაპზე გვითხრეს უარი, ხოლო სწრაფ გაწევრებაზე თავად მერკელმა გვტკიცა მტკიცე უარი“

**ვალერი კვარაცხელია, ანალიტიკოსი:**

— **მერკელი,** შესაძლოა, ძალიან ბევრი რამისთვის იყო ჩამოსული, მაგრამ ყველაზე ნაკლებად — საქართველოს ინტერესებისთვის. მერკელი თვითონ არის საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში. დასავლეთში კაპიტალისტურ-იმპერიალისტური კრიზისია, მაგრამ ის, რაც გერმანიაში ხდება, მერკელს თავსატეხს უჩენს. გერმანიის კანცლერის ვიზიტი საკუთარ თავსა და საკუთარ ქვეყანაზე ზრუნვას ნიშნავდა. მას სურდა, რაღაც დაენახვებინა, როგორც რუსეთისთვის, ისე ამერიკისთვის.

მერკელის ინტერესია „ჩრდილოეთის ნაკადი 2“, რომლის საშუალებით გერმანიამ რუსული ბუნებრივი აირი უნდა მიიღოს. რუსეთთან თანამშრომლობა გერმანიისთვის უალტერნატივოა. მერკელმა საქართველოში პირდაპირ თქვა, რომ რუსული ბუნებრივი აირი გაცილებით იაფია, ვიდრე ამერიკული ე.წ. ფიქლური აირი. მან ამერიკის შეერთებულ შტატებს დაანახვა, რომ ძიების პროცესშია და კავკასიის ტურნეც ამისთვის ჩაატარა. მერკელმა ამერიკასაც და რუსეთსაც დაანახვა, რომ აზერბაიჯანულ ბუნებრივ აირსაც ნიადაგი მოუსინჯა.

**ამერიკასა და ევროპას შორის საუკეთესო ურთიერთობა არ არის, ამერიკა ზეწოლას ახდენს ევროპაზე, მას თავისი ზრახვები აქვს, ამიტომ დასავლეთში დაწყებულია ანტიამერიკული მოქმედებები.**

**— თქვენ ასე საუბრობთ, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება ძალიან ოპტიმისტურად არის განწყობილი მერკელის ვიზიტის გამო. ისინი ამბობენ, რომ გერმანია ჩვენი გზამკვლევია ევროპისკენ...**

— ანგელა მერკელმა პირდაპირ განაცხადა: სანამ საქართველო ევროკავშირამდე მივა, კიდევ ათი წელიწადია საჭირო, მათგან ხუთი წელი საუბარს დასჭირდებაო. **კანცლერის სიტყვებიდან მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება — საქართველოს ევროპული პერსპექტივა არ ემუქრება.** საქართველოსთვის ევროპის კარი დაკეტილია.

რაც შეეხება ნატოში შესვლას, გარკვევით თქვა მერკელმა, რომ არავითარი სწრაფი გაწევრება არ მოხდება. სამიტზე ჩვენ მაპზე გვითხრეს უარი, ხოლო სწრაფ ინტეგრაციაზე თვითონ მერკელმა გვტკიცა უარი.

ჩვენი მთავრობა იმედიანად უყურებს მის ჩამოსვლას იმიტომ, რომ კანცლერმა სიტყვა „ოკუპაცია“ ახსენა, ისიც ორდღიანი მცდელობის შემდეგ, ანუ მას შემდეგ, რაც ჯერ ხელისუფლების წარმომადგენლები შეესივნენ, მერე — ჟურნალისტები; ბოლოს, სტუდენტების შეტევის შემდეგ, დაიბნა საწყალი ქალი და იკითხა: — რა გინდათ? გინდათ, ვთქვა, რომ ოკუპირებულია თქვენი ტერიტორია? და თქვა სანატრელი სიტყვა „ოკუპაცია“. მერე რა, რომ თქვა ეს სიტყვა? ამ სიტყვით ბრძანება გასცა რუსეთის მისამართით, რომ დააბრუნოს ჩვენი ტერიტორია, გაიყვანოს ბაზები თუ რა? ამ შეკითხვას ვუსვამ მკითხველსაც და ამ უპასუხისმგებლო მთავრობასაც.

**როგორ შეიძლება ხალხს ტვინი ამ ერთი სიტყვით გამოურეცხო? შეყვარებულები არიან ამ მაზოხისტურ სიტყვაზე, ოღონდ ვინმემ თქვას და პრობლემაც მთავრდება. ვერავინ ხვდება, რომ „ოკუპანტის“ თქმა საქმეს არ შველის.**

რეალურად თუ განვიხილავთ საკითხს, იურიდიული თვალსაზრისით, საქართველოს ტერიტორიები რუსეთის მიერ ოკუპირებული არ არის. ოკუპაცია ნიშნავს, როდესაც ერთი სახელმწიფო შევარდება სამხედრო ძალით მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე და იმ სახელმწიფოს მთლიანად დაიკავეს, რასაც ფაშისტური გერმანია აკეთებდა. რუსეთს არ მიუთვისებია ჩვენი ტერიტორიები. ეს არის სეპარატისტული რეგიონები, რომლებმაც მიიღეს დე ფაქტო დამოუკიდებლობა, აღმოჩნდნენ ჩვენი იურისდიქციის მიღმა და ითხოვეს, ეღიარებინათ მათი დამოუკიდებლობა, რუსეთმა კი მათი დამოუკიდებლობა ცნო. ამის შემდეგ დადო ხელშეკრულება და ხელშეკრულების საფუძველზე განთავსდა იქ რუსეთის სამხედრო ბაზები. თუ ვინმე იტყვის, რომ ეს ფაქტობრივი ოკუპაციაა, სხვა საკითხია, მაგრამ ამას ვერც ერთ სასამართლოში ვერ დავამტკიცებთ იურიდიულად. ასე რომ, ანგელა მერკელმა კი არა, სრულიად მსოფლიომ რომ თქვას, ეს ტერიტორიები ოკუპირებულიაო, ჩვენი რეალობა არ შეიცვლება, ვიქნებით დაგლეჯილ-დაჩეხილი და გაუბედურებული.

**— მერკელი კავკასიაში ჩამოსვლამდე რუსეთის პრეზიდენტს შეხვდა. თქვენი აზრით, ჩამოიტანა მან მისგან რაიმე გზავნილი?**

— არა, მერკელს არაფერი გზავნილი არ ჩამოუტანია, ის თვითონ არის გზების ძიებაში, ის ამერიკასაც და რუსეთსაც კოჭს უგორებს და თავისთვის საუკეთესო გამოსავალს ეძებს. არ არსებობს საფუძველი იმისა, ვიფიქროთ, რომ მერკელი რომელიმე ქვეყნის ინტერესების გასატარებლად ჩამოვიდა.

**— მერკელი აზერბაიჯანელებს ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებაში ჩარევას დაჰპირდა, ანალოგიური რამ საქართველოში არ უთქვამს. მან თავი აარიდა ქართველი ჟურნალისტების შეკითხვას...**

— აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის არსებული პრობლემა სხვა ყაიდისაა, საქართველოსი კი — სულ სხვა. საქართველოს დაკარგული ტერიტორიები დამოუკიდებლად აღიარა რამდენიმე სახელმწიფომ. ეს ართულებს საქმეს, თანაც იქ უკვე განთავსებულია რუსეთის სამხედრო ბაზები. ჩვენ საქმეს ყოველი დაკარგული წუთი და წამი აუარესებს.

ასე რომ, მერკელის ვიზიტს ჩვენი ქვეყნისთვის არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ის თავისი ქვეყნის ინტერესების გასატარებლად ჩამოვიდა აქ. **ჩვენი პრობლემის მოგვარება თვით ამერიკასაც და გაერთიანებულ ევროპასაც არ შეუძლია, რადგან საქმე გვაქვს რუსეთის ინტერესებთან.** ჩვენი პრობლემის მოგვარება რუსეთის ხელშია. მხოლოდ და მხოლოდ რუსეთთან დიალოგი, ოცდაათი წლის განმავლობაში ჩამოყალიბებული ურთიერთობის რადიკალური შემობრუნება შეცვლის ჩვენს მდგომარეობას. ყველა სხვა გზა ჩვენთვის დამღუპველია. **საქართველო დაანგრია რუსეთთან დაპირისპირებამ და შესაძლოა, საერთოდაც დაშალოს, თუკი, რადიკალურად არ შევცვლით რიტორიკას ნატოს მიმართ. საქართველო უნდა გახდეს რუსეთის სტრატეგიული პარტნიორი.**

## „გერმანიის კანცლერმა კარგად იცის, რომ რუსეთთან მოლაპარაკებას ალტერნატივა არ აქვს“



**თამარ კიკნაძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი:**

— კავკასია ძალიან მნიშვნელოვანი რეგიონია, ამიტომ მერკელი ბუნებრივი აირის მიწოდების ალტერნატიულ გზას ეძებდა. ამ თვალსაზრისით, აზერბაიჯანი კარგი პარტნიორია, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყანას არ უნდა ევროსტრუქტურებში ინტეგრაცია და, საერთოდ, არანაირ სტუქტურაში არ უნდა ყოფნა. 2011 წელს აზერბაიჯანი მიუმხრობელ ქვეყანათა მოძრაობის წევრი გახდა, ასევე — კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმების ორგანიზაციის წევრიც. საქართველოც არის ტრანზიტული ქვეყანა და ჩვენ ასოცირების ხელშეკრულება გვაქვს გაფორმებული.

რუსეთ-საქართველოს შორის დაძაბული ურთიერთობაა და ვფიქრობ, მერკელისთვის საინტერესო იქნებოდა საქართველოს პოზიცია მისთვის საჭირო ტრანზიტის შესახებ, მან მოსინჯა ნიადაგი მოსალოდნელი გართულებების გასაცნობიერებლად...

სომხეთის პოზიციაც მნიშვნელოვანია, მიუხედავად იმისა, რომ აცხადებენ, — კოლექტიური უსაფრთხოების შეათანხმების ორგანიზაციიდან არ გამოვალთო, ისინი მაინც მიილტვიან ევროპისკენ. მერკელისთვის **ფაშინიანის** აზრიც საინტერესო იყო. ამ კავკასიური ტურნეს ფარგლებში მერკელისთვის მაინც ყველაზე მნიშვნელოვანი აზერბაიჯანი აღმოჩნდა. კანცლერის დელეგაციაში იმყოფებოდა მისივე პარტიის წევრი **ალბერტ ვაილერი**, რომლის მიღებაზეც აზერბაიჯანმა უარი განაცხადა, რადგან ის ყარაბაღში იყო ნამყოფი. აზერბაიჯანის პრეზიდენტი შეხვდა რუსეთის პტრეზიდენტს და მთელი რიგი ხელშეკრულებები დადეს. **ალიევი** ტრიმერის პოლიტიკას აწარმოებს. ბაქომ და ბრიუსელმა დაამტკიცეს განახლებული, ინდივიდუალური გეგმა ნატოსთან. აზერბაიჯანი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ნატოს ტვირთების გადაზიდვაში, მას ჰყავდა თავისი სამხედროები კოსოვოში, ავღანეთში, ერაყში... ის თანამშრომლობს ნატოსთან, მაგრამ დამოუკიდებლობას ინარჩუნებს.

**მერკელის ჩამოსვლით საგარეო პოლიტიკაში დიდ გარღვევას არ ველოდი, რადგან მისთვის უმნიშვნელოვანესია „ჩრდილოეთის ნაკადი 2“. გერმანიის კანცლერმა პირდაპირ განაცხადა, რომ რუსეთის ინტერესებს მისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს;** თქვა, რომ, მიუხედავად იმისა, ტერიტორიები ოკუპირებულია, საქართველოს ნატოში გაწევრება სერიოზული პრობლემაა.

**— მერკელი ჩვენ არ დაგვპირებია, რომ ტერიტორიული პრობლემის მოგვარებაში დაგვეხმარებოდა, აზერბაიჯანს კი დაჰპირდა...**

— იქ სხვა სახის პრობლემაა. გარდა ამისა, ერევნის პოლიტიკით რუსეთი უკმაყოფილოა. ამ ფაქტმა უპირატესობა აზერბაიჯანს მიანიჭა, რაც მერკელმაც დაადასტურა. ალიევმა ახლა ხელშეკრულება რომ გააფორმა რუსეთის პრეზიდენტთან, იქ იარაღის შესყიდვაზეა საუბარი.

**ხბოს აღტკინებით იმის ძახილი, რომ მერკელმა თქვა: „რუსეთი ოკუპანტია“, კარგი არ არის.** გერმანიის კანცლერმა კარგად იცის, რომ რუსეთთან მოლაპარაკებას ალტერნატივა არ აქვს. ეროვნული ინტერესები უპირველესია. მერკელმა იცის, რომ აზერბაიჯანში ადამიანის უფლებები ირღვევა, მაგრამ ამაზე არ უსაუბრია, რადგან ის თავისი ქვეყნის მომავალზე ფიქრობს. ასე უნდა ვიფიქროთ ჩვენც, ვერავის ჩამოსვლა ვერ გვიშველის, მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით საქართველომ უნდა გადახედოს დღეს არსებულ პოლიტიკას და გეზი უნდა შეცვალოს. არავის არავისი დარდი არ აქვს პოლიტიკაში, ინტერესთა თანხვედრაა მნიშვნელოვანი, პოლიტიკამ სხვა პრაქტიკა არ იცის.

## «საქართველო დაანგრია რუსეთთან დაპირისპირებამ და შესაძლოა, საერთოდაც დაშალოს, თუკი რადიკალურად არ შევცვლით რიტორიკას ნატოს მიმართ. საქართველო უნდა გახდეს რუსეთის სტრატეგიული პარტნიორი»

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

## SOS

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ლიბერალებმა და მათმა მხარდამჭერებმა ჩვენს თაობას ვერაფერი რომ ვერ მოუხერხეს და ვერ დააჯერეს, რომ პედერასტობა და ლესბოსელობა კარგია, ბავშვებს მიადგნენ და მათი გონების მოწამვლას ცდილობენ. რატომღაც გვგონია, რომ საქართველოში შემოსული სათამაშოები შესაბამისმა ორგანოებმა უნდა აკონტროლონ და ასეთი შეფერილობის ნივთები, მაღაზიათა ქსელში, უბრალოდ, არ უნდა იყოს. სხვაგვარად იქამდე მივალთ, რომ მომავალი თაობა აქეთ დაგვიწყებს დამუნათებას: ახლა რას გვერჩით, მაშინ სად იყავით, ლგბტ დროშის ფერებში შეღებილ სათამაშოებს რომ ყიდულობდით ჩვენთვის და თამაშს გვანებებდითო...**

# ვინმემ განათლების მინისტრს უჯიკეთ, ეგებ გამოიღვიძოს!

**საქართველოს ეროვნული ნაკრების ვიცეკაპიტნის, გურამ კაშიას, გარშემო ატეხილი ხმაური გრძელდება. მართალია, ამჟამად კაშია ამერიკაში თამაშობს, მაგრამ ჰოლანდიური „ვიტესის“ კაპიტნობისას მკლავზე ცისარტყელის ფერებიანი სამკლავური გაიკეთა და ამით ლგბტ თემს მხარდაჭერა გამოუცხადა. შედეგად, მის ნაბიჯს ქართველ გულშემატკივართა დიდი უმრავლესობის უარყოფითი რეაქცია მოჰყვა და ატყდა ერთი ამბავი. აქეთ ფეხბურთის ფედერაციამ, იქით დეპუტატებმა (ფედერაციის პრეზიდენტი ლევან კობიაშვილიც დეპუტატია), ქალაქის მერმა და კიდევ არაერთმა ჩინიანმა თუ უჩინომ კაშიას მხარდაჭერა გამოუცხადეს და უთხრეს: შენით ვამაყობთო. ამ დროს ვეტერანმა ფეხბურთელებმა კატეგორიულად განაცხადეს: რა ლგბტ სამკლავური, ფეხბურთელი ქვეყნის სახეა და ასე არ უნდა მოიქცესო.**



190-ე სკოლის მოსწავლეებს ლგბტ დროშის ფერებში შეღებილი დერეფნები დაახვედრეს სიურპრიზად

**„მიშა მესხი, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი** და სხვები იმიტომ იყვნენ უდიდესი ფეხბურთელები, რომ კაცობის სამკლავური ეკეთათ. იქ, სადაც სპორტია, პედერასტებს რა უნდათ?! ეს სპორტის შეურაცხყოფაა!“ — განაცხადა **რევაზ ძოძუაშვილმა.**

„როცა უცხო ქვეყანაში თამაშობ, შენი ქვეყნის სახე ხარ, შენს ერს წარმოადგენ და უნდა დაფიქრდე, რას აკეთებ და რას იკეთებ. კაშია შეცდა და ეს უნდა აღიაროს“, — აღნიშნა დიდმა კაპიტანმა **მანუჩარ მაჩაიძემ.**

სამაგიეროდ, კაშიას ლგბტ თემის მხარდაჭერა უეფამ დაუფასა და გადასცა სპეციალური პრიზი, რომელიც ლევან კობიაშვილმა ჩაიბარა, რადგან კაშია ამერიკიდან ვერ ჩამოვიდა, თუმცა „საპატიო“ ჯილდო შინ ელოდება. ისე, კობიაშვილი პარლამენტის წევრია და, როცა ლიბერალურმა ფრთამ სიტყვა დაძრა, ეგებ ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინება დავაკანონოთო, ლევანი ერთ-ერთი იყო, ვინც ეს გააპროტესტა. რა გამოდის, ევროპული ფეხბურთის მმართველ ორგანოს კობიაშვილი კოჭს უგორებს: კაშია სწორად მოიქცა, აგერ, ჩვენც მხარს ვუჭერთო; ჩვენ კი, ამომრჩეველს, გვეუბნება, ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინების წინააღმდეგი ვარ, საქართველოში ეს არ მოხდებაო. დეპუტატი ან ჩვენ გვატყუებს, ან ევროპელებს და ორივე შემთხვევაში არასწორად იქცევა. ელემენტარულად, უნდა გეყოს კაცობა იმისა, რომ ერთი პოზიცია დაიჭირო და თქვა არა, მაგრამ **ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ხელფასს სწორედ უეფა უხდის და მაგათი განაწყენება არ შეიძლება. პარლამენტში კი ხელფასს ჩვენი გადასახადებიდან იღებს და არც ჩვენი განაწყენება შეიძლება. ჰოდა, გამოდის, რომ კობიაშვილს ერთ ხელზე ლგბტ სამკლავური უკეთია, მეორეთი კი მამა-პაპისეულ ხმალს იქნევს ტრადიციების დასაცავად...**

სანამ მთავარ სათქმელზე გადავალთ, ერთ განცხადებას გაგაცნობთ:

**„მე მკაფიოდ განვუმარტე ფედერაციას, რომ ვეწინააღმდეგები ცხოვრების ასეთ წესს, თუ ვინმე ცხოვრების წესს ირჩევს, რომელიც ჩემი ცხოვრების წესისგან განსხვავდება, ეს მისი საქმეა. თუმცა არ მინდა, ვინმეს მხარდასაჭერად სპეციალური სიმბოლო ვატარო, ჩემი ცხოვრების წესი, ოჯახი და რელიგია ამას არ ეთანხმება“,** — ეს განცხადება ხორვატიული ფეხბურთის ამომავალმა ვარსკვლავმა, გერმანული „ვოლფსბურგის“ ლეგიონერმა **ოსიპ ბრეკალომ** გააკეთა და ამით გააცამტვერა **კახა კალაძის** ნათქვამი: კაშია ისე მოიქცა, როგორც იმ ქვეყანაში სთხოვეს, რომელშიც თამაშობსო(?!). თურმე სხვაგვარად მოქცევაც შეიძლება, კახა...

**«მე მკაფიოდ განვუმარტე ფედერაციას, რომ ვეწინააღმდეგები ცხოვრების ასეთ წესს. ჩემი ცხოვრების წესი, ოჯახი და რელიგია ამას არ ეთანხმება», — ეს განცხადება ხორვატიული ფეხბურთის ამომავალმა ვარსკვლავმა, გერმანული «ვოლფსბურგის» ლეგიონერმა ოსიპ ბრეკალომ გააკეთა და ამით გააცამტვერა კახა კალაძის ნათქვამი: კაშია ისე მოიქცა, როგორც იმ ქვეყანაში სთხოვეს, რომელშიც თამაშობსო(?!). თურმე სხვაგვარად მოქცევაც შეიძლება, კახა...**

ახლა — რაც შეეხება მთავარს: მხოლოდ კაშია რომ იყოს ჩვენი პრობლემა, კიდევ ეშველებოდა, მაგრამ რეალურად, **ლგბტ წარმომადგენლების მიმდევართა და ლობისტთა გეგმები უფრო ფართომასშტაბიანი და შორსმიმავალია.** ორი კვირის წინათ სათამაშოების მაღაზიაში შევედი და ერთი უცნაური სათამაშო დავინახე. ეს სათამაშო ბამბისა და ნაჭრისგან დამზადებული წიწილაა, სულ რაღაც, ერთი ლარი ღირს, მაგრამ მთავარი, ფასი და ზომა-წონა კი არა, წიწილის შეფერილობაა. როგორც სურათზე ხედავთ, წიწილის ფრთები ლგბტ დროშის ფერებშია გადაწყვეტილი, უფრო ზუსტად, ერთი ერთში ემთხვევა ლგბტ დროშის ფერებს. ინსტრუქციაში წერია, რომ სათამაშო 1-დან 3 წლამდე ბავშვებზეა გათვლილი. ყველა ბავშვი ბავშვურად აზროვნებს და, რა თქმა უნდა, ჭყეტელა ფერების დანახვისთანავე შეიძლება მშობელს სათამაშოს ყიდვა მოსთხოვოს, ხოლო დაბალი ფასის გამო მშობელმაც იყიდოს. ბავშვიც ითამაშებს, გონებაში აღებეჭდება ეს ფერები და მერე, დიდობაში კაშიასავით არ გაუკვირდება არც ამ დროშის დანახვა, არც ასეთი ადამიანები და ჩვეულებრივად აღიქვამს იმას, რომ ლგბტ თემის წარმომადგენლებიც რიგითი ადამიანები არიან. არ დამიწყოთ ახლა, აბა, როგორები არიანო... ცხვირ-პირში რომ გვატენით ამ თემას, ხომ გვაქვს უფლება, გავაპროტესტოთ, უარი ვთქვათ, გავაკრიტიკოთ... თუ მხოლოდ მათ აქვთ იმის უფლება, რომ თავი ტანჯულებად და წამებულებად წარმოგვიდგინონ?

ფაქტია: ლიბერალებმა და მათმა მხარდამჭერებმა ჩვენს თაობას ვერაფერი რომ ვერ მოუხერხეს და ვერ დააჯერეს, რომ პედერასტობა და ლესბოსელობა კარგია, ბავშვებს მიადგნენ და მათი გონების მოწამვლას ცდილობენ. რატომღაც გვგონია, რომ საქართველოში შემოსული სათამაშოები შესაბამისმა ორგანოებმა უნდა აკონტროლონ და ასეთი შეფერილობის ნივთები, მაღაზიათა ქსელში, უბრალოდ, არ უნდა იყოს. სხვაგვარად იქამდე მივალთ, რომ მომავალი თაობა აქეთ დაგვიწყებს დამუნათებას, ახლა რას გვერჩით, მაშინ სად იყავით, ლგბტ დროშის ფერებში შეღებილ სათამაშოებს რომ ყიდულობდით ჩვენთვის და თამაშს გვანებებდითო...

სტატია დასაბეჭდად მზად იყო, როცა სოციალურ ქსელში გავრცელდა ფოტო, რომელზეც თბილისის 190-ე სკოლის დერეფანია აღბეჭდილი. ვერ გეტყვით, ვის მოუვიდა აზრად დერეფნის ამ ფერებში შეღებვა, მაგრამ ფაქტია, რომ ამ სკოლის მოსწავლეებს, წლევანდელი პირველი ზარის შემდეგ, ლგბტ დროშის ფერებში გაფორმებულ დერეფანში მოუწევთ სიარული. ეს სწორედ ის არის, რასაც ვამბობთ: ლიბერალები მომავალ თაობას ერჩიან; ბაღიდან, სკოლიდან აჩვევენ იმას, რომ არატრადიციული ორიენტაცია კარგია... ვინმემ განათლების მინისტრს უჯიკეთ, ეგებ გამოიღვიძოს, მაგრამ... თვითონ ხართ საჯიკებელი და...

**ბესო ბარბაქაძე**

# ტრამპი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციიდან გასვლას აანონსებს




**აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ აშშ დატოვებს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას, რადგან, თეთრი სახლის მეთაურის აზრით, ეს ორგანიზაცია უსამართლოდ ეპყრობა ამერიკის ინტერესებს, — იუწყება სააგენტო „ბლუმბერგი“.**

ტრამპმა დაიმუქრა, რომ, თუ მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაცია არ შეცვლის აშშ-ის მიმართ დამოკიდებულებას, ვაშინგტონი მიიღებს ამ ორგანიზაციიდან გასვლის გადაწყვეტილებას. „თუ მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაცია არ შეიცვლება, მე დავტოვებ ამ ორგანიზაციას“, — განაცხადა ტრამპმა.

დონალდ ტრამპი ჯერ კიდევ პრეზიდენტობის კანდიდატი იყო, როდესაც დაუფარავად გამოხატავდა უკმაყოფილებას საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის მიმართ, რომლის გამოც, ტრამპის აზრით, აშშ არასახარბიელო მდგომარეობაშია.

# «არავის დაეკითხებით, ვიყიდოთ თუ არა რუსეთისგან საზენიტო-სარაკეტო სისტემა»

**თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა განაცხადა, რომ თურქეთი არავის დაეკითხება, იყიდოს თუ არა რუსეთისგან საზენიტო-სარაკეტო სისტემა C-400. ამის თაობაზე განაცხადა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა ყირგიზეთის დედაქალაქ ბიშკეკში ბიზნესფორუმზე სიტყვით გამოსვლისას.**

„ჩვენ შეთანხმება გავაფორმეთ რუსეთთან C-400-ის შესყიდვაზე და ზოგიერთს ეს საკითხი აწუხებს. მაპატიეთ, მაგრამ არავის დავეკითხებით და არავის ვთხოვთ ნებართვას, შევისყიდოთ თუ არა რუსეთისგან საზენიტო-სარაკეტო სისტემა“, — განაცხადა თურქეთის პრეზიდენტმა. 31 აგვისტოს თურქეთის პრეზიდენტმა თქვა, რომ თურქეთი მოკლე პერიოდში იმედოვნებს რუსული საზენიტო-სარაკეტო სისტემა C-400-



ის მიღებას, მიუხედავად აშშ-ის მხრიდან ზეწოლისა.

2017 წლის 12 სექტემბერს რუსეთის მხარემ დაადასტურა C-400-ის გაყიდვის შესახებ თურქულ მხარესთან კონტრაქტის გაფორმება. თურქეთი ნატოს პირველი წევრი სახელმწიფო იქნება, რომელიც საზენიტო-სარაკეტო სისტემა C-400-ით შეიარაღდება.

აშშ-ის ხელისუფლება მიიჩნევს, რომ თურქეთმა, როგორც ნატოს წევრმა, რუსეთისგან საზენიტო სარაკეტო სისტემა C-400 არ უნდა შეისყიდოს.

**ცნობილი ფაქტია, რომ მაკეინი სიცოცხლის ბოლომდე აქტიურად აკრიტიკებდა დონალდ ტრამპის პოლიტიკას. იქნებ სწორედ აქ არის ძაღლის თავი დამარხული? ხომ არ ცდილობენ ნაციონალები, რომ ხელისუფალთ პრეზიდენტ ტრამპის არმოსაწონი ნაბიჯი გადაადგმევინონ?**

საკითხავი აი ეს არის...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვის რაში სჭირდება საქართველოში მაკეინის ქუჩები?!

**„ნაციონალურმა მოძრაობამ“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში თბილისს სამახსოვროდ არაერთი „საინტერესო“ რამ დაუტოვა.**

2005 წელს თბილისის საერთაშორისო აეროპორტისკენ მიმავალი ავტომაგისტრალის დასაწყისში დაამონტაჟეს უზარმაზარი სარეკლამო დაფა, რომელზეც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი — ჯორჯ ბუშია მოღიმარი სახით გამოსახული, სურათის გვერდით კი დიდი ასოებით წერია: „ჯორჯ ბუშის ქუჩა“. დიახ, მელაანის ქუჩას აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის სახელი მიანიჭეს;

2010 წელს თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ერთ-ერთ ქუჩას პოლონეთის გარდაცვლილი პრეზიდენტის — ლეხ კაჩინსკის სახელი უწოდეს; ბათუმში ცხონებულის სახელს მისი მეუღლის სახელიც დაუმატეს და ახალგახსნილ ბულვარში გაჩნდა ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩა, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა საზეიმო ვითარებაში გახსნა.

საბურთალოს რაიონში ვლადიმერ ჯიქიას ქუჩას გადაარქვეს ამ დიდი მამულიშვილის სახელი და ანა პოლიტკოვსკაიას (რუსი ჟურნალისტი და ადამიანის უფლებათა დამცველი, 2006 წელს საკუთარი სახლის ლიფტში ჩაცხრილეს) ქუჩა უწოდეს.

ვინ იყო ვლადიმერ ჯიქია? — ინჟინერი, რიონჰესის მშენებელი, ქართული კულტურის ქომაგი და დამცველი, ქველმოქმედი და შეჭირვებულთა შემწე.

2011 წლის 23 ნოემბერს, გიორგობას, რიყის პარკში რონალდ რეიგანის ძეგლი გაიხსნა...

აღარაფერს ვამბობთ კვერცხების, ფლოსტებისა თუ ველოსიპედის „ძეგლებზე“.

მაამებლობის პოლიტიკით შეპყრობილნი, უნებურად თუ მიზანმიმართულად ანადგურებენ იმას, რასაც უნდა ვუფრთხილდებოდეთ.

როდის უნდა მიხვდეთ, რომ არ შეიძლება განუკითხავად, დაუფიქრებლად ისეთი ნაბიჯების გადადგმა, მერე შთამომავლობის რომ შეგრცხვეთ?!

ნაციონალთა „ანასხლეტები“ ახლაც ვერ ისვენებენ — მაკეინის გარდაცვალების გამო „ცრემლად იღვრებიან“ და მისი სულის უკვდავსაყოფად ჯერჯერობით(!) რამდენიმე ქალაქში მისი სახელობის ქუჩების არსებობაზე ალაპარაკდნენ. საინტერესოა: ნეტა რატომ?!

აი თურმე რატომაც:

დღეს ყველა მედიასაშუალება იმაზე ლაპარაკობს, რომ თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ევროპული საქართველო“ დედაქალაქის რომელიმე ქუჩისთვის სენატორ ჯონ მაკეინის სახელის მინიჭებას ითხოვს.

ამ ინიციატივით ფრაქციის წევრებმა საკრებულოს თავმჯდომარეს და სახელდების კომისიას მიმართეს. სურთ, შეირჩეს ქუჩა, რომელსაც ჯონ მაკეინის სახელი დაერქმევა, რადგან, მათი აზრით, მაკეინი საქართველოს მეგობარი იყო. ის მუდმივად ლობირებდა საქართველოს ინტერესებს საერთაშორისო საზოგადოებაში და რუსეთისადმი კრიტიკული დამოკიდებულებით გამოირჩეოდაო...

**ცნობილი ფაქტია, რომ მაკეინი სიცოცხლის ბოლომდე აქტიურად აკრიტიკებდა დონალდ ტრამპის პოლიტიკას. იქნებ სწორედ აქ არის ძაღლის თავი დამარხული? ხომ არ ცდილობენ ნაციონალები, რომ ხელისუფალთ პრეზიდენტ ტრამპის არმოსაწონი ნაბიჯი გადაადგმევინონ? გამორიცხული არ არის, რომ მაკეინისადმი ასეთი დიდი პატივისცემის გამოხატვის მიზანი სწორედ ის იყოს, რომ საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას ტრამპთან „საქმე გაუფუჭდეს“. ეჭვი არ შეგეპაროთ — მაკეინის ცოდვილი სულის უკვდავყოფა ნაციონალებს სულაც არ ანაღვლებთ.**

როლებიც გადაინაწილეს — ამ საკითხზე თბილისში პარლამენტში „ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქციის თავმჯდომარე — გიორგი გაბაშვილი; ქუთაისში „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი — გიგი წერეთელი; ბათუმში ბათუმის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატი — მირდატ ქამადაძე „მუშაობენ“.

**„ჯონ მაკეინი საქართველოს თავისუფლების ერთ-ერთი ყველაზე დიდი მხარდამჭერი იყო, საქართველოსთვის თანადგომის ორგანიზატორი საერთაშორისო მასშტაბით, ჩვენი პოლიტიკური და თავდაცვისუნარიანობის ერთ-ერთი დიდი მხარდამჭერი. ყველას გვახსოვს, ჯონ მაკკეინი იყო ის, რომელმაც დაამკვიდრა აშშ-ში გამოთქმა „დღეს ჩვენ ყველა ქართველები ვართ“. მიგვაჩნია, ქართველების, თბილისელების ვალიცაა, გვქონდეს ჯონ მაკკეინის სახელობის ქუჩა. გვინდა, ამას ჰქონდეს მრავალპარტიული მხარდაჭერა და ამიტომ მივმართავთ საკრებულოს თავმჯდომარეს, უმრავლესობას, ყველა ოპოზიციურ ფრაქციას, დავსხდეთ და ღირსეულად ჩავატაროთ ეს პროცედურა. თბილისის რომელიმე ქუჩას მიენიჭოს ჯონ მაკეინის სახელი“**, — ეს **გოკა გაბაშვილის** აზრია.

**„მიმაჩნია, რომ თბილისშიც და ქუთაისშიც, რომელიც ქვეყნის პოლიტიკური ცენტრია და საპარლამენტო დედაქალაქი, მაკეინის სახელი უნდა მიენიჭოს რომელიმე ქუჩას, სკვერს ან რომელიმე დაწესებულებას. რაც მის მიმართ განსაკუთრებული მადლიერების ნიშანი იქნება.**

**ჯონ მაკეინს უყვარდა საქართველო, მათ შორის იმერეთი და ქუთაისი. პირადად მისაუბრია მასთან ქუთაისის პერსპექტივაზე, ეკონომიკის და ტურიზმის განვითარებაზე. ის განსაკუთრებით მხარს უჭერდა საერთაშორიისო აეროპორტის მშენებლობას“**, — აღნიშნა **გიგი წერეთელმა.**

**„გამოვდივარ წინადადებით, ბათუმში ლერმონტოვის ქუჩას ეწოდოს სენატორ ჯონ მაკეინის სახელი. რა დამსახურებაც აქვს ამ ადამიანს საქართველოს წინაშე, ამაზე აღარ შევაჩერებ თქვენს ყურადღებას, ისედაც ყველასთვის ცხადია“**, — წერს **ქამადაძე.**

ყველასათვის ცხადი სულ სხვა რამ არის: **ოპოზიცია ცდილობს, ხელისუფლებას ამერიკის პრეზიდენტი მტრად მოჰკიდოს.**

ტრამპის მტრობამ კი სულ ახლახან კარგად შეარყია თურქეთი — ეს უზარმაზარი ქვეყანა, და რას უზამს პატარა საქართველოს ძნელი მისახვედრი არ არის.


რეიგანის ძეგლი რიყის პარკში

**დრო ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს — იმ ზემოხსენებულ ძეგლებს ან სანაგვეზე მოისვრის, ან ჯართად აქცევს; აღარც ქუჩებს შერჩებათ სამუდამოდ ეს შეუფერებელი, მიუსადაგებელი და არაქართული სახელები**



ჯორჯ ბუშის ქუჩა

რაც შეეხება მაკეინის დამსახურებას საქართველოს წინაშე, ფაქტია, აგვისტოს ომის წინ სწორედ ის იყო სააკაშვილის ერთ-ერთი წამქეზებელი; ომის, რომელმაც უდიდესი უბედურება დაატეხა თავს ქართველ ხალხს, მაგრამ აჩუქა გმირები, რომელთა სახელობის ქუჩებზე რატომღაც არ ლაპარაკობენ ნაციონალები. რა მოსატანია მაკეინის სახელი **შინდისის ბრძოლის 17 ქართველი გმირი ჯარისკაცის სახელებთან.** რუსეთის 58-ე არმიის 70-ე მოტომსროლელი პოლკის მეთაური ამ 17 ქართველი ჯარისკაცის ცხედრებთან თურმე დიდხანს მდუმარედ იდგა, მერე ერთი ამოუოხრია, ხმამაღლა კი მხოლოდ ეს უთქვამს: „ასეთი ბიჭები რომ მყოლოდაო...“ *(რუსი ჯარისკაცის, საშა დროზდოვის, ნაამბობიდან).*


მიხეილ სააკაშვილი და ჯონ მაკეინი

**ჩვენ, ცოცხლებმა, ხშირად უნდა ვახსენოთ ისინი — ალექსანდრე ონიანი, ემზარ წილოსანი, ვეფხვია ჯიშკარიანი, ზვიად კაცაძე, თეიმურაზ ბერიძე, ილია გაბუნია, ილია შეყლაშვილი, ირაკლი ჯანელიძე, კახა კოშაძე, ლევან მელქაძე, მარლენ ბარამია, მიხეილ დვალიშვილი, ნიკოლოზ ფორჩხიძე, რომან ზოიძე, რუსლან წულაძე, ფელიქს კაკაურიძე და შმაგი კუპატაძე.**

რა მოსატანია მაკეინის სახელი **დიმიტრი ჯაილოვის** სახელთან.

მტერი რომ სენაკის ბაზას ბომბავდა, დიმიტრის დაჭრილი რეზერვისტები საავადმყოფოში გადაჰყავდა. ორი გზა გააკეთა თურმე და გაიყვანა კიდეც დაჭრილი ბიჭები სამშვიდობოს. მესამედ რომ აპირებდა წასვლას, უმცროსმა ძმამ სთხოვა, დროებით თავი შეეკავებინა, რადგან ყველაფერი იბომბებოდა, მიწა დუღდა. დიმიტრიმ კი იუარა: დაჭრილ ბიჭებს ვერ მივატოვებო. ძმას დაემშვიდობა, გზატკეცილზე გამოვიდა და... ძმის თვალწინ აფეთქებულა.

ან გორის ჯავშანსატანკო ბატალიონის ტანკისტები **გია** და **გელა რომელაშვილები** გავიხსენოთ. ძმები ერთად დაეცნენ ბრძოლის ველზე;

ექიმმა **გოგა აბრამიშვილმა** კი არ მიატოვა გორის ჰოსპიტალი — იქნებ ვინმეს დახმარება სჭირდებაო. ის 11 აგვისტოს დაბომბვისას დაიღუპა, დარჩა მეუღლე და 3 შვილი;

**ზაზა ფერაძეს** კი ბიჭები გამოჰყავდა ცხინვალიდან. მხარში დაჭრილს ბიჭებმა უთხრეს: სახლში ცოლ-შვილი გელოდება, სადღა შერბიხარო. მას კი უთქვამს: ვინც იქიდან უნდა გამოვიყვანო, მათ არც ცოლი ჰყავთ და არც შვილებიო...

მაპატიოს სხვების სულებმა, ამ მოკლე საგაზეთო წერილში რომ ვერ ვახსენე. ნათელი და სანთელი მათ სულებს! დიდება გმირებს!

ამ ადამიანების სახელების უკვდავყოფასა და მათი დაობლებული შვილების მხარდაჭერაზე იფიქრეთ, ურაპატრიოტებო, მაკეინს კი თავისი ჭირისუფალიც მიხედავს.

რას ფიქრობს ამაზე ხელისუფლება? ჯერჯერობით ის ვიცით მხოლოდ, რომ თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის მაკეინის სახელის მინიჭების ინიციატივას დედაქალაქის მერი კახა კალაძე ასე გამოეხმაურა:

„შეიძლება განხილვა ამ საკითხის და დაველოდოთ საკრებულოს გადაწყვეტილებასო“.

ამერიკელი სენატორი 2 სექტემბერს დაკრძალეს. დაკრძალვის ცერემონიაზე ყველა ქვეყნიდან 2-2 წარმომადგენელი იყო მიწვეული. საქართველოდან ეს „პატივი“ წილად ხვდათ პარლამენტის პირველ ვიცესპიკერ თამარ ჩუგოშვილსა და საპარლამენტო უმცირესობის ლიდერ დავით ბაქრაძეს...

დრო ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს — იმ ზემოხსენებულ ძეგლებს ან სანაგვეზე მოისვრის, ან ჯართად აქცევს; აღარც ქუჩებს შერჩებათ სამუდამოდ ეს შეუფერებელი, მიუსადაგებელი და არაქართული სახელები.

**დარეჯან ანდრიაძე**

პროტესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მნიშვნელოვან როლს საქსონიის (უპირველესად კი, იმ ნაწილის, რომელშიც კემნიცი მდებარეობს) მოსახლეობის განწყობის ფორმირებაში ის გარემოება ასრულებს, რომ ეს ტერიტორია ჩეხეთისა და პოლონეთის საზღვარზე ერთგვარ დერეფანს წარმოადგენს, რომლის მეშვეობით მიგრანტები აღმოსავლეთ ევროპიდან გერმანიაში ხვდებიან. ამან ხელი შეუწყო მოსახლეობაში „ალყაშემორტყმული ციხესიმაგრის“ ფსიქოლოგიის დამკვიდრებას.**

# არეულობა კემნიცში: მერკელის საიმიგრაციო პოლიტიკის მარცხი

**გასულ კვირას მკვეთრად დაიძაბა ვითარება გერმანიაში, კერძოდ — საქსონიის ქალაქ კემნიცში, სადაც მიგრანტებთან ჩხუბისას 35 წლის გერმანელის დაღუპვას მასშტაბური საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა. ვითარების განმუხტვა ვერ ხერხდება, ხელისუფლებას აკრიტიკებენ როგორც მემარჯვენეები, ასევე მემარცხენეები, ის კი ცდილობს, შემდგომი ესკალაცია არ დაუშვას და მოიგერიოს ბრალდებები იმის თაობაზე, რომ მომხდარი მისი პოლიტიკის შედეგია.**

26 აგვისტოს, ქალაქის დღესასწაულის შემდეგ, ღამის სამ საათზე, კემნიცში მოხდა ჩხუბი დაახლოებით 10 კაცის მონაწილეობით. ერთ-ერთი მათგანი, 35 წლის მამაკაცი, გერმანიის მოქალაქე, მოკლეს; ორი (33 და 38 წლის) — დაჭრეს. პოლიციამ ცხელ კვალზე 22 წლის ერაყელი და 23 წლის სირიელი დააკავა, რომლებიც შემთხვევის ადგილიდან მიმალვას ცდილობდნენ. ერაყელი მთავარ ეჭვიტანილად ითვლება. „შპიგელის“ ცნობით, ის გერმანიაში 2015 წლის ოქტომბრის ბოლოს, ე.წ. ბალკანური მარშრუტის გავლით მოხვდა. თავიდან გერმანიის ხელისუფლება აპირებდა, ის ბულგარეთში დაებრუნებინა, მაგრამ, პროცედურული ვადის ამოწურვის გამო, იძულებული გახდა, მისი საკითხი თვითონ გადაეწყვიტა. საიმიგრაციო სამსახურმა ის ორჯერ დაჰკითხა და დაასკვნა, რომ მისი მონათხრობი, რომ თითქოს ერაყში დევნიდნენ, ნაკლებად სარწმუნოა. მან საიმიგრაციო სამსახურს ორი ყალბი საბუთი წარუდგინა, აგრესიულად იქცეოდა ლტოლვილების საერთო საცხოვრებელში — ორ ადამიანს წიწაკის ცრემლსადენი ბალონით შეუტია. აქედან გამომდინარე, 29 აგვისტოს მას უნდა მიეღო ოფიციალური უარი თავშესაფარზე, თუმცა 26 აგვისტოს მომხდარ ტრაგედიაზე ყოველივე ამან გავლენა, ცხადია, ვერ მოახდინა.

მომდევნო დღეებში კემნიცში რამდენიმე საპროტესტო მიტინგი გაიმართა. თავიდან მათი ორგანიზატორები მემარჯვენე ჯგუფები იყვნენ, რომლებიც მიგრანტების პრობლემის გადაწყვეტას მოითხოვდნენ, თუმცა შემდგომ ქუჩებში მათი მემარცხენე მოწინააღმდეგეებიც გამოვიდნენ — ისინი ხელისუფლებას მოუწოდებდნენ, ოპონენტები ქსენოფობიისა და აგრესიის გამოვლენისთვის დაესაჯათ. საქსონიის ხელისუფლებამ კემნიცში პოლიციის დამატებითი ძალები გადაისროლა, რის გამოც იძულებული გახდა, უარი ეთქვა სხვა ღონისძიებების დაცვაზე. ამის გამო გაუქმდა მეორე ბუნდესლიგის საფეხბურთო მატჩი დრეზდენის „დინამოსა“ და „ჰამბურგს“ შორის. **1 სექტემბრის აქციების მონაწილეთა რაოდენობა (ორივე მხრიდან) 10 ათასამდე გაიზარდა, შეტაკებებში 18 ადამიანი დაშავდა, პოლიციამ დაახლოებით 300 დემონსტრანტი დააკავა.**

აღსანიშნავია, რომ საქსონიაში, სხვა ფედერალურ მხარეებთან შედარებით, არც ისე ბევრი ლტოლვილი და, საერთოდ, უცხოელი ცხოვრობს. მათი ხვედრითი წილი 4,2%-ია, მაშინ, როდესაც საშუალოდ გერმანიაში 11,2%-ია. ზოგადად კი, **ყოფილი გდრ-ის ტერიტორიაზე (ბერლინის გამოკლებით) გერმანიაში რეგისტრირებული 9 მილიონი უცხოელის მხოლოდ 5,7% ცხოვრობს, მაგრამ რადიკალი მემარჯვენეების რიტორიკა და მიგრაციის შეზღუდვის იდეები განსაკუთრებული პოპულარული სწორედ საქსონიაშია.** შარშან სექტემბერში ბუნდესტაგის არჩევნებზე „ალტერნატივამ გერმანიისთვის“, შესაბამისი ლოზუნგების გამოყენებით, რეკორდული 27% მოაგროვა. იქამდე, ჯერ კიდევ 2004 წელს, ულტრამემარჯვენე ნაციონალურ-დემოკრატიულმა პარტიამ საქსონიაში ძალზე შთამბეჭდავ შედეგებს მიაღწია და რეგიონი თავის მთავარ საყრდენად აქცია.

მნიშვნელოვან როლს საქსონიის (უპირველესად კი, იმ ნაწილის, რომელშიც კემნიცი მდებარეობს) მოსახლეობის განწყობის ფორმირებაში ის გარემოება ასრულებს, რომ ეს ტერიტორია ჩეხეთისა და პოლონეთის საზღვარზე ერთგვარ დერეფანს წარმოადგენს, რომლის მეშვეობით მიგრანტები აღმოსავლეთ ევროპიდან გერმანიაში ხვდებიან. ამან ხელი შეუწყო მოსახლეობაში „ალყაშემორტყმული ციხესიმაგრის“ ფსიქოლოგიის დამკვიდრებას.

ამასთანავე, საქსონიისთვის დამახასიათებელია რეგიონული პატრიოტიზმი — მოსახლეობა ძლიერი ადგილობრივი სტრუქტურების შექმნისკენ ისწრაფვის და ცენტრის ჩარევისგან შეძლებისდაგვარად დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას მოითხოვს. ეს პრუსიასა და საქსონიას შორის ძველი კონფლიქტის გამოძახილია, რომელშიც საქსონიამ მარცხი განიცადა. „დოიჩე ველესთვის“ მიცემულ ინტერვიუში სოციოლოგიის პროფესორმა **რაი კოლმორგენმა** განაცხადა, რომ „ბერლინს ყველაზე მეტად ვერ იტანენ ლაიფციგსა და დრეზდენში, ხოლო გდრ-ის საქსონელები პრუსიელების სახელმწიფოდ აღიქვამდნენ“. პოლიტოლოგი ფრანც ვალტერი ყურადღებას კიდევ ერთ ფაქტორზე ამახვილებს — კომუნისტური ეპოქის დასრულების შემდეგ აღმოსავლეთ გერმანიაში იდეოლოგიური ვაკუუმი შეიქმნა და ის ნაწილობრივ ეკლესიამ შეავსო, მაგრამ საქსონიაში ამას იმ გარემოებამ შეუშალა ხელი, რომ იქ არათუ გერმანიის, არამედ ევროპის მასშტაბით მორწმუნე ადამიანების ხვედრითი წილი რეკორდულად მცირეა. შესაძლოა, სწორედ ამის გამო ქრისტიანული ეთიკა და რიტორიკა ვერ ახდენს საქსონიაში შესამჩნევ „შემარბილებელ“ გავლენას დაპირისპირებულ მემარჯვენეებსა და მემარცხენეებზე, რომლებიც სხვა ფედერალური მხარეების ფონზე „სანიმუშო“ რადიკალურობით გამოირჩევიან.

**კემნიცში განვითარებული კრიზისის ფონზე, 31 აგვისტოს დრეზდენის სასამართლომ 9 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა რადიკალური ორგანიზაცია „პეგიდას“ ყოფილ წევრს, რომელმაც 2016 წლის 26 სექტემბერს დრეზდენში ორი აფეთქება მოაწყო მეჩეთთან და საერთაშორისო კონგრეს-ცენტრთან.** ამ აქტს მსხვერპლი არ მოჰყოლია, ხოლო ფიგურანტმა დანაშაული მოინანია. მიუხედავად ამისა, სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის არგუმენტები, რომელიც ამტკიცებდა, რომ ბრალდებული არავის მოკვლას არ აპირებდა და მოუწოდებდა სასამართლოს, პატიმრობის ვადა 4,5 წლამდე შეემცირებინა (მაშინ, როდესაც პროკურატურა 10 წელსა და 9 თვეს მოითხოვდა). ულტრამემარჯვენეები განაჩენის გამო უკმაყოფილებას გამოთქვამენ და მიიჩნევენ, რომ მოსამართლეებს მისი გამკაცრებისკენ კემნიცში განვითარებულმა მოვლენებმა უბიძგეს.

აღსანიშნავია, რომ მაშინ, 2016-ში, დრეზდენის აფეთქებიდან სულ რაღაც 2 კვირაში, სამართალდამცველებმა სწორედ კემნიცში ჩაატარეს სპეცოპერაცია — დააკავეს ერთი პიროვნება და აღმოაჩინეს ასაფეთქებელი ნივთიერება, ხოლო მთავარი ეჭვმიტანილი, 22 წლის სირიელი **ჯაბერ ალ-ბაქრი**, რომელიც ერთ-ერთი გერმანული აეროპორტის აფეთქებას გეგმავდა, მიიმალა. ის გერმანიაში ლტოლვილის სტატუსით მოხვდა. იმავე წლის ივლისში „ნოე ოსნაბრუკერ ცაიტუნგი“, ფედერალური კრიმინალური პოლიციის მონაცემებზე დაყრდნობით, წერდა, რომ 410 ლტოლვილს კავშირი აქვს საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციებთან და ამის თაობაზე სამართალდამცავმა ორგანოებმა 60-მდე საქმე აღძრეს. მოგვიანებით გერმანიის შსს-მ ეს ინფორმაცია არ დაადასტურა.

**საერთოდ, 2016 წელი გერმანელი სამართალდამცველებისთვის საკმაოდ დაძაბული გამოდგა. ის დაიწყო მიგრანტების ჯგუფური თავდასხმით ქალებზე კელნში ახალი წლის ღამეს და გაგრძელდა ინციდენტებით კლაუზენსა და ბაუტცენში (ისევ და ისევ საქსონიაში). პირველ შემთხვევაში დაახლოებით ასმა ადგილობრივმა მოსახლემ ლტოლვილებით სავსე ავტობუსი დაბლოკა, ხოლო მეორეში — სიხარულს გამოხატავდა ლტოლვილთა საერთო საცხოვრებელში ცეცხლის გაჩენის გამო და მეხანძრეებს ხელს უშლიდა.** იყო უამრავი სხვა ინციდენტი დრეზდენის აფეთქების და კემნიცის სპეცოპერაციის ჩათვლით, წლის ბოლოს კი, **16 დეკემბერს, 24 წლის ტუნისელი ანის ამრი ბერლინში საშობაო ბაზრობის ტერიტორიაზე სატვირთო ავტომობილით შეიჭრა. ტერაქტს 11 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, 50 დაშავდა**. ამრი გერმანიის ტერიტორიაზე 2015 წელს მოხვდა, თავშესაფრის მაძიებლად ითვლებოდა და, კემნიცში დაკავებული ერაყელის მსგავსად, საიმიგრაციო სამსახურის მოტყუებას ყალბი საბუთების გამოყენებით ცდილობდა. 2015 წლის ოქტომბრიდან 2016 წლის დეკემბრამდე ამრის გვარი პოლიციის 60(!) პროტოკოლში მოხვდა; აგრეთვე დადგინდა, რომ ის ნარკოტიკებით ვაჭრობდა. მიუხედავად ამისა, გერმანიის ხელისუფლებამ მისი გაძევება ქვეყნიდან ვერ მოახერხა და საბოლოოდ მან საზარელი ტერაქტი განახორციელა.

**საგულისხმოა, რომ რადიკალი მემარჯვენეების ოპონენტები მთავარ პრობლემას ქსენოფობიურ ლოზუნგებსა და მოწოდებებში ხედავენ. ისინი სარგებლობენ შექმნილი სიტუაციით და მკაცრად აკრიტიკებენ სამართალდამცველებს იმისთვის, რომ ისინი არასაკმარისად ხისტად მოქმედებენ. მეტიც, ისინი მოითხოვენ, რომ კონსტიტუციის დაცვის ფედერალურმა სამსახურმა (ეს კონტრდაზვერვითი სტრუქტურა შსს-ს სტრუქტურაში შედის) გააკონტროლოს მიგრაციის მოწინააღმდეგეთა ინტერესების გამომხატველი ბუნდესტაგში „ალტერნატივა გერმანიისთვის“.** შს მინისტრი ჰორსტ ზეეჰოფერი მთელი პარტიის გაკონტროლების წინააღმდეგია, თუმცა აცხადებს, რომ საჭიროა პარტიის წევრთა განცხადებებისა და კონტაქტების (იგულისხმება კონტაქტები ულტრამემარჯვენეებთან) ანალიზი და „კონსტიტუციის დაცვის სამსახური ამას აკეთებს“.




**გერმანიის ხელისუფლება ცდილობს, უკანა პლანზე გადაწიოს ის ფაქტი, რომლის გამოც დაიწყო კრიზისი. საუბარი მიგრანტის მიერ გერმანიის მოქალაქის მკვლელობაზე მისთვის წამგებიანია, რადგან გერმანელების არცთუ მცირე ნაწილი მიიჩნევს, რომ სწორედ ანგელა მერკელისა და მისი პარტიის საიმიგრაციო პოლიტიკის შედეგია ის, რომ ქუჩებში დაძრწიან შეიარაღებული პირები გაურკვეველი სტატუსით, რომლებიც მოსახლეობას სასიკვდილო საფრთხეს უქმნიან**

კემნიცში მომხდარი მკვლელობიდან ერთ კვირაში ხელისუფლებამ მემარცხენეების აქტიური დახმარებით საზოგადოების ყურადღება რადიკალი მემარჯვენეების ქსენოფობიაზე გადაიტანა და მთავარ საფრთხედ სწორედ ის წარმოაჩინა. **ხელისუფლება ცდილობს, უკანა პლანზე გადაწიოს ის ფაქტი, რომლის გამოც დაიწყო კრიზისი. საუბარი მიგრანტის მიერ გერმანიის მოქალაქის მკვლელობაზე მისთვის წამგებიანია, რადგან გერმანელების არცთუ მცირე ნაწილი მიიჩნევს, რომ სწორედ ანგელა მერკელისა და მისი პარტიის საიმიგრაციო პოლიტიკის შედეგია ის, რომ ქუჩებში დაძრწიან შეიარაღებული პირები გაურკვეველი სტატუსით, რომლებიც მოსახლეობას სასიკვდილო საფრთხეს უქმნიან.**

ამ მხრივ საკმაოდ საგულისხმოა 2 სექტემბერს გამოქვეყნებული სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები, რომლებიც „ბილდ ამ სონტაგის“ დაკვეთით „ენმიდმა“ ჩაატარა. **გამოკითხულთა 66% მიიჩნევს, რომ მიგრანტებთან დაკავშირებული კრიზისის დაწყების (2015) შემდეგ სიტუაცია გაუარესდა; 17% თვლის, რომ გაუმჯობესდა; 82% თვლის, რომ საზოგადოებრივი კლიმატი ამ პერიოდში გაცილებით ცუდი გახდა; საპირისპირო მოსაზრება 11%-ს აქვს. 27% პროტესტს უცხოელების წინააღმდეგ ნორმალურ მოვლენად თვლის, 66% კი — არა; მაგრამ, ამავე დროს, 71% იწონებს პროტესტს უცხოელების მიერ ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ; არასწორად მას გამოკითხულთა მხოლოდ 21% მიიჩნევს. ეს მონაცემები, ალბათ, კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ გერმანიის ხელისუფლება ამ მიმართულებით შეიძლება სულ უფრო სერიოზულ პრობლემებს შეეჯახოს.**

**ლუკა ნემსაძე**

**გრინსბურგის ეპარქიაში მღვდლისგან დაფეხმძიმდა 17 წლის გოგონა. ჰარისბურგის ეპარქიაში მღვდელმსახური ძალადობდა 5 დაზე, პიტსბურგში კი, იქაურ საეკლესიო მსახურთა განცხადებით, 15 წლის მოზარდმა „თვითონ აცდუნა“ მღვდელი, რომელმაც მოგვიანებით აღიარა, რომ მამათმავლური ურთიერთობა ჰქონდა რამდენიმე ყმაწვილთან.**

ო, ზნეობავ!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ღვთისგან მიტოვებული გარყვნილი სასულიერო პირები

## კათოლიკე მღვდელმთავრების საძმო მამათმავლობისა და პედოფილიის ახალ სკანდალში გაეხვია

**ის, რასაც ადრე მალავდნენ კათოლიკური ეკლესიის უმაღლესი სასულიერო პირები, ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი ხდება. ინტერნეტის წყალობით ადამიანებმა საშინელი სიმართლე შეიტყვეს ანაფორებიან ორსახოვან პარაზიტებზე...**

### გარყვნილები ეკლესიაში

რომის კათოლიკური ეკლესია კვლავ აღმოჩნდა მცირეწლოვანთა გახრწნის გამო ატეხილი სკანდალის ცენტრში. ამჯერად გახმაურდა პედოფილიის შემთხვევები, რომლებშიც მონაწილეობდნენ პენსილვანიის შტატის ეპისკოპოსები და სხვა მაღალი იერარქიის სასულიერო პირები. ეკლესია მალავდა ბევრ ასეთ შემთხვევას, მაგრამ ახლა ვეღარ შეძლო პრობლემის მიჩქმალვა — პონტიფიკოსი ირლანდიაში შეხვდა სექსუალური ძალადობის მსხვერპლთ...

**აგვისტოს შუა რიცხვებში დიდი ჟიურის ნაფიცმა მსაჯულებმა წარმოადგინეს მასშტაბური მოხსენება, რომელშიც მოთხრობილია, სულ ცოტა, 300 მღვდელმსახურის გარყვნილ ქმედებებზე პენსილვანიის შტატის 6 ეპარქიაში - ალენტაუნში, ერიში, გრინსბურგში, ჰარისბურგში, პიტსბურგსა და სკრენტონში. 70 წლის განმავლობაში ვნებააშლილი „წმინდა მამების“ მსხვერპლი, გამოძიების მონაცემებით, სულ ცოტა, 1000 არასრულწლოვანი აღმოჩნდა.**

„მღვდელმსახურები აუპატიურებდნენ პატარა ბიჭებსა და გოგონებს მაღალი იერარქიის სასულიერო პირები კი, რომლებიც პასუხს აგებენ ამ მღვდელმსახურების ქმედებებზე, არათუ რამეს აკეთებდნენ ამ ქმედებების აღსაკვეთად, არამედ ხელს აფარებდნენ დამნაშავეებს“. — ნათქვამია მოხსენებაში. ვიკარიები, ეპისკოპოსები, არქიეპისკოპოსები და კარდინალები ათეულობით წლების განმავლობაში დაუსჯელად მოქმედებდნენ, უფრო მეტიც, დაწინაურდნენ იერარქიულ კიბეზე”.

პენსილვანიის გენერალურმა პროკურორმა **ჯოშ შაპირომ** ნაფიც მსაჯულთა მიერ მომზადებულ დოკუმენტს უწოდა **„ყველაზე სრული მოხსენება სექსუალური ძალადობის თემაზე რომის კათოლიკურ ეკლესიაში, რომელიც ოდესმე მომზადებულა აშშ-ის ისტორიაში“.**

დოკუმენტის ავტორები აღიარებენ, რომ მცირეწლოვანებზე სექსუალური ძალადობის შემთხვევათა უმეტესობის სისხლის სამართლებრივი კოდექსის მუხლებით გამოძიება უკვე შეუძლებელია ხანდაზმულობის გამო. მიუხედავად ამისა, ორი მღვდელმსახურის მიმართ მაინც აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

მოხსენებაში ჩამოთვლილი შემთხვევებიდან, ტელეკომპანია „სი-ენ-ენ“-ი გამოჰყოფს შოკისმომგვრელებს. მაგალითად, **გრინსბურგის ეპარქიაში მღვდლისგან დაფეხმძიმდა 17 წლის გოგონა. ჰარისბურგის ეპარქიაში მღვდელმსახური ძალადობდა 5 დაზე, პიტსბურგში კი, იქაური საეკლესიო მსახურების განცხადებით, 15 წლის მოზარდმა „თვითონ აცდუნა“ მღვდელი, რომელმაც მოგვიანებით აღიარა, რომ სექსუალური ურთიერთობა ჰქონდა რამდენიმე ყმაწვილთან.**

### გლობალური ტრენდი

ამჟამინდელი სკანდალი ანალოგიური მხილებების ჯაჭვის მხოლოდ ერთი რგოლია, ამ ჯაჭვის მიხედვით ექსპერტები ასკვნიან, რომ პედოფილი მღვდლების პრობლემა აქტუალურია რომის კათოლიკური ეკლესიის ეპარქიებისთვის ყველა კონტინენტზე.

მაგალითად, **2009 წელს** გავრცელდა ინფორმაცია **დუბლინის არქიეპისკოპოსის** ეპარქიაში პედოფილიის ფაქტების მიჩქმალვის შესახებ. ეპარქიაში 50-მდე მღვდელმსახური (მათგან მხოლოდ 10-მდე პირს დაედო მსჯავრი) დაადანაშაულეს მცირეწლოვანთა გარყვნაში.

* 2011 წელს **ნიდერლანდებში** გახმაურდა 1000-მდე ბავშვის გაუპატიურების საქმე. რომის კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლები ჰოლანდიაში 60 წლის განმავლობაში ძალადობდნენ მოზარდებზე.

* ერთ-ერთი მასშტაბური სკანდალი კი გახმაურდა 2002 წელს **აშშ-ში.** გაირკვა, რომ 1962-დან 1995 წლამდე ბოსტონელმა მღვდელმსახურმა **ჯონ გეიგენმა** სექსუალურად იძალადა, სულ ცოტა, 130 ბავშვზე, ძირითადად, სკოლის მოსწავლეებზე, როდესაც ეს ამბავი შეიტყო ეპარქიის ხელმძღვანელობამ, გეიგენი სამკურნალოდ გაგზავნა, წოდება კი არ ჩამოურთმევია.



**აგვისტოს შუა რიცხვებში დიდი ჟიურის ნაფიცმა მსაჯულებმა წარმოადგინეს მასშტაბური მოხსენება, რომელშიც მოთხრობილია, სულ ცოტა, 300 მღვდელმსახურის გარყვნილ ქმედებებზე პენსილვანიის შტატის 6 ეპარქიაში: ალენტაუნში, ერიში, გრინსბურგში, ჰარისბურგში, პიტსბურგსა და სკრენტონში. 70 წლის განმავლობაში ვნებააშლილი «წმინდა მამების» მსხვერპლი, გამოძიების მონაცემებით, სულ ცოტა, 1000 არასრულწლოვანი აღმოჩნდა**



კარდინალმა **ბერნარდ ლოუმ**, რომელმაც 1984 წელს წერილი მიიღო ხელქვეითის „საგმირო საქმეებზე“ ის სხვა ეპარქიაში გადაიყვანა. ეს ისტორია გამოამზეურა გაზეთმა Boston Globe-მ და ლოუს მოუწია ბოსტონის არქიეპისკოპოსის პოსტიდან გადადგომა, გეიგენი კი დამნაშავედ ცნეს ბიჭებზე სექსუალურ ძალადობაში და 10 წლით აღუკვეთეს თავისუფლება, მაგრამ მისი პატიმრობა დიდხანს არ გაგრძელებულა — წელიწადნახევრის შემდეგ დაახრჩო მეორე პატიმარმა **ჯოზეფ დრიუსმა**, რომელიც სასჯელს იხდიდა იმის გამო, რომ მოკლა მამაკაცი, რომელმაც მასთან სექსუალური ურთიერთობა მოისურვა.

### პაპს შეუძლია

პრობლემის გლობალური ხასიათის მიუხედავად, წმინდა ტახტი ცდილობდა, არ შეემჩნია თავის წიაღში არასასურველი ტენდენციის დამკვიდრება და ასეთ რამეს „ცოდვას“ ან „გადაცდომას“ უწოდებდა ხოლმე. პენსილვანიის გენერალურმა პროკურორმა ამა წლის 25 ივნისს წერილი გაუგზავნა რომის პაპ ფრანცისკეს და მოუწოდა, აიძულოს ეკლესიის ლიდერები, შეწყვიტონ პედოფილი მღვდლების მსხვერპლთა დაშინება, რადგან **„გენერალური პროკურატურის მიერ ჩატარებული დეტალური გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ კათოლიკური ეკლესიის ლიდერები მალავდნენ სასულიერო პირების მხრიდან ბავშვებზე ძალადობის შემთხვევებს“.**

მოხსენებაზე ვატიკანის რეაქცია მძაფრი იყო, ყოველ შემთხვევაში სიტყვიერად. რომის პაპმა 20 აგვისტოს გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც უჩვეულოდ მკაცრად შეაფასა ახალი მხილებები: **„სირცხვილითა და შეშფოთებით ვაღიარებთ, რომ ვერ შევძელით, ვყოფილიყავით იქ, სადაც უნდა ვყოფილიყავით, დროულად ვერ მივიღეთ საჭირო ზომები და ვერ დავინახეთ მასშტაბი სერიოზული ზარალისა, რომელიც მიადგა ბევრი ადამიანის სიცოცხლეს“,** — აღნიშნა პონტიფიკოსმა, რომლის მიმართვის ამონარიდებიც გამოაქვეყნა Vatican News-მა, წმინდა ტახტის ოფიციალურმა საინფორმაციო პორტალმა.

პაპმა „მიტევების თხოვნა და ზარალის ანაზღაურება“ არასაკმარის ქმედებად ჩათვალა და ყველას მოუწოდა, რადიკალურად გარდაქმნან გარემო, რომელშიც ბავშვების უსაფრთხოება მთავარი პრიორიტეტი იქნება“. ასეთი შემთხვევებისადმი ნულოვან ტოლერანტობას უნდა ერთვოდეს პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება იმ პირებისა, რომლებიც ხელს დააფარებენ ასეთ დანაშაულს.

### მხოლოდ სიტყვები საკმარისი არ არის

მღვდელმსახურთა მხრიდან სექსუალური ძალადობის მსხვერპლთ პონტიფიკოსი შეხვდა 25-26 აგვისტოს ირლანდიაში ვიზიტისას. საუბარი დახურულ კარს მიღმა გაიმართა და მონაწილეებს ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტიათ, გაასაჯაროონ თუ არა საუბრის შინაარსი.

ძალადობის ერთ-ერთი მსხვერპლის, ირლანდიელი **მერი კოლინზის აზრით, „ვატიკანმა და პაპმა უნდა შეწყვიტონ ლაპარაკი იმაზე, რა საშინელებაა ჩადენილი ბოროტმოქმედება და როგორ უნდა დაეკისროს დამნაშავეებს პასუხისმგებლობა. ამას სჯობს, თქვან, რას აკეთებენ იმისთვის, რომ დამნაშავეებმა პასუხი აგონ, ჩვენ მხოლოდ ამის მოსმენა გვსურს“,** — დაწერა კოლინზმა სოციალურ ქსელში.

2017 წლის მარტში კოლინზმა დატოვა პაპის მიერ შექმნილი არასრულწლოვანთა დაცვის კომისია და განაცხადა, რომ სასულიერო პირების უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებდა „სხვა საკითხების“ განხილვას და ვატიკანს არ სურს სპეციალური ორგანოს — ტრიბუნალის შექმნა, რომელიც მკაცრ სასჯელს გამოუტანს გარყვნილ მღვდელმსახურებს.

**უცხოურ პრესაში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

სიტყვაკაზმულობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„გალაქტიონის სახით ვიპოვე უმაღლესი რანგის პოეტი, რომელიც არის სულის ნამდვილი არისტოკრატი და სიტყვიერი სასწაულის შემქმნელი... მისი სახეები და მეტაფორები ამიერიდან მსოფლიო საკუთრება ხდება“.**

# გალაქტიონი — ახალი გალაქტიკა, რომელიც ინგლისელებმა აღმოაჩინეს



ინესა მერაბიშვილი

**დღევანდელი ჩვენი საზოგადოების ინტერესს, სამწუხაროდ, სამომხმარებლო იდეოლოგია განსაზღვრავს, მომხვეჭელობის პრინციპები. და — კრიმინალურ-სკანდალური ქრონიკა, რომლითაც დილა-საღამოს გვკვებავს ელექტრონული მედია. აქა-იქ დაბეჭდილი ქართული ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი მიძღვნილი სტატიები „ტუნდრაში აქლემების გოდებას“ ჰგავს. მასალა, რომელსაც დღეს გთავაზობთ, ამ მეჩხერიანობის ერთგვარად შევსებას ისახავს მიზნად.**

ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, ასოციაცია „კულტურათა დიალოგის“ პრეზიდენტმა **ვალერი ასათიანმა** „საქართველო და მსოფლიოს“ მიერ ჩამორთმეულ ინტერვიუში („საქართველო და მსოფლიო“ №25) ინესა მერაბიშვილის მიერ გალაქტიონის შედევრების ინგლისურად თარგმნა, რაც ლონდონელმა გრანდებმა ახალი გალაქტიკის აღმოჩენას შეადარეს, ქართული კულტურის მნიშვნელოვან მოვლენად შეაფასა.

ამ თემაზე გვექნება საუბარი ქალბატონ ინესასთან.

მანამდე კი — მოკლედ თავად ამ მეცნიერის, პოეტისა და ბრწყინვალე მთარგმნელის შესახებ. თუმცა მას და მის შემოქმედებას ისედაც შესანიშნავად იცნობს ჩვენი განსწავლული საზოგადოება და ფართო მკითხველი. ხელდამშვენებულ მოღვაწედ და საკუთარ სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებულ პიროვნებად მოიხსენიებს მას ლონდონში მოღვაწე ქართველი ჟურნალისტი გიორგი ლალიაშვილი „ლიტერატურულ საქართველოში“ წლეულს, 13 აპრილს გამოქვეყნებულ წერილში „ინესა მერაბიშვილი — ქართული კულტურის მსოფლიო ელჩი“.

ჯერ ამ ელჩობის შესახებ.

**სტივენ ნეში**, დიდი ბრიტანეთის პირველი ელჩი საქართველოში: „ინესა მერაბიშვილის, როგორც საქართველოს კულტურის ელჩის სამსახური ნამდვილი ლოცვა-კურთხევაა მსოფლიოს პოეზიის თაყვანისმცემლებისთვის.

ინესა მერაბიშვილი არის ბრიტანულ-ქართული ურთიერთობების დიდი მოამაგე, რომელიც მეგობრებსა და დამფასებლებს უმრავლებს საქართველოს. ამ მხრივ მის ღვაწლს მხოლოდ მარჯორი უორდროპის მიერ გაწეულ სამსახურს შევადარებდი“.

წლევანდელი რამდენიმე თვის განმავლობაში ლონდონსა და სტრასბურგში (ევროპის საბჭოს ერთ-ერთ სხდომათა დარბაზში) ინესა მერაბიშვილის ლექცია-საუბრებმა ბაირონსა და გალაქტიონზე ასობით ადამიანი, მათ შორის, სახელმწიფოთა ელჩები დაარწმუნა, „რატომ არის საქართველო ათ უძველეს მსოფლიო ცივილიზაციაში მესამე ადგილზე მყოფი ქვეყანა“, — ნათქვამია ერთ-ერთ პუბლიკაციაში. განხილვაში მონაწილე მაღალი რანგის დეპუტატთა შორის ზოგმა თქვა, რომ „გალაქტიონის სახით მონათესავე სულის პოეტი იპოვა“, სხვამ — „ჩვენ ერთდროულად ორი პოეტი ვიპოვეთ — გალაქტიონი და მთარგმნელი“. საერთო შეფასებით კი — „ლექციამ გალაქტიონი წარმოაჩინა მსოფლიოს უდიდეს პოეტად“.

პერსონიფიცირებული შთაბეჭდილებები ასეთია (მხოლოდ რამდენიმე მრავალთაგან):

**დომენიკ ბრაუნი,** ინგლისელი პოეტი: „თქვენთან შეხვედრამ და თქვენმა ლექციამ ჩვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს იყო უნიკალური გამოკვლევა და უაღრესად საინტერესო თემა“.

**ჯულია მარკუსი,** ამერიკელი მწერალი, პროფესორი: „ახლახან გადმომცეს თქვენი ახალი წიგნი გალაქტიონისა, ვრცელი და უაღრესად საინტერესო შესავლით, აღარაფერი რომ არ ვთქვა ამ სულისშემძვრელ თარგმანზე. ისიც ვიცი, რომ ლონდონში ამ წიგნის პრეზენტაციამ დიდი წარმატებით ჩაიარა. მიიღეთ ჩემი გულითადი მოლოცვა! გალაქტიონის ამ კრებულს თვალის ჩინივით გავუფრთხილდები“.

**ლორდ მერვუსი,** ინგლისელი დრამატურგი: „გალაქტიონის სახით ვიპოვე უმაღლესი რანგის პოეტი, რომელიც არის სულის ნამდვილი არისტოკრატი და სიტყვიერი სასწაულის შემქმნელი... მისი სახეები და მეტაფორები ამიერიდან მსოფლიო საკუთრება ხდება. დიდ მადლობას ვუხდი ინესა მერაბიშვილს ბრწყინვალე თარგმანისთვის, რომელიც გენიალურ ნაშრომად მიმაჩნია“.

**რობერტ ჯ. გიბსონი,** ამერიკელი იურისტი და დიპლომატი: „რომ არ მცოდნოდა, ჩემ წინაშე თარგმანია, ვიფიქრებდი, ინგლისურ ენაზე შექმნილი დედანია... ეს ხომ ძალზე იშვიათი მიღწევაა ნებისმიერ თარგმნილ ლიტერატურაში და, განსაკუთრებით, პოეზიაში. აშკარაა, რომ ინესა მერაბიშვილის მიერ ინგლისური ენის სიღრმისა და სინატიფის წვდომა აღემატება იმას, ამ ენაზე ბუნებრივად მოსაუბრე ყველაზე განათლებულ ადამიანს რომ ხელეწიფება“.



**«აშკარაა, რომ ინესა მერაბიშვილის მიერ ინგლისური ენის სიღრმისა და სინატიფის წვდომა აღემატება იმას, ამ ენაზე ბუნებრივად მოსაუბრე ყველაზე განათლებულ ადამიანს რომ ხელეწიფება»**

**და მივადექით თარგმანის ხელოვნებას.**

**— ქალბატონო ინესა, მიჩნეულია, რომ ერთი ენობრივი ჯგუფის ენიდან სხვა ენობრივი ჯგუფის ენაზე თარგმნა (მაგალითად, ქართულიდან ინგლისურად და პირიქით), განსაკუთრებით, მხატვრული ნაწარმოების, უზარმაზარი პრობლემაა, ხოლო გალაქტიონის ღვთიური პოეზიის ინგლისურად აჟღერება, ენის ცოდნის გარდა, მრავალმხრივ განათლებას, უნიკალურ პოეტურ ნიჭსა და გამბედაობას მოითხოვს.**

**ასეა?**

— ასეა, რასაკვირველია. რამ გადამაწყვეტინა, შევჭიდებოდი ამ სირთულეს და მეთარგმნა გალაქტიონი? უწინარესად, იმ სულიერმა შთაგონებამ, რომელიც ბავშვობიდან მომყვება, როგორც ლექსისადმი ტრფიალი. შემდეგ უკვე იყო ინგლისური ლექსის დაუფლება.

თუ შინაგანად არ ხარ პოეტი და ხელიც არ გაქვს ნაცადი იმ ენაზე, რომელზეც თარგმნი, ამ საქმესთან შეჭიდებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

თავად გალაქტიონისთვის რითმათა უნიკალობა ჩვეულებრივი სამუშაოა, ეს ის აგურებია, რომლებითაც მან შენობა უნდა ააგოს, უაღრესად ნატიფი და დახვეწილი. მათი განლაგება კი გალაქტიონთან ნოვატორულია.

უმნიშვნელოვანესი რამ, რაც მთარგმნელს დიდ და ძნელად გადასალახ სირთულედ წარმოუდგება, თავად პოეტის სწორად გაგების პრობლემაა.

თქვენს ყურადღებას მივაქცევ ორ მომენტს:

პირველი. როგორ განიცდიდა გალაქტიონი თანამედროვეთა საუბარს მისი ლექსის უთარგმნელობაზე: დააფრთხესო მთარგმნელები, არ ითარგმნებაო, და ითხოვს, რომ თარგმნონ მისი პოეტური ქმნილებები.

უთარგმნელობის ეს „პრობლემა“ დღემდე მოგვყვება და ამას მე ვუკავშირებ ერთ უმთავრეს მომენტს: მისი ლექსი სწორად არ არის გაგებული, რის გამოც ძალიან ბევრი რამ მის პოეზიაში ამოუცნობი რჩება.

ჩემს სტატიებსა და ორ სქელტანიან მონოგრაფიაში განვიხილე ეს საკითხები, მათ შორის, ნაშრომში სახელდებით „გალაქტიონის ენიგმები“ *(ენიგმა — გამოცანა, ქარაგმა).*

შესანიშნავი მეცნიერი და ლიტერატორი **მიხეილ კვესელავა** თავის 600-გვერდიან, დიდებულ მონოგრაფიაში „პოეტური ინტეგრალები“ (გამოიცა 1977 წელს) გალაქტიონის პოეზიის თავისებურებებსა და სირთულეებზე გვესაუბრება. მიიჩნევს, რომ ის, რაც გალაქტიონთან გამოცანად, გაუგებრად ჟღერს, მაგალითად, „სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს, ოცნება ნახაზი საგანთა უარით“, „გადაუგდო ნიავს ყელი“ და სხვა, ამის ახსნა შეუძლებელია. ოიდიპოსიც რომ იყოო, ამ პოეტური სფინქსის საიდუმლოს ვერ ჩასწვდებიო.

შემდეგ მთარგმნელებსაც შეეხება და იტყვის: მთელი მსოფლიოს მთარგმნელები რომ მიესიონ ამ ორადორ სტრიქონს „სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს“, „ოცნება ნახაზი საგანთა უარით“, თარგმანს კი არა, პწკარედსაც ვერ გააკეთებენო.

**— ე.ი. გადაწყვიტა, რომ არ ითარგმნება?**

— სწორედ ასეა — არ ითარგმნებაო, რჩება გაუგებარი. მაგრამ, მოგეხსენებათ, არც ერთ პოეტს არ სურს დარჩეს გაუგებარი. ნიკიტა მიხალკოვმა, ცნობილმა რუსმა რეჟისორმა, ძალიან კარგად თქვა: „Я не хочу быть понятным, хочу быть понятым“ („არ მსურს ვიყო გასაგები, მინდა გაგებული ვიყო“).

ამასთან დაკავშირებით, ბატონ მიშას დასკვნის მიუხედავად („ახსნა შეუძლებელია“), მე ჯერ ამოვხსენი, გავაანალიზე ეს ენიგმები და შემდეგ ვთარგმნე. ამასთანავე, პასუხი გავეცი კიდევ ერთ დიდ ენიგმას — ვინ იყო გალაქტიონის მერი. ამ საკითხს ცალკე მონოგრაფია მივუძღვენი.

ზემოთ თქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ თაგმანის **პირველი პირობა არის ლექსის სწორი ინტერპრეტაცია.**

თარგმანებს დედნებს რომ ვადარებ, ხშირად ვხედავ, რომ ნათარგმნი შეიძლება პოეტურად კარგად ჟღერდეს, მაგრამ სწორ თარგმანზე ლაპარაკიც ზედმეტია. ამის ნათელი მაგალითია უნიჭიერესი კაცის, ბრწყინვალე მორუსულე **ივანე ქვაჩახიას** მიერ ოთხმოციან წლებში რუსულად თარგმნილი გალაქტიონის პოეტური ნიმუშები. პოეტურად ეს ტექსტი ისეთ სიმაღლეზეა, რუსმა მთარგმნელებმაც რომ ვერ აწიეს, მაგრამ გაგებაზე რა გითხრათ: ეს უფრო ქვაჩახიაა და არა გალაქტიონი.

გალაქტიონის ენიგმები დიდი და მძლავრი ხატებით არის მოწოდებული და მეც ეს ხატები „სტიროდა სული ▶

# „სიტყვის მნიშვნელობა არ შეიძლება განიხილო იმ ხატის გარეშე, რომელიც მასშია ჩაკირული. სწორედ ამ ხატის პარალელურად სიტყვაში თანაარსებობენ სემები, რომლებიც მოძრაობენ, იცვლიან ხვედრით წონას. ხატი კი არ მოძრაობს, უცვლელია და მას პოეტი, როგორც ჯინს, ამოუშვებს ხოლმე და ამოსწევს ზემოთ. სწორედ ეს ხატი ქმნის სიტყვის ხატოვანებას“.

სიტყვაკაზმულობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ცისფერ ღვინოებს“ და „ოცნება ნახაზი საგანთა უარით“ პირდაპირ გადმომაქვს, ცინცხალი შთაბეჭდილება და გალაკტიონის ხელწერა რომ შევინარჩუნო. ამას ძალიან კარგად იგებს ინგლისელი მკითხველი, ისეთსავე ინტელექტუალურ მუშაობას მოითხოვს, როგორიც ქართველ მკითხველს სჭირდება.

ჩემი ჯერ კიდევ საკანდიდატო დისერტაცია მიეძღვნა ამ ენიგმების გახსნას ლინგვისტურად, სტილისტურად, მაგრამ არა ქართული პოეზიის მაგალითებზე, არამედ XX საუკუნის ინგლისური და ამერიკული ლექსის საფუძველზე. მოგვიანებით ეს გამოცდილება გალაკტიონის მიმართ გამოვიყენე.

რა ხდება ამ ანალიზის დროს, შევეცდები მკითხველისთვის გასაგებად ეთქვა.

XIX საუკუნის ბოლოს ფრანგმა მეცნიერმა **მიშელ ბრეალმა** გამოსცა წიგნი „სემანტიკური ესეები“ და თქვა, რომ სიტყვა სულაც არ არის ერთი მნიშვნელობის, იგი შედგება პატარ-პატარა ნაწილაკებისგანო, და მათ უწოდა **სემები** — მნიშვნელობის ნაწილაკები. როცა სიტყვა ტექსტში მუშაობს, ეს ნაწილაკები გადაადგილდებიან და ხვედრით წონას იცვლიანო.

ახლა დავუბრუნდეთ გალაკტიონისეულ სტრიქონებს.

„ცისფერი ღვინოები“. ღვინო არის ყურძნის ნაჟური. რა ფერის? ან შავი ყურძნის შავი (წითელი) ღვინო, ან ყურძნის ფერი — მომწვანო-მოოქროსფერო. გალაკტიონი კი გვეუბნება „ცისფერ ღვინოებსო“. რატომ? უპირველესად, ვუპასუხოთ კითხვას: რა არის ღვინო? იგი ისეთი სუბსტანციაა, რომელიც იწვევს ამაღლებულ, გულწრფელ, არამიწიერ განწყობას. ბლოკი ამბობდა „Истина в вине“. მაშინ ხარ გულწრფელი, მაშინ ჩნდება გზნება და სურვილი, რომ მოწყდე მიწიერს და ამაღლდე ზეცისკენ — პოეტურად ხომ ასე უნდა გავიგოთ. ე.ი. როცა ღვინოზეა ლაპარაკი, მაშინ „ღვინოში“ წინ წამოიწევს სემა ზეაწეულობის, არამიწიერების, გულწრფელობის, ამაღლების, და განა ეს სემები სიტყვა „ცისფერში“ არ მოგვეპოვება?!

**— არის, რა თქმა უნდა.**

— ცისფერი ხომ ცისაა, არამიწიერია, ზეადამიანურია. ამიტომ ამ ორი სიტყვის („ცისფერ ღვინოებს“) უეცარი დაკავშირებით, ცისფერმა ხაზი გაუსვა „ღვინოში“ მაინცდამაინც ამ შინაარსს. ამას ემატება „**ს**“ ბგერის ალიტერაცია: „**სტიროდა სული** ცისფერ ღვინოებს“, რომელიც ოთხ პწკარში ოთხჯერ მეორდება. სული, ცისიერება და სულიერება. ჩემი სული სტირისო ამაღლებული ცრემლებით, — ამბობს გალაკტიონი.

ჰოდა, გახსნილია ენიგმა. ხომ მართალია?

**— მართალია.**

— ეს ინგლისურად როგორ უნდა ვთარგმნო? უნდა ვთარგმნო ზუსტად ისე, როგორც თქვა გალაკტიონმა. რა მიშლის ხელს? სიტყვა არ მომყვება, თუ ინგლისურ ენას არ აქვს „ღვინო“ თუ „ცისფერი“?! რითმაში მოქცევა კი, ალბათ, ჩვეულებრივი საქმეა.

**— „ოცნება, ნახაზი საგანთა უარით“, — ახლა ესეც აგვიხსენით, ქალბატონო ინესა.**

— ოცნება არის რაღაც დიდი, გლობალური, შორეული, ამაღლებული. საგანი რა არის? საგანი ყოფაა, ყოფითი რამე. ყოფა უარს გეუბნება საგნებზე — გალაკტიონს არ აქვს პალტო, ფეხსაცმელი, არ აქვს ნორმალური სადგომი. გალაკტიონს ვამბობ, თორემ ცხოვრებაში რამდენი რამ არ გაგვაჩნია, და ამ დროს ოცნება მიგვაქანებს, ის დიდია, უმეტესია. საგანთა არქონა კი ოცნებას გადახაზავს, კვალს ამჩნევს, ხაზავს, კაწრავს. აი, როგორც გურამ თიკანაძის გარდაცვალებაზე, გახსოვთ, მურმან ლებანიძემ რომ დაწერა: „მან გახაზა საქართველოს ღამე“ — კვალი დაამჩნია. ეგ არის. ინგლისურ პოეზიაშიც არის მაგალითები: მომღერალი დადის ღამე და ღამეს ხაზავს თავისი სიმღერით, კვალს ამჩნევს. ეს არის „ოცნება ნახაზი საგანთა უარით“. არ მეთანხმებით, რომ ასეა?

**— გეთანხმებით სავსებით.**

— მაშინ იმაზეც დამეთანხმებით, რომ ეს პოეტური სტრიქონი ქართულიდან ინგლისურად უნდა ითარგმნოს იმავე ხატების შენარჩუნებით.

მე დამუშავებული მაქვს ლინგვისტური თეორია, რომელიც აღიარებულია დასავლეთში და რომლის მიხედვით, სიტყვის მნიშვნელობა არ შეიძლება განიხილო იმ ხატის გარეშე, რომელიც მასშია ჩაკირული. სწორედ ამ ხატის პარალელურად სიტყვაში თანაარსებობენ სემები, რომლებიც მოძრაობენ, იცვლიან ხვედრით წონას. ხატი კი არ მოძრაობს, უცვლელია და მას პოეტი, როგორც ჯინს, ამოუშვებს ხოლმე და ამოსწევს ზემოთ. სწორედ ეს **ხატი ქმნის სიტყვის ხატოვანებას.**

ამით და ამიტომაა გალაკტიონი ძალიან დიდი. გალაკტიონამდე ასეთი ენიგმები ქართულ პოეზიაში ისეთი ხშირი არ იყო. ეს სტილი განსაკუთრებით დამახასიათებელი აღმოჩნდა XX საუკუნის პოეზიისთვის. მიუხედავად იმისა, რომ მის ენიგმებს თანამედროვენი ვერ ხსნიდნენ, გალაკტიონი პოეტების მეფედ იყო აღიარებული.

ქართველი მკითხველი გაუცნობიერებლად გრძნობდა გალაკტიონის სიდიადეს.

იყვნენ ერთეულები და დღესაც გვხვდებიან, რომლებიც თვითნებურად ცვლიან გალაკტიონის ტექსტს, როცა ვერ ხვდებიან მის სიღრმეს.

უნივერსიტეტის შრომებში ამასწინათ გამოვაქვეყნე სტატია „ავტოგრაფიდან პუბლიკაციამდე“, რომელიც გალაკტიონის ცალკეული სიტყვების დამახინჯების საკითხს მიეძღვნა, საკუთრივ იმას, როცა ავტოგრაფში ერთი წერია, ხოლო გამოქვეყნებულ ლექსში სხვა სიტყვას ვაწყდებით. ასეთი დამახინჯებები ძირითადად გალაკტიონის გარდაცვალების შემდეგ გვხვდება.

ერთ მაგალითს დაგისახელებთ გალაკტიონის უსათაურო ლექსიდან, რომელიც ასე იწყება:

**ქარი დასცხრა**
**სიბობოქრის,**
**შორი ზღვიდან**
**სიო მოჰქრის,**
**მე გიცქერი როგორც**
**ქარვას**
**ჩამავალ მზეს, ჩამავალს.**

შემდეგ იტყვის:

**ო, ფიქრებო,**
**მსვენო ტაძრად,**
**ო, ქცეულნო მტვრად**
**და ნაცრად.**

აქ სიტყვა „მსვენო“ ნიშნავს — დასვენებულნო, დავანებულნო ტაძრად: დაასვენებ ფიქრს, ტაძრად რომ დადგამ. არსუკიძის ფიქრი დავანდა სვეტიცხოვლის ტაძარში, გაცხადდა. ასე შეიძლება ითქვას ტაოკლარჯეთის ტაძრებზეც — დავანებული, დასვენებული ფიქრია.

**— მატერიად რეალიზებული.**

— დიახ. მაგრამ ადგნენ და შეუცვალეს გალაკტიონს ასე: **ო, ფიქრებო, მსვლელნო ტაძრად.**

მოსიარულენოო. ეს შეცდომაა და ძალიან უხეშიც. ეს შეცდომა 25 ტომეული რომ გამოსცეს, იქ ჩემი დაჟინებული თხოვნით გაასწორეს, მაგრამ ამავე ლექსში სხვა სიტყვა შეუცვალეს. გალაკტიონი წერს: **„მე გიცქერი, როგორც ნარვალს“.** ვერ გაიგეს სიტყვა **ნარვალის** მნიშვნელობა. შეცვალეს **წარვალით.** მაგრამ წარვალი არ ნიშნავს **წარმავალს.** ასეთ ნეოლოგიზმებს არ ქმნის განათლებული გალაკტიონი, ენას ასე არ ამახინჯებს. სიტყვა **„ნარვალი“** შეტანილი არ არის ქართულ ლექსიკონში, არც ჩიქობავასთან არის შეტანილი. საბედნიეროდ, ვიპოვე **დონალდ რეიფილდის** რედაქციით გამოცემულ ქართულ-ინგლისურ ლექსიკონში. აღმოჩნდა, რომ ნიშნავს იმას, რასაც თავად სიტყვა გვეუბნება — ნავალ, გაკვალულ გზას, ბილიკს. ჩუმათელეთთან ყოფილა პატარა სოფელი, რომელსაც ერთადერთი ბილიკით მიუდგები და სოფელს ჰქვია ნარვალი.

ამას გარდა, **„წ“** რომ ჩაუწერეს გალაკტიონს — **წარვალად** რომ შეუცვალეს **ნარვალი** — „წ“, რომელიც წივის, გალაკტიონის დიდ ჰარმონიაში არ ჯდება, მის სტრიქონებში არსად არ შემოიჭრება. და თუ ერთ ან ორგან მაინც გვხვდება, ავტორს ზარი სჭირდება და იმიტომ.

**— მაშ, როგორ უნდა გავიგოთ გალაკტიონის სტრიქონი „მე გიცქერი, როგორც ნარვალს“?**

— ჩამავალ მზეს ეუბნება, რომელიც თავის კვალს ტოვებს ცაზე.

ლექსში ყველაფერი ნაკვლევი თუ არ მაქვს, იმ ლექსს ხელს არ ვახლებ, მოკვლევას კი აუცილებლად ავტოგრაფის შესწავლით ვიწყებ. თარგმანის პოეტური ხორცშესხმა შემდეგ ხდება.

(აქ ქალბატონი ინესა დაწვრილებით და სიღრმისეული ანალიზით მიყვება იმ ნიუანსურ პრობლემებზე, რომლებიც ამ ხასიათის შემოქმედებით მუშაობას თან ახლავს. კერძოდ, უპირველესად, ეძებს მელოდიას, მაგალითად, ისეთ ინგლისურ მელოდიას, რომელიც გალაკტიონის ემოციას, მის ინტონაციას მოუხდება, მის დრამატიზმს გადმოსცემს და, წარმატების შემთხვევაში, ქართულიდან ისე გადადის ინგლისურ თარგმანში, რომ ერთ ენად იქცევა და ა.შ. და ა.შ.

ფრიად სასიხარულოა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ინესა მერაბიშვილი საკუთარ გამოცდილებას უზიარებს სტუდენტს სწავლების სამივე საფეხურზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა).

შარშან, ნოემბერში, გალაკტიონს უკვე მეორე იუბილე რომ გადაუხადეს ინგლისში, ინესა მერაბიშვილმა ბაირონის შთამომავლები მიიწვია იმ საღამოზე. ყველა შეძრა ეკრანზე ჭყვიშის იმ პატარა ქოხის ხილვამ, რომელშიც გალაკტიონი დაიბადა. ერთ-ერთმა ლორდმა, საოცრად აღფრთოვანებულმა, თქვა: ეს დიდი პოეტი საქართველოს ერთი პატარა სოფლის პატარა ქოხში დაიბადა, მაგრამ მის იუბილეს ლონდონის დიდებულ სასახლეში ვზეიმობთო).

**— გალაკტიონი და ბაირონი, ეს ორი მონათესავე სული ერთნაირი სრულყოფით აისახა თქვენს შემოქმედებაში.**

— გალაკტიონმა ბაირონი და ევროპა, მთელი მსოფლიო ლიტერატურა რევოლუციამდელი რუსული გამოცემებით წაიკითხა. ბროკჰაუზი მას სოფელში ერთმა სამხედრომ აჩუქა. რუსული ენა იყო ის დიდი შუამავალი, რომელმაც თავის დროზე დიდი კულტურა შემოიტანა საქართველოში. ბრმა და ყრუ უნდა იყო, ეს რომ არ დაინახო ან ვერ გაიგო.

თავი დავანებოთ ამჟამად აკვიატებულ მოსაზრებას — რუსული მტრის ენააო. დიდი ომის დროს, მის შემდეგაც სკოლებში ისწავლებოდა გერმანული. ხომ მტრის ენა იყო, მაგრამ არავის აზრად არ მოსვლია მისი აკრძალვა.

აქვე ვიტყვი: გალაკტიონის მერი ბაირონის მერით არის შთაგონებული. სიყვარულის ამ სიმბოლომ ჯერ მთელი ევროპა მოიარა, შემდეგ რუსეთში **პუშკინმა, ლერმონტოვმა, ბლოკმა** ქედი მოუხარეს ამ ლიტერატურულ სახეს. გალაკტიონი ლექსებს მერიზე რომ ქმნის, თარიღები, გვერდები ემთხვევა, რომელი და როდის აქვს წაკითხული ბროკჰაუზით. დამიჯერებთ?

**— უფლება არ მაქვს, არ დაგიჯეროთ... საიდან მოდის, ქალბატონო ინესა, თარგმნის მუზა?**

— უპირველესად, თავად გალაკტიონიდან მოდის. მოდის ქართული კულტურიდან — ქართული ჰანგიდან, პოლიფონიიდან, როკვიდან, ყველაფრიდან, რაც, საუკუნეებია, შესისხლხორცებული გვაქვს. მოდის იმ შთაბეჭდილებიდან, რომელიც ბავშვობიდან მოგვყვება... ამიტომაც ვთქვი ერთხელ ასე ლექსად:

**იყო მტკვარი და**
**კავკასიონი,**
**გორიჯვრის მთიდან**
**მომწვდნენ სიონი,**
**ციდან მობრძანდა**
**ლორდ ბაირონი**
**და მათარგმნინა**
**გალაკტიონი.**

* * *

**თითქოს საიდან სადაო, მაგრამ ინგლისში გამოცემული თავისი წიგნის შესავალში ინესა მერაბიშვილმა ჩაწერა, რომ ეს უდიდესი პოეტი — გალაკტიონი სტალინმა ფარული ხელით გადაარჩინა 1937 წელს. ეს ითქვა საქართველოში და არცთუ უსაფუძვლოდ.**

**ითქვა ისიც, რომ მოსკოვში ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაში გასამგზავრებელი დელეგაციის შემადგენლობაში გალაკტიონი არ შეიყვანეს. სტალინს სია რომ აჩვენეს, გადაუხედავს ამ სიისთვის ბელადს და უკითხავს: А где король поэтов? გამოაძახებინა და ჩაიყვანაო.**

**ასეთი მოულოდნელი ენიგმებითაც მდიდარია ჩვენი ისტორია.**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**




**ლონდონში გამოცემული ინგლისურად თარგმნილი გალაკტიონის ლექსთა კრებული**

**P.S. ეს ინტერვიუ გაზეთის გვერდად იყო უკვე დაკაბადონებული, როცა განგების ნებით (რომელსაც შემთხვევითობას მივაწერთ ხოლმე), გალაკტიონთან დაკავშირებულ ერთ საკრალურ სტრიქონს წავაწყდი. „И Бог ночует между строк“ („და ღმერთი ღამეს სტრიქონებს შორის ათევს“).**

**აღმოჩნდა, რომ ეს არის ერთი ბწკარი ცნობილი რუსი მეცნიერის — ლინგვისტის, ფილოსოფოსისა და მთარგმნელის, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსისა და პოეტის — ვიაჩესლავ ივანოვის წიგნიდან „Стихи разных лет“ — ხელოვნებათმცოდნისა და ფილოსოფოსის — ოლეგ არონსონის მიერ თავის სტატიაში („პოლიტიკური კრიპტოგრაფია“) მოხმობილი ლექსის.**

**სტრიქონიც და სრულად ლექსიც კრიპტოგრამაა, რომელშიც, ოლეგ არონსონის აზრით, დაშიფრულია გენიოსი ქართველი პოეტის — გალაკტიონის უმაღლესი ზნეობრივი პოზიცია, ღირსებისა და სამართლიანობის უწმინდესი გრძნობა, რომელთა ხელყოფის მცდელობას (ოფიციოზის მხრიდან) მან თავი თვითმკვლელობით აარიდა, როცა მასთან „პასტერნაკის წინააღმდეგ შედგენილ ქაღალდზე *(მწერალთა „კოლექტიურ მოთხოვნაზე“)* ხელის მოსაწერად მივიდნენ. შეიძლება ეს აპოკრიფია *(დამახინჯებული სინამდვილე),* მაგრამ ასეც რომ იყოს, საყურადღებოა ფრიად“, — შენიშნავს ავტორი და განაგრძობს: „ეს ის ენტროპიაა *(ყველა სახეობის ენერგიის ერთ ენერგიად გარდაქმნა),* აზრისა და გონიერების ის შენადნობია, რომელიც აქ უფრო მეტად ვლინდება, ვიდრე ყოველდღიურობის აბსურდულობაში“.**

**ლექსი 1980 წელს არის დაწერილი:**

**Галактион Табидзе мог**
**Решиться стать самоубийцей,**
**Но то Галактион Табидзе,**
**И Бог ночует между строк.**
**Галактион Табидзе знал,**
**Что надо вечным сном забыться.**
**Но то Галактион Табидзе,**
**и Бог ночует между скал.**
**И Бог ночует между гор**
**И видит городов пробелы,**
**Где Грузия окаменела**
**И башен слышен разговор.**
**Где жизнь идет едва-едва**
**Нездешним отсветом согрета**
**И только мертвого поэта**
**Нам изредка слышны слова.**

**ხოლო იქ, მთათა მწვერვალებსა და კლდეთა შორის, სადაც არამქვეყნიური ანარეკლით ნათდება სამყარო და გაქვავებული საქართველოს სიმბოლო — კოშკები გალაკტიონის სტრიქონებით საუბრობენ, გაშლილია ის საკრალური სივრცე — გალაქტიკა, სადაც ღმერთი მშვიდად ათევს ღამეს.**

**გალაკტიონის პოეზია — ღმერთის სავანე.**

**ესეც კიდევ ერთი, გალაკტიონთან დაკავშირებული ენიგმა უნდა იყოს, მგონი.**

**ა.ს.**

თეთრი სიკვდილი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პატივცემულმა წევრებმა რატომღაც წაუყრუეს ერთმნიშვნელოვან ნეგატიურ მოვლენას, რომელზეც „საქართველო და მსოფლიო“ არაერთხელ ხაზგასმით მიუთითებდა. ლაპარაკია ნარკომაფიის სისხლხორცეულ დაინტერესებაზე, რომ საქართველო ჩამოყალიბდეს, როგორც უსაფრთხო ნარკოტრანზიტის ქვეყანა, კანონმდებლობის ნებისმიერი შერბილება კი ამ ტოტალური ნეგატივიზმის წისქვილზე დაასხამდა მღვრიე წყალს.**

# ნარკომაფია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მადლობელი უნდა იყოს ეფექტიანი თანამშრომლობისთვის

**„სინათლეს ვხედავ! ავშენდით! ღმერთო, დიდება შენ!“ — აღფრთოვანებით შესძახებს ერთაოზ ბერგვაძე „სუხარებით გამოტენილი ნასტუდენტარი ფიზიკოსის“, თანამესაკნის — ქრისტეფორე მგალობლიშვილის მიერ კოვზით გათხრილი ხვრელით ქალაქის საპყრობილიდან გაქცევის მცდელობისას, „ტურფა იმერეთის“ სანახების ნაცვლად იმავე საკანში დაბრუნებული რომ აღმოჩნდება.**

ფიასკო!

მირაჟის ეფექტი ან ნაოაზისარის ამომშრალი ჭიდან უდაბნოს შურისძიების ამოხარხარება.

მაგრამ **რეზო გაბრიაძის** „შერეკილების“ გმირებს გაუმართლებს:

„ვაიმე, ჩემო მარგალიტა! — აღმოხდა ერთაოზს და ზევით აწეული მუშტები ჭურის კედლებს დაარტყა. გაისმა გრუხუნი. კედელი გაინგრა და მთები გამოჩნდა...

გზა სატრფოსკენ თავისუფალი იყო!“

არ გაუმართლა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, რომლის მიერ კანაბისის (მარიხუანის) დეკრიმინალიზაციის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებით საზოგადოებისგან გაუცხოების კედელი გაცილებით მტკიცე აღმოჩნდა, ვიდრე მეცხრამეტე საუკუნეში საპყრობილედ გადაკეთებული ძველი დილეგებისა და ჭურების კედლები. თუმცა არც ცდა დაუკლიათ, არც საზოგადოებისთვის მუშტის მოღერება ამასწინათ გამოქვეყნებული განცხადების სახით, ჩვენს დასაშინებლად და „უვიცთა“ გასანათლებლად.

**„2018 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება,** — გვმოძღვრავენ სამართალწარმოების უმაღლესი ინსტანციიდან, — **წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ბოლო წლებში ნარკოტიკული საშულება მარიხუანის საკითხზე მიღებულ გადაწყვეტილებებში მოცემული არგუმენტაციის ლოგიკურ გაგრძელებას და გაუგებარია, თუ რატომ გახდა იგი საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართ დაუსაბუთებელი კრიტიკის მიზეზი“.**

დასასრულ — დასკვნა:

**„საკონსტიტუციო სასამართლო კვლავ გააგრძელებს საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებას და ადამიანის კონსტიტუციური უფლებების განუხრელ დაცვას“.**

თურმე ადამიანის ჯანმრთელობის დასაცავად საზოგადოებრივი აზრის ამხედრება, კერძოდ, კანაბისის (მარიხუანის) მოხმარების წინააღმდეგ გალაშქრება ადამიანის ფუნდამეტური უფლების — სიცოცხლის უფლების დაცვა კი არ არის, არამედ კონსტიტუციური უფლებების შელახვა, რომლის დაცვასაც კვლავ გააგრძელებს საკონსტიტუციო სასამართლო.

აბსურდის ზეიმი ამას ჰქვია.

ასეთი სამართლის მიხედვით გვიმტკიცებენ, ადამიანის ფუნდამეტური უფლების – სიცოცხლის უფლების დაცვა ადამიანის კონსტიტუციური უფლებების ხელყოფად უნდა მივიჩნიოთო.

ჰუმანური ყოფილა ეს გადაწყვეტილება და გიხაროდენ!

მაგრამ, წიწილებთან ერთად, შედეგების დათვლას შემოდგომაზე იწყებენ.

**დადგა შემოდგომაც და პირველი შედეგებიც აშკარაა: სამწუხარო და სავალალო. ტრაგიკულიც!**

**ორიოდე დღის წინათ, ასე, საღამოს 9 საათზე, თბილისში, მეტროპოლიტენის სადგურ „პოლიტექნიკური უნივერსიტეტის“ ჩასასვლელთან ორი ახალგაზრდა იდგა — ლამაზი გოგო უმოკლესი შორტებით და კიკინებიანი ბიჭი. იდგნენ და ქანაობდნენ, „ვითარცა ლერწამი ქართაგან ძლიერთა“, გონებადაბინდულები ნარკოტიკული თრობით. ორი დაბნეული პოლიციელი თავს ევლებოდა, რაღაცას ეკითხებოდნენ და პასუხი ვერ მიეღოთ: ბიჭს თვალები ცისკენ აღეპყრო, გოგოს სახეზე მწვანე ფერი ედო და მუხლები ეკეცებოდა.**

სასწრაფოს გამოუძახეს, ბოლოს და ბოლოს.

მსგავს შემთხვევებს შეესწრო **ლალი მოროშკინა,** ცნობილი პიარტექნოლოგი და აქტიური საზოგადო მოღვაწე, ორიოდ კვირის წინათ ბათუმში:

— საშინელი ამბავი იყო — ახალგაზრდა გოგონებს გული ერეოდათ, ცუდად გახდნენ. აშკარად ჩანდა, რომ ამ მდგომარეობაში მარიხუანის მოწევის გამო ჩავარდნენ. ასეთი შედეგი მოჰყვა მარიხუანის მოხმარების დეკრიმინალიზაციას. ილუპებიან ახალგაზრდები, საუკეთესონი, რომლებიც სინჯავენ ამ რეკლამირებულ საწამლავს და ვერ აცნობიერებენ, რასაც სჩადიან, თორემ ნარკომანისთვის მარიხუანის მოწევა არაფერს ნიშნავს.

იმასაც გეტყვით, რომ ისეთი საწყალი და დაბნეული პოლიციელები, რომლებიც იმ დროს იქ იყვნენ, ჩემს ცხოვრებაში არ მინახავს.

ცალკეული მაგალითებია? გამონაკლისი შემთხვევები? სამწუხაროდ, არც ერთადერთია, არც — გამონაკლისი.

ნარკოლოგებისა და სამართალდამცავთა დაკვირვებით, **იმ ავადსახსენებელი გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ საქართველოს ნარკოეპიდემია მოედო, რომე-**



**ორიოდე დღის წინათ, ასე, საღამოს 9 საათზე, თბილისში, მეტროპოლიტენის სადგურ «პოლიტექნიკური უნივერსიტეტის» ჩასასვლელთან ორი ახალგაზრდა იდგა – ლამაზი გოგო უმოკლესი შორტებით და კიკინებიანი ბიჭი. იდგნენ და ქანაობდნენ, «ვითარცა ლერწამი ქართაგან ძლიერთა», გონებადაბინდულები ნარკოტიკული თრობით. ორი დაბნეული პოლიციელი თავს ევლებოდა, რაღაცას ეკითხებოდნენ და პასუხი ვერ მიეღოთ: ბიჭს თვალები ცისკენ აღეპყრო, გოგოს სახეზე მწვანე ფერი ედო და მუხლები ეკეცებოდა**

**ლიც ხშირად დემონსტრაციულ ხასიათს ატარებს,** ეწევიან ნიშნის მოგებით მაიცდამაინც ყველას დასანახად – ქუჩაში, პარკებში, კონცერტებზე. ანაკლიის მუსიკალური ფესტივალი ამის თვალსაჩინო დასტურია, ხოლო სტატისტიკა, რომელიც ამ დღეებში გასაჯაროვდა (სამედიცინო პუნქტსა თუ ზუგდიდის რეფერალურ საავადმყოფოში ამ ღონისძიებიდან მიყვანილი პაციენტების შესახებ), თავზარდამცემი!

ეს — ოფიციალურად. ხოლო, რაც რეგიონებში შეიმჩნევა და ჯერჯერობით არ აღნუსხულა, ამაზე გაცილებით უარესია. ნარკოლოგები დაბეჯითებით გვიმტკიცებენ, რომ ის, რაც ამ ბოლო დღეებში გამოჩნდა, მხოლოდ მწვერვალია აისბერგის. უფრო გასაგები რომ იყოს, შეგვახსენებენ: საქართველოში ოფიციალურად 50 ათასი ნარკომანია აღრიცხული, ფაქტობრივად, 200 ათასზე მეტი.

აი, ასეთი სხვაობაა.

აქამდე ასეთ ეპიდემიაზე წარმოდგენაც არ გვქონდა, მაგრამ, როგორც სპეციალისტები ამბობენ, მსოფლიო პრაქტიკაში ცნობილი მოვლენაა: დიდ ბრიტანეთში კოკაინის ეპიდემიაა, აშშ-ში — ოპიუმის ზედოზირებით გამოწვეული შემთხვევები და ა.შ.

მიზეზი — ახალი ტიპის, შედარებით იაფი ნარკოტიკის გამოჩენა შავ ბაზარზე, ნარკოტიკების მოხმარებაზე პასუხისმგებლობის შერბილება, დეკრიმინალიზაცია-ლეგალიზაცია, ანუ ყალბი ლიბერალური რეფორმების საზოგადოებისთვის თავს მოხვევა ან თუნდაც ნარკომანიის, როგორც ინტელექტუალური საქმიანობის ხელშემწყობი იდეალური საშუალების პროპაგანდა მასმედიაში...

ამგვარი ეპიდემიების გამავრცელებელი ბაცილების როლს, როგორც წესი, ქრონიკული ნარკომანები ასრულებენ. დადგენილია, რომ **თითოეული მათგანი „სამოღვაწეო“ პერიოდის განმავლობაში ნარკომანიის ჭაობში 10-12 ახალგაზრდას ითრევს.**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პატივცემულმა წევრებმა რატომღაც წაუყრუეს ერთმნიშვნელოვან ნეგატიურ მოვლენას, რომელზეც „საქართველო და მსოფლიო“ არაერთხელ ხაზგასმით მიუთითებდა. ლაპარაკია ნარკომაფიის სისხლხორცეულ დაინტერესებაზე, რომ საქართველო ჩამოყალიბდეს, როგორც უსაფრთხო ნარკოტრანზიტის ქვეყანა, კანონმდებლობის ნებისმიერი შერბილება კი ამ ტოტალური ნეგატივიზმის წისქვილზე დაასხამდა მღვრიე წყალს. კანაბისის (მარიხუანის) დეკრიმინალიზაცია ნაბიჯ-ნაბიჯ, თანდათანობით განხორციელება ჯერ „მცირე“ რაოდენობის მოხმარებისთვის, შემდეგ — საერთოდ მოხმარებისთვის. ეს ის გზაა, რომელსაც ქვეყანა კატასტროფისკენ მიჰყავს.

ესენი კი გვიმტკიცებენ, რომ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება ადამიანის უფლების დაცვას ემსახურება.

დემოკრატიის ახალი ეტაპია!

**ჩვენ (და არა მხოლოდ ჩვენ) ვწერდით და ხაზგასმით მივუთითებდით, რომ ნარკომანიის ლეგალიზების მოძრაობის გასააქტიურებლად მსოფლიოში და, ცხადია, საქართველოშიც დიდძალი ფული იხარჯება, რომ ე.წ. თეთრი ხმაურის (სახელწოდება „თეთრი სიკვდილის“ ანალოგიაა) და მსგავსი მოძრაობების მოწყობილი აქციები დაფინანსებული იყო ჩვენი ქვეყნის გარეთ მოქმედი ძალების მიერ.** ამ თემაში უკეთ გასარკვევად კარგი იქნება, თუ მკითხველი გადახედავს (გაიხსენებს) „საქართველო და მსოფლიოში“ გამოქვეყნებულ სტატიას (იხ. 2018 წლის №27) „ოპიუმის ომები: მიზეზები და შედეგები“, რომელშიც ლაპარაკია მსოფლიო ჰეგემონობის პრეტენზიის მქონე სახელმწიფოთა ძალისხმევაზე.

აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ნარკოტრანზიტის მარშრუტით მონიშნულ ქვეყნებში წამალდამოკიდებულთა გაზრდით სისხლხორცეულად არის დაინტერესებული ნარკომაფია, ხოლო ნარკოტრაფიკი ავღანეთიდან ევროპაში მაინცდამაინც საქართველოზე გადის.

**კანაბისის (მარიხუანის) დეკრიმინალიზაცია საშიშია იმიტომაც, რომ, როგორც მსოფლიოში წამყვან ნარკოლოგებს არაერთხელ აქვთ განცხადებული, „მსუბუქი“ ნარკოტიკების მომხმარებელთა 70 პროცენტი, როგორც წესი, „მძიმე“ ნარკოტიკებზე გადადის. ასეთი პერსპექტივა უზრუნველყოფილი გვაქვს.**

ამაზე დიდ საქმეს ნარკომაფიას ვერავინ გაუკეთებს.

მადლობა მათ, ვინც ჩვენი ახალგაზრდების მიმართ მამობრივ მზრუნველობას ამგვარად იჩენს! შავი იუმორია, რომელიც „ფერადი რევოლუციების“ თანმდევ ფანტომად ჩამოყალიბდა.

დეკორატიული ყვავილების — ვარდის, ტიტების და ა.შ. სახელებით ცნობილ სახელმწიფო გადატრიალებებს „მარიხუანის რევოლუციაც“ დაემატა, კანაბისის — გაფარჩხულფოთლებიანი მწვანე მცენარის. მარიხუანის ისტორიულ ხანაში შევაბიჯეთ, „გირჩის“ ჩათესლილ ეპოქაში. გამორიცხული არ არის, რომ ამ ეგზოტიკური და დეკრიმინალიზებული კულტურის მოყვანა-გაშენება საქართველოშიც შეიძლება დაიწყოს (დიდძალი და „სწრაფი“ ფული მოაქვს); ისევე, როგორც, მაგალითად, ავღანეთში, სადაც სოფლის მეურნეობა, პრაქტიკულად, მთლიანად კანაბისის მოყვანაზეა გადართული.

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომელსაც 1980-იან წლებში, გაგანია ომის დროს, ავღანეთში ყოფნისას საკუთარი თვალით დანახულით და ადგილობრივი დეხკანების (გლეხების) მონათხრობითაც გიდასტურებთ.

ღმერთმა არ ქნას, რომ ავღანეთის „გამოცდილება“ საქართველოშიც გავრცელდეს, მაგრამ, მიწა ფეხქვეშ რომ გვეცლება, ამის პირველი ნიშნები უკვე გამოჩნდა. **2018 წლის 29 აგვისტოს საიტმა „ონლაინ გრუზიამ“ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმად, საქართველოში დაიწყო ოპიუმის კუსტარული წესით დამზადება და რომ შავ ბაზარზე უკვე გამოჩნდა ქართული ჰეროინი.** წერილის ავტორია ნარკომანიის პრევენციის ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე **გური მენაბდიშვილი.**

პირდაპირ გეტყვით: კანაბისის (მარიხუანის) დეკრიმინალიზაციის, ფაქტობრივად, ლეგალიზაციის შესახებ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ამოქმედებით მოგებული, უპირველეს ყოვლისა, ნარკომაფია დარჩა, მატერიალიზებული მითიური გორგონა, გველებისთმებიანი დემონური არსება, რომლის საცეცების არსებობა საქართველოში, ვისაც ჯერ არს, პირველი რიგის პრობლემად არ მიაჩნია.

ამ თემაზე კრინტს არ ძრავენ წინასაარჩევნო პროცესში ჩართული სუბიექტებიც, რომლებიც კომუნალური პრობლემებით დაწყებული, სისტემური დანაშაულით დამთავრებული, ყველაფერზე ლაპარაკობენ, მაგრამ ისე ირჯებიან, თითქოს არც არაფერი სმენიათ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ, არც ნარკომანიის პრობლემას ხედავენ საქართველოში.

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. „რა სუფთა იყო ცა უჩვენოდ, რა სპეტაკი, — მწარედ ჩაილაპარაკა მოხუცმა და დადუმდა“ (რეზო გაბრიაძე „შერეკილები“).**

**ა.ს.**

**მადრიდელებმა უეფას ამ ტურნირით პირველ 5 გათამაშებაში (1956-1960 წლები) იზეიმეს გამარჯვება. მსგავსი რამ ფეხბურთის ისტორიაში არასოდეს მომხდარა. იმ პერიოდში „სამეფო კლუბის“ რიგებში ბრწყინავდნენ დი სტეფანო და ფერენც პუშკაში. ცნობილი ინგლისელი ფორვარდი, ჯიმი გრივზი, „რეალსა“ და „აინტმახტს“ შორის 1960 წლის ჩემპიონთა თასის საფინალო მატჩზე გუნდის წევრების დასწრებას ასე იხსენებს: „ჩვენ პირდაღებული ვისხედით. თითოეულ ჩვენგანს ესმოდა, რომ ასეთი თამაშისთვის ჯერ მზად არ ვიყავით, „რეალს“ რამდენიმე წლით ჩამოვრჩებოდით“.**

სპორტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «რეალიდან» «ბარსელონამდე» — უძლიერესი კლუბები ფეხბურთის ისტორიაში



**30 აგვისტოს ევროპის ყველაზე პრესტიჟული საფეხბურთო ტურნირის, უეფას ჩემპიონთა ლიგის (1992 წლამდე — ევროპის ჩემპიონთა თასი) 2018-2019 წლების ჯგუფური ეტაპის გათამაშების მონაკოში გამართულმა კენჭისყრამ ევროპის 32 უძლიერესი საფეხბურთო კლუბი 8 ჯგუფში გაანაწილა და ახლა ფეხბურთის მოყვარულები მოუთმენლად ელიან მსოფლიოს წამყვანი გუნდების დაპირისპირებას. 1955-1956 წლების სეზონიდან დღემდე უეფას ამ პრესტიჟულ ტურნირში გაიმარჯვა 22-მა გუნდმა, მათგან 12-მა რამდენჯერმე მოიპოვა ჩემპიონობა. გთავაზობთ საუკეთესო შედეგების მქონე კლუბების ჩამონათვალს.**

## «რეალი» (მადრიდი) — 13 ტიტული

მადრიდელებმა უეფას ამ ტურნირით პირველ 5 გათამაშებაში (1956-1960 წლები) იზეიმეს გამარჯვება. მსგავსი რამ ფეხბურთის ისტორიაში არასოდეს მომხდარა. იმ პერიოდში „სამეფო კლუბის“ რიგებში ბრწყინავდნენ **დი სტეფანო და ფერენც პუშკაში.** ცნობილი ინგლისელი ფორვარდი **ჯიმი გრივზი** „რეალსა“ და „აინტმახტს“ შორის 1960 წლის ჩემპიონთა თასის საფინალო მატჩზე გუნდის წევრების დასწრებას ასე იხსენებს: „ჩვენ პირდაღებული ვისხედით. თითოეულ ჩვენგანს ესმოდა, რომ ასეთი თამაშისთვის ჯერ მზად არ ვიყავით, „რეალს“ რამდენიმე წლით ჩამოვრჩებოდით“.

მეექვსე ტიტული „რეალმა“ 1966 წელს მოიპოვა, შემდეგ კი მხოლოდ 32 წლის შემდეგ გაიბრწყინა. 1998, 2000, 2002 წლებში „რეალმა“, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ **რაული, რობერტო კარლოსი, ზინედინ ზიდანი, რონალდო, ფერნანდო იერო, ბექჰემი** და სხვ, 3-ჯერ მოიპოვა ჩემპიონთა ლიგის თასი. 2014-2017 წლებში „რეალმა“, **ზინედინ ზიდანის** ხელმძღვანელობით, ზედიზედ სამჯერ გაიმარჯვა ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში. ამ გამარჯვებების სულისჩამდგმელები იყვნენ: **სერხიო რამოსი, მარსელო, ტონი კროოსი, გარეთ ბეილი, ქარიმ ბენზემა, ლუკა მოდრიჩი** და, რა თქმა უნდა, **კრიშტიანუ რონალდუ** (ამჟამად ტურინის „იუვენტუსის“ ფეხბურთელი).

## «ბენფიკა» (ლისაბონი) — 2 ტიტული

1961 წელს მადრიდის „რეალი“ „ტახტიდან ჩამოაგდო“ ლისაბონის „ბენფიკამ“, რომელსაც ხელმძღვანელობდა სახელგანთქმული უნგრელი მწვრთნელი **ბელა გუტმანი.** პორტუგალიურ კლუბში კი ბრწყინავდნენ **ეუსებიუ, მარიუ კოლუნა, ჟოზე აუგუშტუ** და სხვები. 1962 წელს ევროპის ჩემპიონთა თასის მეორედ მოგების შემდეგ ბელა გუტმანმა, რომელსაც კლუბის ხელმძღვანელობამ უარი განუცხადა ხელფასის მომატებაზე, დაწყევლა „ბენფიკა“, რომ 100 წლის განმავლობაში ვერ გაემარჯვა უეფას ამ პრესტიჟულ ტურნირზე. ამის შემდეგ „ბენფიკა“ ევროპული ტურნირების 8 ფინალში დამარცხდა. გუტმანის წყევლიდან 56 წელი გავიდა, დარჩა — 44...

## «ინტერი» (მილანი) — 3 ტიტული

1962-1967 წლების მილანის „ინტერნაციონალე“ („ინტერი“), რომელსაც ცნობილი მწვრთნელი **ელენიო ერერა** ხელმძღვანელობა, თანამედროვე იტალიური საფეხბურთო სტილის ფუძემდებელია, სწორედ ელენიო ერერას მიიჩნევენ „კატენაჩოს“ (საფეხბურთო ტაქტიკური სქემა დაცვასა და ტაქტიკურ ჯარიმებზე აქცენტით) შემქმნელად, რომელსაც ის „ინტერში“ იყენებდა. „ინტერმა“, რომლის ღირსებასაც იცავდნენ **ჯიაცინტო ფაკეტი, სანდრო მაცოლა** და სხვები, 1964-65 წლებში ორჯერ მოიპოვა უეფას ჩემპიონთა თასი: ჯერ მადრიდის „რეალი“ დაამარცხა, შემდეგ — ლისაბონის „ბენფიკა“.

2010 წელს კი იტალიურმა კლუბმა **დიეგო მილიტოს** ორი გოლის წყალობით ფინალში მიუნხენის „ბაიერნს“ სძლია. იმ პერიოდში „ინტერის“ მწვრთნელი იყო პორტუგალიელი **ჟოზე მოურინიო.**

## «აიაქსი» (ამსტერდამი) — 4 ტიტული

შეუძლებელია, არ აღინიშნოს „ტოტალური ფეხბურთის“ გავლენა გუშინდელ, დღევანდელ და ხვალინდელ ფეხბურთზე. სანაკრებო დონეზე ტოტალურ ფეხბურთს განასახიერებდა ჰოლანდია, საკლუბო დონეზე — „აიაქსი“, დღეს ასე პოპულარული განლაგება 4-3-3-ს სწორედ მწვრთნელ **რინუს მიხელსის** „აიაქსმა“ ჩაუყარა საფუძველი. ფეხით კარგად მოთამაშე მეკარე, უნივერსალური ჰავბეკი ბოქს-თუ-ბოქსი (ცენტრალური ნახევრადმცველი, რომელიც დიდ როლს თამაშობს როგორც თავისი კარის დაცვაში, ისე გუნდის შეტევის განვითარებაში), პერიმეტრზე მოძრავი ფორვარდი — ეს ყველაფერი გაჩნდა „აიაქსთან“ ერთად, რომელშიც თამაშობდნენ **იოჰან კროიფი, იოჰან ნეესკენსი, რუუდ კროლი** და სხვები. ამ ბრწყინვალე გუნდმა 1971, 1972, 1973 წლებში 3-ჯერ მოიპოვა ევროპის უძლიერესი გუნდის ტიტული, 1995 წელს კი **ლუი ვან გალის** ხელმძღვანელობით — მეოთხედ.

## «ბაიერნი» (მიუნხენი) — 5 ტიტული

1974-76 წლების სახელგანთქმული „ბაიერნი“, რომელმაც ზედიზედ სამჯერ (1974-75-76 წლებში) მოიგო ევროპის ჩემპიონთა თასი, შექმნა გერმანელმა მწვრთნელმა **უდო ლატეკმა.** გუნდში თამაშობდნენ მსოფლიოს ვარსკვლავები: **ზეპ მაიერი, ფრანც ბეკენბაუერი, კარლ-ჰაინც რუმენიგე, გერდ მიულერი, ული ჰიონესი** და სხვები. ჩემპიონთა ლიგის გამარჯვების კიდევ ორი ტიტული კი ბავარიულმა კლუბმა 2001 და 2013 წლებში მოიპოვა.

## «ლივერპული» (ლივერპული) — 5 ტიტული

ლივერპულელები მე-6 ტიტულთან ახლოს იყვნენ ამა წლის გაზაფხულზე — 2016-17 წლების გათამაშებაში, მაგრამ დამარცხდნენ მადრიდის „რეალთან“ — 1:3.

1947, 1978, 1981 წლებში კი მწვრთნელ ბობ პეისლის მიერ შექმნილმა გუნდმა, რომლის ღირსებასაც იცავდნენ **რეი კლემენსი, რეი კენედი, კენი დალგლიში, ტერი მაკდერმოტი** და სხვები, სამჯერ მოიპოვა ევროპის უძლიერესი გუნდის ტიტული, შემდეგ კი „ლივერპულმა“ ეს მიღწევა 1984 და 2005 წლებში გაიმეორა.

## «მანჩესტერ იუნაიტედი» — 3 ტიტული

1958 წლის 6 თებერვალს თვითმფრინავმა, რომლითაც „მანჩესტერ იუნაიტედი“ ბელგრადიდან ინგლისში ბრუნდებოდა, მიუნხენში კატასტროფა განიცადა. დაიღუპა 8 ფეხბურთელი და სხვა 15 მგზავრი, მათ შორის, სამწვრთნელო შტაბის წევრები, გადარჩა მთავარი მწვრთნელი **მატ ბასბი,** რომელმაც ასევე გადარჩენილ კაპიტან **ბობი ჩარლტონთან** ერთად ახალი გუნდი შექმნა. ამ გუნდმა, რომელშიც ბრწყინავდა ჯორჯ ბესტი, 1968 წელს მოიპოვა ევროპის უძლიერესი გუნდის ტიტული.

მოგვიანებით კი **ალექს ფერგიუსონის** მიერ შექმნილმა გუნდმა, რომლის ღირსებასაც იცავდნენ **პეტერ შმეიხელი, რაიან გიგზი, დევიდ ბექჰემი, პოლ სქოულზი, კრიშტიანუ რონალდუ** და სხვები, ორჯერ (1999 და 2008 წელს) მოიპოვა ჩემპიონთა ლიგის თასი.




## «იუვენტუსი» (ტურინი) — 2 ტიტული

1985 წლის ფორმაციის „იუვენტუსში“, რომელიც შექმნა **ჯოვანი ტრაპატონიმ,** თამაშობდნენ მსოფლიოს 1981 წლის ჩემპიონები: **ანტონიო კაბრინი, გაეტანო შირეა, მარკო ტრადელი, პაოლო როსი,** აგრეთვე, ფრანგი **მიშელ პლატონი** და პოლონელი **ზბიგნევ ბონეკი.** 1995-1998 წლების „იუვენტუსი“ კი შექმნა **მარჩელო ლიპიმ.**

1996 წელს, როცა მეორედ მოიპოვა ევროპის უძლიერესი გუნდის ტიტული, „იუვენტუსის“ ღირსებას იცავდნენ: **დიდიე დეშამი, ანტონიო კონტე, ალესანდრო დელ პიერო** და სხვები.

## «მილანი» (მილანი) — 7 ტიტული

1989-1994 წლებში „მილანმა“ სამჯერ მოიგო ჩემპიონთა ლიგა, 4-ჯერ — იტალიის ჩემპიონატი. იტალიურ-ჰოლანდიური შენადნობი **(ბარეზი, მალდინი, რაიკაარდი, გულიტი, ვან ბასტენი), არიგო საკის** ხელმძღვანელობით, იმხანად ყველაზე ძლიერი აღმოჩნდა. მანამდე კი „მილანმა“ 1963 და 1969 წლებში მოიპოვა ევროპის უძლიერესი გუნდის ტიტული, შემდეგ კი — 2003 და 2007 წლებში. ამ ფორმაციას „მილანში“ **პაოლო მალდინის, ჯენარო გტუზოს, ანდრეა პირლოს, ფილიპო ინძაგისა, ანდრეი შევჩენკოსა** და სხვათა გვერდით **კახა კალაძეც** გამოდიოდა.

## «ბარსელონა» (ბარსელონა) — 5 ტიტული

ევროპის ჩემპიონთა თასი „ბარსელონამ“ პირველად 1992 წელს მოიგო, **იოჰან კროიფის** ხელმძღვანელობით. შემდეგი ტიტული 2006 წელს მოიპოვა. 2008 წელს გუნდში მივიდა ხოსეპ გვარდიოლა, რომელმაც შექმნა ე.წ. ტიკი-ტაკა და მოიგო ყველაფერი, რისი მოგებაც კი შეიძლებოდა. ამ გუნდში თითქმის ყველა ფეხბურთელი მსოფლიო დონის იყო: **რონალდინიო, ჩავი, ინიესტა, ბუსკეტსი, ანრი, ეტო'ო, პიკე, პუიოლი, მესი** და სხვ. „ბარსელონამ“ ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულის ბოლო ტიტული 2015 წელს მოიპოვა.

**P.S. 30 აგვისტოს უეფას ჩემპიონთა ლიგის კენჭისყრასთან ერთად გაიმართა ევროპის საუკეთესო მეკარის, მცველის, ნახევარმცველისა და თავდამსხმელისა და საუკეთესო ფეხბურთელის დაჯილდოების ცერემონია. ქართველი ფეხბურთელი გურამ კაშია კი, რომელიც ახლა აშშ-ის საფეხბურთო კლუბ „სან ხოსე ერტკვეიკსის“ ღირსებას იცავს, ისედაც დაკნინებული ქართული ფეხბურთის სამარცხვინოდ უეფამ არა სპორტული მიღწევებისთვის, არამედ ლგბტ-თა მხარდაჭერისთვის დააჯილდოვა. 2017 წელს ჰოლანდიის „ვიტესის“ შემადგენლობაში თამაშისას კაშიამ ლგბტ-თა მხარდასაჭერად ცისარტყელას ფერებიანი სამკლავური გაიკეთა, რის გამოც ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილის გულისწყრომა გამოიწვია. სამაგიეროდ, კაშიას მხარი დაუჭირეს ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა, აგრეთვე, თბილისის მერმა კახა კალაძემ...**

**სახელოვანი ქართველი ფეხბურთელების — მურთაზ ხურცილავას, რევაზ ძოძუაშვილის, ვლადიმერ ბარქაიასა და მანუჩარ მაჩაიძის აზრით კი, კაშიას საქციელი დასაგმობია და ლგბტ-ს ადგილი ქართულ ფეხბურთში არ უნდა იყოს.**

**ნიკა კორინთელი**

# გერმანია აშშ-ის ფინანსური სისტემის მონოპოლიას ანგრევს

## ევროპა თავისი სავალუტო ფონდის შესაქმნელად ემზადება

**გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰაიკო მაასმა ეჭვი შეიტანა გლობალურ საგადასახადო ინფრასტრუქტურებზე აშშ-ის მონოპოლიის შენარჩუნების მიზანშეწონილობაში და ევროპის ქვეყნებს ახალი საგადასახადო სისტემის შექმნისკენ მოუწოდა. ეს სისტემა ბრიუსელს საშუალებას მისცემს, დამოკიდებული არ იყოს ვაშინგტონზე საერთაშორისო საფინანსო ოპერაციების განხორციელებისას და ამით გადაარჩენს ე.წ. ატომურ გარიგებას ირანსა და დასავლეთს შორის.**



„ევროპამ აშშ-ს უფლება არ უნდა მისცეს, იმოქმედოს ჩვენზე და დაგვაზარალოს, ამიტომ საჭიროა, განვამტკიცოთ ევროპული ავტონომია აშშ-ისგან დამოუკიდებელი საგადასახადო არხების შექმნის გზით, მათ შორის, ევროპის სავალუტო ფონდისა და დამოუკიდებელი საგადასახადო სისტემის შექმნის გზით.

ევროპაში დამოუკიდებელი საგადასახადო სისტემების შექმნა უკვე დაწყებულია, მაგრამ ეს არ იქნება უბრალო საქმე“, — განაცხადა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ჰაიკო მაასმა** ბერლინში გერმანიის ელჩებთან შეხვედრისას.

**„ჩვენ უნდა განვამტკიცოთ ევროპის ავტონომია და სუვერენიტეტი სავაჭრო ეკონომიკურ და საფინანსო პოლიტიკაში. ეს ადვილი არ იქნება, მაგრამ ჩვენ ეს უკვე დავიწყეთ. ვმუშაობთ გადასახადის ახალ არხებზე და SWIFT-ისგან (ინფორმაციის გადაცემისა და გადასახადების საერთაშორისო ბანკთაშორისი სისტემა) დამოუკიდებელი სისტემის, აგრეთვე, ევროპის სავალუტო ფონდის შექმნაზე“,** — განაცხადა მინისტრმა.

ამას გარდა, ჰაიკო მაასმა განაცხადა, რომ მალე წარმოადგენს გერმანიის საგარეო-პოლიტიკურ სტრატეგიას აშშ-ის მიმართ. ამისთვის კი გამოიყენებს გერმანიის წლის ღონისძიებებს, რომლებიც 3 ოქტომბერს დაიწყება აშშ-ში.

**„დიდი ხანია, დადგა დრო, გადავაფასოთ ტრანსატლანტიკური პარტნიორობა: ფხიზლად, კრიტიკულად, თვითკრიტიკულად“,** — განაცხადა მინისტრმა. მანამდე კი გაზეთ Handelsblatt-ში გამოქვეყნებულ წერილში აღინიშნა, რომ **აშშ და ევროპა, წლებია, ერთმანეთს შორდებიან, ერთობლივი ინტერესები და ფასეულობები კი ნელ-ნელა ქრება.** გერმანიის საგარეო უწყების ხელმძღვანელის განცხადებით, აღმოსავლეთთან ურთიერთობის ნორმალიზების პროცესი ტრამპის გაპრეზიდენტებამდე დაიწყო. მან თავისი უარყოფითი დამოკიდებულება გამოთქვა აშშ-ში ხელისუფლების შეცვლის მცდელობის გამო.

მაასმა აღნიშნა, რომ იქ, სადაც აშშ-მა გადაკვეთა წითელი ხაზი, აუცილებელია საპირწონის შექმნა.




# ახალგაზრდა დემოკრატიების დემოგრაფიული კრიზისი

**„პოსტსაბჭოთა და პოსტსოციალისტური რესპუბლიკების შესვლამ ევროკავშირში დასავლეთ ევროპაში მასობრივი ემიგრაცია გამოიწვია, შესაბამისად — შრომის ბაზარზე მუშახელის დეფიციტი და საპენსიო უზრუნველყოფის პრობლემები“, — განაცხადა ლიტვის სოციალური კვლევების ცენტრის დირექტორმა სარმიტე მიკულენენემ.**

მიკულენენეს თქმით, პოსტსაბჭოთა პერიოდში ლიტვამ მოსახლეობის ნახევარი დაკარგა, ლატვიამ — მესამედი, პოლონეთმა კი ევროკავშირში შესვლის შემდეგ — მილიონი მცხოვრები. შვედეთმა, დიდმა ბრიტანეთმა და ირლანდიამ გადაიბირეს სამუშაო ძალა ბალტიისპირეთიდან, პოლონეთიდან და ცენტრალური ევროპის სხვა ქვეყნებიდან, შედეგად ვაკანსიებს იკავებენ აღმოსავლეთიდან ჩამოსულები, ძირითადად — უკრაინელები.

ემიგრაციაში წავიდა, ძირითადად, ახალგაზრდობა, ამიტომ მოსახლეობა სწრაფად ბერდება, რაც საპენსიო სისტემის კრახს გამოიწვევს, რადგან პენსიებს ვერავინ დააფინანსებს. ევროკავშირში ყველაზე სწრაფად ლიტვის მოსახლეობა მცირდება, შემდეგ — ხორვატიის, ლატვიის, ბულგარეთისა და რუმინეთის.

# დაღესტანში მშვიდობის ქუჩას სტალინის სახელს დაარქმევენ

**საქართველოში სტალინის სახელს და მასთან დაკავშირებულ საგნებსა და შენობებს გააფთრებით ებრძვიან დასავლეთის მიერ წაქეზებული და დაფინანსებული ნეოლიბერალური ძალები, დაღესტნის რესპუბლიკის ქალაქ კასპიისკში კი სახალხო მოსმენისას უმრავლესობამ მშვიდობის ქუჩისთვის სტალინის სახელის დარქმევას მისცა ხმა.** სახელის გადარქმევის მომხრეები ამას „ისტორიული სამართლიანობის აღდგენას“ უწოდებენ. მათი თქმით, ადრე ეს სტალინის სახელობის ქუჩა იყო.

„რეპრესიები — ეს სტალინი არ არის. ეს ადგილობრივი ხალხია. მას ერთს არ შეეძლო მთელი კავშირის დაპყრობა“, — განაცხადა ერთ-ერთმა მომხრემ.

ქუჩისთვის სახელის გადარქმევის შესახებ გადაწყვეტილებას 2 კვირაში ოფიციალურად მიიღებენ.




# ილონ მასკი «ტესლას» ფსკერისკენ ექაჩება

**კომპანია „ტესლასა“ და მის ხელმძღვანელ ილონ მასკისთვის 2018 წელი ყველაზე ცუდია ისტორიაში.** ელექტროკარის მწარმოებელმა აქამდე ვერ მიაღწია გაცხადებულ საწარმოო სიმძლავრეს, ზარალი რეკორდული ტემპით იზრდება, რეპუტაცია ილახება, ინვესტორები დაბნეული არიან, მასკის ექსცენტრიკული საქციელი კი ცეცხლზე ნავთს ასხამს. ახლა მას უჩივის ბრიტანელი მყვინთავების ასოციაცია, ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისია კი ფინანსურ მანიპულაციებს ეძებს.

თანამედროვეობის მთავარ ნოვატორს შეიძლება არა მხოლოდ სამოქალაქო, არამედ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისროს.



# ახალ ზელანდიაში 4-დღიან სამუშაო კვირას დაანესებენ

**ნახევარი წლის წინათ ახალ ზელანდიაში ერთ-ერთმა კერძო კომპანიამ გადაწყვიტა, თანამშრომლების სამუშაო გრაფიკი შეეცვალა და 200-მდე თანამშრომელს 5-დღიანი სამუშაო კვირა 4-დღიანით შეუცვალა, ხელფასი კი არ შეუმცირებიათ. იდეის ავტორებს აინტერესებდათ, გაზრდიდა თუ არა ეს თანამშრომლების მოტივაციასა და შრომისუნარიანობას. საცდელი პროექტის შედეგებზე Info Q წერს.**

თავდაპირველად მხოლოდ 4-კვირიანი ექსპერიმენტი იგეგმებოდა, მაგრამ ახალი გრაფიკით თანამშრომლები რამდენიმე თვეს ამუშავეს. ექსპერიმენტით მსოფლიოს წამყვანი მედიასაშუალებები დაინტერესდნენ. ცოტა ხნის წინათ კომპანიამ შედეგები გამოაქვეყნა. ექსპერიმენტმა აჩვენა: მიუხედავად ერთი დღით ნაკლები სამუშაო კვირისა, არ შემცირებულა თანამშრომლების მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობა; თანამშრომელთა სტრესის დონე 45%-დან 38%-მდე შემცირდა; 54%-დან 78%-მდე გაუმჯობესდა პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხი; გუნდური მუშაობის მაჩვენებელი 64%-68%-დან 82%-88%-მდე გაიზარდა.

კვლევის დადებითი შედეგების გამო, კომპანია Perpetual Guardian-ის ხელმძღვანელობა ფიქრობს, ეს გრაფიკი შეინარჩუნოს. აღსანიშნავია, რომ სამუშაო დღის 5 საათამდე, ხოლო 5-დღიანი სამუშაო კვირის 4 დღემდე შემცირებას სტალინი 1950-იანი წლების დასაწყისში აპირებდა.



# ირაკლის გახსენება

**30 აგვისტოს ირაკლის დაბადების დღე იყო. საფლავზე გავედით. მზე ისე ბაბანებდა, როგორც მთელი მარიამობისთვის განმავლობაში. თითქოს არც ყოფილაო ფერისცვალება — გარდატეხის მიჯნა.**

ფოთოლიც არ ირხეოდა, თუმცა სად იყო რაიმე ნარგავი ამ ახალგახსნილ, მოშიშვლებულ სასაფლაოზე.

სიმშვიდე იმქვეყნიური.

მარიამობას ხეც არ წაიქცევაო.

ამ მადლის წყალობით ჩვენც ვიდექით, თუმცა ფეხქვეშ სიმყარეგამოცლილები.

სიმბოლურად.

რაც ჩვენი პატარა საძმოს, გაზეთის რედაქციის თავკაცის — ირაკლი თოდუას გარდაცვალების გამო ვიგრძენით, ვერა და ვერ დაგვეძლია.

ასეც გაგვყვება, ეტყობა.

კი ვმუშაობთ სრული მონდომებით. თითქოს ძალას არ ვიშურებთ, კი, გამოდის გაზეთი დაუბრკოლებლად, არც დონე დაცემულა მისი, არც პოპულარობა შემცირებულა... მაგრამ გვაკლია, ძალიან გვაკლია ირაკლი, თავისი გონების გამობრწყინებით, ზუსტი და მოქნეული ფრაზებით, უმძიმესი პრობლემების კარიკატურის განზომილებაში მოქცევით, სადღაც ზედმეტი აბზაცების ამოგდებით, სხვაგან აქცენტის გასაძლიერებლად ანალიტიკური დასკვნის ჩამატებით.

მისი ყველა შენიშვნა იყო მართალი და გაზეთის დასახვეწად მოწოდებული. მაქსიმალურად ცდილობდა, შეენარჩუნებინა ავტორისეული ხელწერა. თუ არა უკიდურესი აუცილებლობა, ხელს არ ახლებდა მასალას, გულწრფელად უხაროდა კარგი სტატიის გამოჩენა და შექებას არ იშურებდა არასდროს.

ამიტომ არ ჰგავდა „საქართველო და მსოფლიო“ ერთი ავტორის მიერ დაწერილ უსახურობას — არც ფორმით, არც შინაარსით, არც სტილით.

ასე გავიდა წლები...

მამის საფლავთან ოთხი შვილი იდგა. შავებში ჩაცმული დედა ფიქრებში იყო ჩაძირული.

პატარა ბიჭს ხელში ლიმონათიანი ჭიქა ეჭირა და მამის შესანდობარს ამბობდა — ბავშვურად, რაც მოესმინა და როგორადაც აღექვა უფროსების ნათქვამი.

უფროსი ძმა ქანდაკებას ჰგავდა.

„მკვდრის მზე“ ჰორიზონტისკენ იხრებოდა...

**ირაკლი თოდუა 30 აგვისტოს 43 წლისა უნდა გამხდარიყო.**

**გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია**

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

**კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.**

**ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.**

**გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.**

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894
9 772233 389009